

ვალდებულებითი სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე
2015, №10

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)
2015, №10

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)
2015, №10

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)
2015, №10

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ქეთევან შინგალია**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298 21 03; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

ბარიბაჰის დაღება გირაჰნოჰის საბანოე

გადაწყვეტილება საქართველოს სასელიო

№ას-1296-1223-2012

10 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 14 დეკემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელიო მიმართა სს „ბ. ქ-მ“ შპს „ბ-ისა“ და შპს „ა. მ. კ-ის“ წინააღმდეგ. დაზუსტებული სარჩელიო მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების, 6500000 აშშ დოლარისა და 5949964 ლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 10 ნოემბერს სს „ბ. ქ-უს“, როგორც კრედიტორის, სასარგებლოდ შპს „ბ-ის“ მიმართ იძულებითი აღსრულების რეჟიმში მოპასუხეებმა გააფორმეს და საჯარო რეესტრში დაარეგისტრირეს უძრავი და მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკის მოვალემ – საგადასახადო ვალდებულებები-საგან თავისუფალმა კომპანია შპს „ბ-მა“ ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონება გადასცა ბანკის მეორე მოვალეს – შპს „ა. მ. კ-ს“, რომლის მთელი ქონება ჯერ კიდევ 2010 წლის 7 აპრილიდან დატვირთულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით, სს „ბ. ქ-უს“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთულ და დაგირავებულ ქონებაზე – შპს „ა. მ. კ-ის“ კუთვნილ ქონებებზე – 2011 წლის 17-18 ნოემბერს დაარეგისტრირდა საგადასახადო გირავნობა-იპოთეკა, ხოლო 2011 წლის 28 ნოემბერს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ დაარეგისტრირდა ყადაღა. იმის გათვალისწინებით, რომ 2011 წლის დეკემბერში საჯარო იძულებით აუქციონზე არ გამოვლინდა ქონების შეძენის მსურველი, იგი ნატურით გადაეცა სახელმწიფოს. ამასთან, საგადასახადო და სააღსრულებო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მი-

თითებული ქონება გათავისუფლდა ყოველგვარი ვალდებულებისაგან, მათ შორის სს „ბ. ქ-უს“ სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკისა და გირავნობისაგან.

ზემოაღნიშნული გარიგების დადებით შპს „ბ-მა“ უზრუნველყოფის გარეშე დატოვა ბანკის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულებები, მეორე მხრივ, შპს „ა. მ. კ-მა“ უკანონო გარიგებით შექმნილი ქონების ხარჯზე გაისტუმრა სახელმწიფოს მიმართ არსებული დავალიანება. შედეგად, სს „ბ. ქ-ს“ მათ მიაყენეს მრავალმილიონიანი ზიანი.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ 2011 წლის 10 ნოემბრის ხელშეკრულების დადების მომენტში მათთვის არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო შემოსავლების სამსახურის მიერ შემდგომში ქონების დაყადაღების თაობაზე, მიუთმეტეს ვერ იქნებოდა ცნობილი ის გარემოება, რომ მოგვიანებით ქონებას სარეალიზაციოდ გაიტანდნენ აუქციონზე. მოპასუხეებს არ დაურღვევიათ სამოქალაქო კოდექსის 54-ე, 56-ე მუხლები. აღნიშნული ხელშეკრულება არ წარმოადგენს მოჩვენებით გარიგებას, იგი არ ისახავს მიზნად სხვა გარიგების დაფარვას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით სს „ბ. ქ-უს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ბ. ქ-მ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ივნისის განჩინებით სს „ბ. ქ-უს“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 7 ნოემბერს, აპელანტმა ორგანიზაციამ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროში წარადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2011 წლის 28 ივლისს №23/2519-11 სამოქალაქო საქმეზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი და მოითხოვა მისი იძულებით აღსრულება. აღსრულება მოიცავდა სს „ბ. ქ-უს“ მიმართ არსებული საკრედიტო დავალიანების, 12687539.12 აშშ დოლარისა და 21000 ლარის გადახდევინების

უზრუნველყოფის მიზნით სხვა უძრავ ქონებასთან ერთად შპს „ბ-ის“ საკუთრებაში არსებული, აპელანტი ორგანიზაციის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (ქ.ბათუმში, ნ-ის ქ. №...-ში მდებარე ქონება, საკადასტრო კოდი:) და დაგირავებული მზესუმზირის ზეთის მწარმოებელი ხაზის (არსებული იმავე მისამართზე) რეალიზაციას საჯარო იძულებით აუქციონზე. იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, იპოთეკის საგანი უზრუნველყოფდა საკრედიტო ვალდებულებას 2500000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო გირავნობის ხელშეკრულებების შესაბამისად მოძრავი ქონება უზრუნველყოფდა დავალიანებას 4000000 აშშ დოლარისა და 5949964 ლარის ოდენობით.

2. აღსრულების მიმდინარეობისას აპელანტისათვის ცნობილი გახდა, რომ ასევე სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება მიმდინარეობდა შპს „ა. მ. კ-ის“ მიმართ. სააღსრულებო ფურცელი №./...-.. გაცემული იყო თბილისის საქალაქო სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ, 2011 წლის 24 ნოემბერს.

3. სს „ბ. ქ-ს“ ეცნობა, რომ მიმდინარეობდა მოვალის – შპს „ა. მ. კ-ის“ სახელზე რიცხული უძრავი ქონების, მათ შორის ქ. ბათუმში ნ-ის ქ. №.-ში მდებარე ქონების იძულებითი რეალიზაცია.

4. საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ ბანკის მოთხოვნის იძულებითი აღსრულების პროცესში – 2011 წლის 10 ნოემბერს, შპს „ბ-სა“ და შპს „ა. მ. კ-ს“ შორის გაფორმდა უძრავ-მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ა. მ. კ-ს“, სხვა ქონებასთან ერთად, გადაეცა სს „ბ. ქ-უს“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონება; ამასთან, შპს „ა. მ. კ-ის“ საკუთრებად რიცხულ ქონებაზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა დარეგისტრირდა 2010 წლის 7 აპრილს. საგადასახადო გირავნობა იპოთეკა დარეგისტრირდა, ასევე, 2011 წლის 18 ნოემბერს.

5. აღსრულების ეროვნული ბიუროდან აპელანტს ეცნობა, რომ აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა მომხდარიყო მოვალის – შპს „ა. მ. კ-ის“ უძრავი ქონების, მათ შორის, ქ. ბათუმში, ნ-ის ქ. №.-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით) რეალიზაცია იძულებით აუქციონზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2011 წლის 13 ნოემბრის №ა.....-.../...,ნ განკარგულებით ქ. ბათუმში, ნ-ის ქ. №.-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე გახ-

და სახელმწიფო.

6. სააღსრულებო წარმოება 2011 წლის 24 ნოემბერს გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე №./... დამთავრდა. კერძოდ, აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად მოვალის – შპს „ა. მ. კ-ის“ დაყადაღებულ ქონებაზე, კერძოდ სანარმოო მონყობილობა-დანადგარებზე (მზესუმზირის ზეთის სანარმოო სრული ტექნოლოგიური ციკლი) ჩატარდა იძულებითი აუქციონი. პირველი უშედეგო აუქციონის შემდეგ გაიცა შესაბამისი განკარგულება ქონების ნატურით გადაცემის შესახებ და ქონება გადაეცა სახელმწიფოს ნატურით.

7. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის, სს „ბ. ქ-უს“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ დროისათვის სააღსრულებო ბიუროს რაიმე აქტი სააღსრულებო წარმოების შეჩერებაზე და შეწყვეტაზე არ არსებობდა და მას არც სააღსრულებო ფურცელი დაუბრუნებია უკან კრედიტორისათვის, არსებობდა მხოლოდ აღმასრულებლის წერილი, რომლის მიხედვითაც დგინდებოდა, რომ სააღსრულებო წარმოება გირავნობის და იპოთეკის საგნებზე ველარ გაგრძელდებოდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების მატერიალურ საფუძვლად მოსარჩელე მიუთითებდა დელიქტური ვალდებულებებიდან წარმოშობილ ზიანზე. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი პირობა არის ზიანის მიმყენებლის ქმედების არამართლზომიერება, რაშიც იგულისხმება სხვისი სუბიექტური უფლებების ყოველგვარი დარღვევა, სათანადო უფლებამოსილების არქონის შემთხვევაში. აქვე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით იმპერატიულადაა განსაზღვრული, თუ როდის შეიძლება დაეკისროს დელიქტით გამონყეული ზიანის ანაზღაურება მხარეს. აღნიშნული მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. სამოქალაქო კანონმდებლობით ზიანის მიმყენებელმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის ანუ მისი პასუხისმგებლობა უნდა შემოიფარგლოს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. მართალია, აპელანტი მიუთითებდა განზრახ და გაუფრთხილებელ ბრალზე, მაგრამ იგი არ მიუთითებდა არც ერთი სახის ბრალის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე გარდა იმისა, რომ მოპასუხემ გაასხვისა ქონება. ეს მოქმედება, თა-

ვისთავად, არ ადასტურებდა რაიმე სახით განზრახ ან გაუფრთხილებელ ბრალს, არც გარიგების უკანონობას, ვინაიდან გარიგების უკანონოდ ცნობა და აღიარება არ მომხდარა. მიმართვა, რომლითაც მოსარჩელეს სააღსრულებო ბიურო ატყობინებდა, რომ კონკრეტულ ქონებებზე ველარ მოხდებოდა აღსრულების მიქცევა, არ ნიშნავდა აღსრულების საერთოდ განუხორციელებლობას შპს „ბ-ზე“ დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ზიანის მიყენების ფაქტი არ დგინდებოდა. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტი დაადასტურა, რომ სააღსრულებო წარმოება მის მიერ წარდგენილ სააღსრულებო ფურცელზე არ დასრულებულა, ანუ არ დგინდებოდა, რომ აღსრულება დამთავრდა, ხოლო გირავნობა სანივთო უფლებაა და მისი არსებობა არ იყო დამოკიდებული გირავნობის მონაწილეთა შეცვლაზე. მიუხედავად სუბიექტების შეცვლისა, გირავნობა მაინც ძალაში რჩებოდა. აქედან გამომდინარე, ზიანის არსებობის ფაქტზე მსჯელობა არასწორი იყო. რაც შეეხებოდა იპოთეკის და გირავნობის ხელშეკრულებების არსებობას, ისინი ზიანის მიყენების ფაქტის დასადასტურებლად ვერ გამოდგებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე გაიზიარა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ზიანის მოთხოვნა გარდა დაუსაბუთებელისა, ამავე დროს უსაფუძვლოც იყო მოპასუხე შპს „ა. მ. კ-ის“ მიმართ. არ დადასტურდა ამ უკანასკნელის მხრიდან რაიმე სახის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება, მითუმეტეს მითითება სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე. თუკი შპს „ბ-ის“ მხრიდან არ დგინდებოდა ზიანის მიყენების ფაქტი, მით უფრო არალოგიკური იყო მსჯელობა სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე შპს „ა. მ. კ-ის“ მხრიდან.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება სასამართლოს მხრიდან სამოქალაქო კოდექსის 266-ე, 99-ე, 992-ე და 408-ე მუხლების არასწორად განმარტებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, უდავოდ დადგინდა, რომ აპელანტის მიერ მოჩვენებით გარიგებად მიჩნეული 2011 წლის 10 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება მოპასუხეებს შორის ნამდვილი იყო და მისი ბათილობის დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში არ იდო, ხოლო თავად გარიგებაზე მხარე არ დავობდა, იგი ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდა დელიქტიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლოს შეფასე-

ბით, მართალია, მოვალე შპს „ბ-მა“ გაასხვისა დაგირავებული და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება, მაგრამ კრედიტორს მოთხოვნის უფლება არ დაკარგვია, ვინაიდან გირავნობა და იპოთეკა აქცესორული უფლებაა, ამავე დროს სანივთო (ქონებრივი) უფლებაა და მათი არსებობა არ არის დამოკიდებული გირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულების მონაწილეთა შეცვლაზე. მიუხედავად სუბიექტების შეცვლისა, გირავნობა მაინც ძალაში რჩებოდა.

აპელანტი თავისი პოზიციის გასამყარებლად მიუთითებდა ასევე აღმასრულებლის წერილზე, რომლის თანახმადაც, აღსრულება ვერ გაგრძელდებოდა ამ ქონებებზე, ანუ გირავნობისა და იპოთეკის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ საგნებზე. მისი მოსაზრებით, აღნიშნულით მას უკვე მიადგა ზიანი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუნდაც აღმასრულებლის მითითება დაგირავებულ და იპოთეკით დატვირთულ ქონებებზე აღსრულების შეუძლებლობაზე, არ ნიშნავდა აღსრულების განუხორციელებლობას შპს „ბ-ის“ სხვა ქონებებზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. გირავნობისა და იპოთეკის საგნის გასხვისება ვერ შეფასდებოდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებად და მოსარჩელისათვის ზიანის მიმყენებელ ქმედებად, ვინაიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედება წინასწარ ვერ იქნებოდა მოპასუხისთვის ცნობილი. მოცემულ შემთხვევაში, შპს „ბ-ისათვის“ ვერ ივარაუდებდა, რომ სსიპ შემოსავლების სამსახური ერთ-ერთი მოპასუხის მიერ გასხვისებული ქონებიდან ამოიღებდა საგადასახადო დავალიანებას მეორე მოპასუხისაგან.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოგირავნის დაკმაყოფილება ხდება გირავნობის საგნის რეალიზაციით ან მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მოგირავნის საკუთრებაში გადაცემით. კონკრეტულ შემთხვევაში როგორც საქმის მასალებიდან ირკვეოდა, სახეზე არ იყო დატვირთული ქონების არც რეალიზაცია და არც საკუთრებაში პირდაპირ გადასვლა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებები კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემას წარმოადგენდა, რისი გა-

დანყვეტაც კანონისმიერი გზებითა და მეთოდებით იყო შესაძლებელი (აღსრულების წესისა და საშუალების შეცვლა და სხვა). სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის 1-ლი ნაწილი და ამავე კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს შესაძლებლობას, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში კრედიტორმა თავისი მოთხოვნა მოვალის სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევით დაიკმაყოფილოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ბ. ქ-მ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება, შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ დამგირავებელი არ გაასხვისებს და არ დააგირავებს გირავნობის საგანს გირავნობის უფლების შეწყვეტამდე. ბანკსა და მოპასუხე შპს „ბ-ს“ შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებების, კერძოდ, ხელშეკრულების 4.1.10 პუნქტის შესაბამისად, შპს „ბ-ს“ არ ჰქონდა უფლება, 2011 წლის 10 ნოემბერს გაესხვისებინა მის საკუთრებაში არსებული სს „ბ. ქ-ს“ სასარგებლოდ დაგირავებული ქონება. ამასთან, გირავნობის ხელშეკრულების 4.2.1 პუნქტით, დამგირავებელი უფლებამოსილია: მოგირავნის წერილობითი თანხმობით, ნაწილობრივ ან მთლიანად გაასხვისოს (მათ შორის გაყიდოს) დაგირავებული ქონება, თუ თანაბარზომიერად სრულდება გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულებები. კონკრეტულ შემთხვევაში, შპს „ბ-მ“ დაარღვია ზემოხსენებული მუხლის და ბანკთან გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულებების მოთხოვნები, რადგანაც ამ სახით თანხმობის გაცემის მიზნით მას ბანკისათვის არას-

დროს მიუმართავს, ხოლო ბანკს არასდროს გაუცია თანხმობა გირავნობის საგნის გასხვისებაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მოგირავნის თანხმობის გარეშე გირავნობის საგნის გასხვისება არ მიაჩნია მართლსაწინააღმდეგო და ბანკისათვის ზიანის მიმყენებელ ქმედებად. ასეთი დასკვნის დამასაბუთებელ არგუმენტად პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ქმედება მოპასუხისათვის წინასწარ ვერ იქნებოდა ცნობილი. აღნიშნული მოსაზრება სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც. ასეთი განმარტებებით სასამართლო წინააღმდეგობაში მოდის მის მიერვე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან: სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ შპს „ა. მ. კ-ის“ საკუთრებად რიცხულ ქონებაზე 2010 წლის 7 აპრილიდან რეგისტრირებული იყო საგადასახადო იპოთეკა/ გირავნობა. შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად გადასახადის გადამხდელის საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთული ქონების სარეალიზაციოდ მიქცევა წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილ სანქციას, რომლის განხორციელება არის საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის ლოგიკური შედეგი. ამდენად ცალსახაა, რომ შპს „ბ-ის“ ქმედება (უძრავ-მოძრავი ქონების გასხვისება საგადასახადო გირავნობა-იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრეზე) წარმოადგენს ბანკისათვის ზიანის მიყენების მიზნით განხორციელებულ აქტს;

მოწინააღმდეგე მხარის, შპს „ბ-ის“ მიერ კანონით აკრძალული ქმედება – მოგირავნის თანხმობის გარეშე დაგირავებული ქონების გასხვისება – წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის დისპოზიციის აუცილებელი ელემენტის, მართლწინააღმდეგობის არსებობის უტყუარ დადასტურებას. შესაბამისად, ამავე კოდექსის 266-ე მუხლის გამოუყენებლობა ადასტურებს სასამართლოს ტენდენციურობას;

სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. ბანკის, როგორც კრედიტორის სასარგებლოდ მიმდინარე აღსრულების პროცესში, მოვალე შპს „ბ-ის“ მიერ ბანკის მოვალე შპს „ა. მ. კ-ისათვის“ ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების გასხვისება წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას;

2011 წლის 10 ნოემბრის უძრავი და მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით, ნასყიდობის ფასი 10826328 ლარი (უძრავი ქონების ნაწილში) და 11000424 ლარი (მოძრავი ქონების ნაწილში), გამყიდველს მყიდველისათვის უნდა გადაეხადა ხელშეკრულების გაფორმებიდან, ანუ 2011 წლის 10 ნოემბრიდან 1 თვეში. საქმეზე დართული მტკიცებულებით (შპს „ბის“ წერილი) ირკვევა, რომ ნასყიდობის ფასი დღემდე არ არის გადახდილი. კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულება დადებულია მოსაჩვენებლად, მას არ გააჩნია ლეგიტიმური მიზანი და არ ითვალისწინებს რეალური შედეგის დადგომას (თანხის მიღებას გასხვისებული ქონების სანაცვლოდ). ხელშეკრულების მიზანია ერთი მხრივ, ბანკისათვის ზიანის მიყენება (დელიქტი) და მეორე მხრივ, ურთიერთდამოკიდებული პირების, როგორც შპს „ბის“, ასევე შპს „ა. მ. კ-ის“ უსაფუძვლო გამდიდრება, რამდენადაც ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს „ბის“ მიმართ არსებული ბანკის საკრედიტო მოთხოვნა დარჩა აღუსრულებელი, ხოლო შპს „ა. მ. კ-მა“ ფიქტიური ხელშეკრულებით შექმნილი ქონების ხარჯზე გაისტუმრა სახელმწიფოს მიმართ არსებული დავალიანება;

სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც დადგენილია, რომ ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები. სასამართლომ უგულებელყო ახალი და სპეციალური ნორმა – სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლი და გამოიყენა ზოგადი ნორმა 99-ე მუხლი, რომელიც თავის მხრივ არასწორად განმარტა;

სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 147-ე და 152-ე მუხლები, რომელთა თანახმად, ქონება, არის ყველა ნივთი და არამატერიალურ ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს; არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს კი განეკუთვნება ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე. აქედან გამომდინარე, მხარეთა მიერ იპოთეკის და გირავნობის ხელშეკრულებების გაფორმებისას, იპოთეკისა და გირავნობის უფლების

ღირებულებად სწორედ იპოთეკისა და გირავნობის საგანთა შეფასება დადგინდა. შესაბამისად, მონინალმდეგე მხარეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად გაუქმდა რა ბანკის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკისა და გირავნობის უფლებები, ამით ბანკმა დაკარგა 650000 აშშ დოლარის და 5949964 ლარის ღირებულების არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – საკრედიტო დავალიანების დაფარვის საშუალება;

სასამართლომ არ გამოიყენა „სააღსრულებო წარმოებათა“ შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის შესაბამისად, სააღსრულებო ბიურო აღსრულებისას შემოფარგლულია მხოლოდ სააღსრულებო ფურცელში მითითებული მონაცემებით. სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ზ.ფის წერილის თანახმად, ბანკის სასარგებლოდ მიმდინარე სააღსრულებო წარმოება ვეღარ გაგრძელდება, რადგანაც სააღსრულებო ფურცელში მითითებულ ყველა ქონებაზე გაუქმდა ბანკის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკა/გირავნობის უფლება, ხოლო სააღსრულებო ფურცელი მოვალეთა სხვა ქონების სარეალიზაციოდ მიქცევას არ ითვალისწინებს. ხსენებული ნორმის გამოყენების შემთხვევაში სასამართლო მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ ბანკისათვის ზიანის მიყენების ფაქტი უდავოდ დადასტურებულია;

სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 998 მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი, რომლის შესაბამისად, თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები. სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებებით – თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ზ.ფის 2012 წლის 7 თებერვლის წერილით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 18 ივლისის სააღსრულებო ფურცლით დასტურდება, რომ ბანკის სასარგებლოდ სანივთო უფლებით დატვირთული ქონების, კერძოდ, ქ.ბათუმში, ნ-ის ქ.№...-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და იქ განთავსებული ზეთის წარმოების ხაზის სისპეციალური სამსახურის სასარგებლოდ რეალიზაციის სახელმწიფოსათვის ნატურით გადაცემის შედეგად გაუქმდა ბანკის კუთვნილი სანივთო უფლება, რის გამოც ხსენებულ ქონებაზე ვეღარ განხორციელდება ბანკის, როგორც მონინალმდეგე მხარეთა კრედიტორის სასარგებლოდ მიმდინარე სააღსრულებო პროცესი. ამდენად, აშკარაა, რომ ბანკს მიაღდა ზიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა ბანკისათვის ზიანის დადგომაში, როგორც შპს „ბ-ის“, ასევე შპს „ა. მ. კ-ის“ ერთობლივი მოქმედება;

საქმის განმხილველმა სასამართლოებმა არასწორად განმარ-

ტეს კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 99-ე, 108-ე, 992-ე, 276-ე და 300-ე მუხლები;

სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულება – თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ზ. ფ-ის 2012 წლის 7 თებერვლის წერილი. წერილში აღნიშნულია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ მიმდინარე იძულებითი აღსრულების პროცესში აღსრულების მასაში მოქცეული, ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონება ნატურით გადაეცა სახელმწიფოს, რის გამოც გაუქმდა ბანკის სასარგებლოდ რეგისტრირებული სანავთო უფლება. ამასთან, ბანკის, როგორც შპს „ბ-ის“ და შპს „ა. მ. კ-ის“ კრედიტორის მიერ წარდგენილი სააღსრულებო ფურცლით ზუსტად არის განსაზღვრული აღსრულების წესი და იგი ითვალისწინებს მხოლოდ მასში ჩამოთვლილ უძრავ და მოძრავ ქონებათა რეალიზაციას. სხენებულზე დაყრდნობით, სააღსრულებო ბიურო ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მოვალეთა (მათ მოპასუხეთა) სხვა ქონებაზე აღსრულება ვერ განხორციელდება;

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება არ მიაქცია ისეთ მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებაზე, როგორცაა მოწინააღმდეგე მხარეების ურთიერთდაკავშირებული ინტერესები და შეთანხმებული მოქმედება ბანკისათვის ზიანის მიყენების მიზნით. შპს „ბ-ი“ და შპს „ა. მ. კ-ი“ წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს, მათ ფაქტობრივად ერთი დამფუძნებელი ჰყავთ. კერძოდ, შპს „ბ-ის“ სანესდებო კაპიტალის 100% წილის დამფუძნებელია შპს „ლ. კ-ი“, რომელიც ასევე წარმოადგენს შპს „ქ. ს. კ-ის“ სანესდებო კაპიტალის 100% წილის მფლობელს, ხოლო ეს უკანასკნელი შპს „ა. მ. კ-ში“ ფლობს სანესდებო კაპიტალის 100%-ს. ამდენად, შპს „ლ. კ-ი“ წარმოადგენს შპს „ბ-ის“ და შპს „ა. მ. კ-ის“ ბენეფიციარ მფლობელს და მისი მოქმედი დირექტორია პ.დ-ი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ბ. ქ-უს“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2011 წლის 7 ნოემბერს სს „ბ. ქ-მ“ აღსრულების ეროვნული

ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროში წარადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2011 წლის 28 ივლისს №2ბ/2519-11 სამოქალაქო საქმეზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი და მოითხოვა მისი იძულებით აღსრულება. აღსრულება მოიცავდა, სს „ბ. ქ-უს“ მიმართ არსებული საკრედიტო დავალიანების, 12 687 539.12 აშშ დოლარისა და 21000 ლარის გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით, სხვა უძრავ ქონებასთან ერთად, შპს „ბ-ის“ კუთვნილი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (ქ. ბათუმში, ნ-ის ქ. №...-ში მდებარე ქონება, საკადასტრო კოდი:) და დაგირავებული მზესუმზირის ზეთის მწარმოებელი ხაზის (არსებული იმავე მისამართზე) რეალიზაციას საჯარო იძულებით აუქციონზე. იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, იპოთეკის საგანი უზრუნველყოფდა საკრედიტო ვალდებულებას – 2 500 000 აშშ დოლარს, ხოლო გირავნობის ხელშეკრულებების შესაბამისად – მოძრავი ქონება უზრუნველყოფდა 4 000 000 აშშ დოლარსა და 5 949 964 ლარს.

2. აღსრულების მიმდინარეობისას, მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ასევე სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება მიმდინარეობდა შპს „ა. მ. კ-ის“ მიმართ. საღსრულებო ფურცელი №..... გაცემული იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ 2011 წლის 24 ნოემბერს.

3. იპოთეკარს, სს „ბ. ქ-უს“ ეცნობა, რომ მიმდინარეობდა მოვალის – შპს „ა. მ. კ-ის“ სახელზე რიცხული უძრავი ქონებების, მათ შორის ქ. ბათუმში ნ-ის ქ. №...-ში მდებარე ქონების იძულებითი რეალიზაცია.

4. საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ ბანკის მოთხოვნის იძულებითი აღსრულების პროცესში – 2011 წლის 10 ნოემბერს, შპს „ბ-სა“ და შპს „ა. მ. კ-ს“ შორის გაფორმდა უძრავ-მოძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ა. მ. კ-ს“, სხვა ქონებასთან ერთად, გადაეცა სს „ბ. ქ-უს“ სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული უძრავ-მოძრავი ქონება; ამასთან, შპს „ა. მ. კ-ის“ საკუთრებად რიცხულ ქონებაზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა დარეგისტრირდა 2010 წლის 7 აპრილს. საგადასახადო გირავნობა იპოთეკა დარეგისტრირდა ასევე 2011 წლის 18 ნოემბერს.

5. აღსრულების ეროვნული ბიუროდან მოსარჩელეს ეცნობა, რომ აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა მომხდარიყო მოვალის – შპს „ა. მ. კ-ის“ უძრავი ქონების, მათ შორის, ქ.

ბათუმში, ნ-ის ქ. №.-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდით) რეალიზაცია იძულებით აუქციონზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2011 წლის 13 ნოემბრის №.....-.../... განკარგულებით ქ. ბათუმში, ნ-ის ქ. №...-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრე გახდა სახელმწიფო. სააღსრულებო წარმოება 2011 წლის 24 ნოემბერს გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე №./.... დამთავრდა. კერძოდ, აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად მოვალის – შპს „ა. მ. კ-ის“ დაყვადებულ ქონებაზე, კერძოდ საწარმოო მოწყობილობა-დანადგარებზე (მზესუმზირის ზეთის საწარმოო სრული ტექნოლოგიური ციკლი) ჩატარდა იძულებითი აუქციონი. პირველი უშედეგო აუქციონის შემდეგ გაიცა შესაბამისი განკარგულება ქონების ნატურით გადაცემის შესახებ და ქონება გადაეცა სახელმწიფოს.

6. სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე სს „ბ. ქ-უს“ წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ დროისათვის სააღსრულებო ბიუროს რაიმე აქტი სააღსრულებო წარმოების შეჩერებაზე და შეწყვეტაზე არ არსებობდა და მას არც სააღსრულებო ფურცელი დაუბრუნებია უკან კრედიტორისათვის, არსებობდა მხოლოდ აღმასრულებლის წერილი, რომლის მიხედვითაც დგინდებოდა, რომ სააღსრულებო წარმოება გირავნობის და იპოთეკის საგნებზე ვეღარ გაგრძელდებოდა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

კონკრეტულ შემთხვევაში კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია დასაბუთებული პრეტენზია, რაც გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ შპს „ბ-სა“ და შპს „ა. მ. კ-ს“ შორის ნასყიდობის ხელშეკრულება 2011 წლის 10 ნოემბერს – სს „ბ. ქ-ს“ მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივლისის №28/2519-11 სამოქალაქო საქმეზე გაცემული

სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროში წარდგენის შემდეგ დაიდო. ასევე უდავოა ის ფაქტი, რომ შპს „ა. მ. კ-ის“ საკუთრებად რიცხულ ქონებაზე 2010 წლის 7 აპრილიდან რეგისტრირებული არის საგადასახადო იპოთეკა/გირავნობის უფლება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „ბ-ის“ 100%-იანი წილის მფლობელია შპს „ლ. კ-ი“, რომელიც ფლობს შპს „ქ. ს. კ-ის“ 100%-იან წილს, ეს უკანასკნელი კი, შპს „ა. მ. კ-ის“ 100%-იანი წილის მფლობელია. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას იმის თაობაზე, რომ შპს „ბ-ი“ და შპს „ა. მ. კ-ი“ ურთიერთდაკავშირებული პირები არიან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სს „ქ. ბ-სა“ და შპს „ბ-ს“ შორის დადებული გირავნობის ხელშეკრულების 4.2.1 მუხლის თანახმად, დამგირავებელი უფლებამოსილი იყო მოგირავნის წერილობითი თანხმობით მთლიანად ან ნაწილობრივ გაესხვისებინა დაგირავებული ქონება თუ ამასთან თანაბარზომიერად სრულდება გირაოთი უზრუნველყოფილი ვალდებულებები; ამდენად, შპს „ბ-ს“ გირაოთი დატვირთული ქონების გასხვისება ორი პირობის არსებობისას შეეძლო: 1. სს „ქ. ბ-ის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის არსებობისას და 2. გირავნობით უზრუნველყოფილი ვალდებულებები თანაბარზომიერად უნდა შესრულებულიყო. შპს „ბ-მა“ ზემოაღნიშნული ვალდებულება დაარღვია და დაგირავებული ქონება მოსარჩელის თანხმობის გარეშე გაასხვისა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის მითითებას, რომ მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლი უნდა იქნეს გამოყენებული.

აღნიშნული ნორმის თანახმად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ დამგირავებელი არ გაასხვისებს და არ დააგირავებს გირავნობის საგანს გირავნობის უფლების შეწყვეტამდე. დამგირავებლის მიერ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოგირავნეს აქვს თავისი მოთხოვნის დაუყოვნებლივდაკმაყოფილების უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ასევე მასზე უარი შეიძლება გამოითქვას როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინა-

შე. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, სამოქალაქო კოდექსის 266-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დამგირავებელსა და მესამე პირს შორის დადებული გარიგების ნამდვილობა არ არის დამოკიდებული მოგირავნის თანხმობაზე, ამავდროულად, მოგირავნეს წარმოეშობა უფლება საკუთარი მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება მოითხოვოს გირავნობის საგნიდან, შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან შპს „ბ-მა“, გირავნობის საგანი სს „ქ. ბ-ის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისა, ამ უკანასკნელს გირავნობის საგნიდან მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილების უფლება წარმოეშვა, მაგრამ ვინაიდან ქონების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევით მისი გირავნობა გაუქმდა, ეს მოთხოვნა განუხორციელებელი დარჩა, რის შედეგადაც მხარეს ზიანი მიადგა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. შპს „ბ-მა“ სადავო ქონება გადასცა მასთან დაკავშირებულ სანარმოს, ისეთ პირობებში, როდესაც ამ ქონებაზე სს „ბ. ქ-უს“ სასარგებლოდ აღსრულება დაწყებული იყო, ხოლო შპს „ა. მ. კ-ს“ სახელმწიფოს წინაშე შესრულებული ვალდებულებები გააჩნდა. ამდენად, მოპასუხის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებას აქვს ადგილი. ამასთან, სახეზე გვაქვს მოპასუხეების ურთიერთდაკავშირებული ინტერესები და ერთობლივი მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოწინააღმდეგე მხარეთა შეთანხმებული მოქმედების შედეგად, გაუქმდა რა ბანკის სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკისა და გირავნობის უფლებები, ამით ბანკმა დაკარგა 6 500 000 აშშ დოლარის და 5 949 964 ლარის ღირებულების საკრედიტო დავალიანების დაფარვის საშუალება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა“ შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააღსრულებო ბიურო აღსრულებისას შემოფარგლულია მხოლოდ სააღსრულებო ფურცელში მითითებული მონაცემებით. ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2009 წლის 28 ივლისის №ბს-1537-1494(კ-08) განჩინებაში განმარტა, რომ „აღსრულების ზოგადი პრინციპია ის, რომ აღსრულება ხორციელდება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და მის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ სააღსრულებო ფურცლით დადგენილი აღსრულების საშუალებ-

ბა და წესი არის ზუსტად ის ქმედება და მექანიზმი, რომლითაც უნდა აღსრულდეს სააღსრულებო ფურცელი“.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ზემოაღნიშნული ნორმა და არასწორად შეაფასა თბილისის სააღსრულებო ბიუროს №... .. წერილი. აღნიშნული წერილის ბოლო აბზაცის თანახმად, „№... სააღსრულებო ფურცლით ზუსტად არის განსაზღვრული აღსრულების წესი და იგი ითვალისწინებს მასში ჩამოთვლილი უძრავი და მოძრავი ქონებების რეალიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააღსრულებო ფურცლის შინაარსის გათვალისწინებით, მოვალეთა სხვა ქონებაზე აღსრულება ვერ განხორციელდება“. აღნიშნული წერილი ადასტურებს, რომ გირავნობისა და იპოთეკის საგნების გასხვიების გამო, სს „ბ. ქ-ს“ მოთხოვნის დაკმაყოფილება განუხორციელებელია, ვინაიდან, გაცემული სააღსრულებო ფურცლის ფარგლებში, აღსრულება სხვა ქონებაზე ვერ მიექცევა. ის ფაქტი, რომ აღსრულების ეროვნულ ბიუროს სააღსრულებო ფურცელი სს „ბ. ქ-უსათვის“ არ დაუბრუნებია, თავისთავად, არ ნიშნავს რომ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საჭირო ღონისძიებები ტარდება, გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე შპს „ბ-ს“ უნდა დაედასტურებინა, რომ სს „ბ. ქ-ს“ მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით აღსრულების მიქცევა სხვა ქონებაზე შესაძლებელი იყო და ამ თვალსაზრისით რაიმე ღონისძიებები ხორციელდებოდა, რაც მას არ შეუსრულებია.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოსათვის წარმოდგენილი მტკიცებულებებით – თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელ ზ.ფ-ის 2012 წლის 7 თებერვლის წერილით და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 18 ივლისის სააღსრულებო ფურცლით დასტურდება, რომ ბანკის სასარგებლოდ სანივთო უფლებით დატვირთული ქონების, კერძოდ, ქ. ბათუმში, ნ-ის ქ. №...-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და იქ განთავსებული ზეთის წარმოების ხაზის, სსიპ შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ რეალიზაციის სახელმწიფოსათვის ნატურით გადაცემის შედეგად, გაუქმდა ბანკის კუთვნილი სანივთო უფლება, რის გამოც ხსენებულ ქონებაზე ვეღარ განხორციელდება ბანკის, როგორც მონინააღმდეგე მხარეთა კრედიტორის სასარგებლოდ მიმდინარე სააღსრულებო პროცესი. ამდენად, ამკარაა, რომ ბანკს მიადგა ზიანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახეზეა ბანკისათვის ზიანის დადგომაში, როგორც შპს „ბ-ის“, ასევე შპს „ა. მ. კ-ის“ ერთობლივი მოქმედება.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოსარჩელის გადასაწყვეტია, იპოთეკითა და გირავნობით დატვირთული ქონების გასხვისებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს, როდესაც ამ ქონებაზე აღსრულების მიქცევა შეუძლებელია, თუ მოთხოვნის სხვა ქონების მეშვეობით დაკმაყოფილებას, გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, მოპასუხის მტკიცების საგანია, რომ მოთხოვნა განუხორციელებელი არ არის და აღსრულების მიქცევა სხვა ქონებაზე შესაძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 266-ე და 115-ე მუხლები, არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლი და არასწორად შეაფასა დავის ფაქტობრივი გარემოებები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით განსაზღვრულ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს ქმნის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში დავის გადანაცვლისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია და მტკიცებულებათა დამატებით შეფასება-გამოკვლევა საჭირო არ არის, საკასაციო სასამართლო უფლება-მოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „ბ. ქ-ს“ სარჩელი სრულად უნდა დაკმაყოფილდეს, შპს „ბ-სა“ და შპს „ა. მ. კ-ს“ სოლიდარულად დაეკისროს 6 500 000 აშშ დოლარისა და 5 949 964 ლარის გადახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ვინაიდან, სს „ბ. ქ-უს“ სარჩელი სრულად კმაყოფილდება, მოპასუხეებმა მას უნდა აუნაზღაურონ სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სულ 20 000 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „ბ. ქ-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012წლის 20 ივნისის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. სს „ბ. ქ-ს“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ბ-სა“ და შპს „ა. მ. კ-ს“ სს „ბ. ქ-უს“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროს 6 500 000 აშშ დოლარისა და 5 949 964 ლარის გადახდა;
5. შპს „ბ-სა“ და შპს „ა. მ. კ-ს“ სს „ბ. ქ-ს“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სამივე ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, სულ – 20 000 ლარის ანაზღაურება;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გამოსყიდვის უფლება

განჩინება

№ას-167-155-2015

14 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური**

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესარულება, ქმედების განხორციელების დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

ე.ბ-მ, ე.კ-მ, ნ.ტ-მ, რ.ბ-მ, ნ.ბ-მ და ს.ბ-მ სარჩელი აღძრეს სასამართლოში მ.ნ-ის მიმართ და მოითხოვეს მოპასუხის დავალდებულება, მოსარჩელეებს დაუბრუნოს და საჯარო რეესტრში მათ საკუთრებად აღირიცხოს შემდეგი უძრავი ქონება: ა) 3001.00

კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №.....); ბ) 3000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და საცხოვრებელი სახლი (შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: 1, სართულიანობა 2, განაშენიანების ფართი 235.2 კვ.მ, საერთო ფართი 425.69 კვ.მ, ოთახების რაოდენობა 5, საცხოვრებელი ფართი 50.78 კვ.მ, დამხმარე ფართი 289.84 კვ.მ, საზაფხულო ფართი 85.07 კვ.მ, საკადასტრო კოდი №.....).

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა, ამასთან, მ.ნ-მ თავადაც მიმართა სასამართლოს სარჩელით ე.ბ-ის, ე.კ-ის, ნ.ტ-ის, რ.ბ-ის, ნ.ბ-ისა და ს.ბ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეების დავაღდება, საჯარო რეესტრში მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (საკადასტრო კოდი: №26.18.13.018 და №26.18.13.016) მ.ნ-ის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 16 ივლისის განჩინებით წინამდებარე საქმეები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გაერთიანდა ერთ წარმოებად. ამავე სასამართლოს 2014 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილებით კი, მოსარჩეეების: ე.ბ-ის, ე.კ-ის, ნ.ტ-ის, რ.ბ-ის, ნ.ბ-ისა და ს.ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. მოსარჩეე მ.ნ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. დავალათ მოპასუხეებს: ე.ბ-ს, ე.კ-ს, ნ.ტ-ს, რ.ბ-ს, ნ.ბ-სა და ს.ბ-ს საჯარო რეესტრში მათ თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების (ს/კ №.....და №.....) მ.ნ-ის საკუთრებაში გადაცემა, რომელიც დღეის მდგომარეობით დარეგისტრირებულია მ.ნ-ის სახელზე გამოსყიდვის უფლებით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ე.ბ-მ, ნ.ტ-მ, რ.ბ-მ, ნ.ბ-მ, ე.კ-მ და ს.ბ-მ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგინილად ცნო, რომ 2012 წლის 6 აპრილს ორი წლის ვადაში გამოსყიდვის უფლებით ქ.ოზურგეთში გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებები, ე.კ-ს, ე.ბ-ს, ნ.ტ-ს რ.ბ-ს, ნ.ბ-ს, ს.ბ-სა და მ.ნ-ს შორის;

№ ... უძრავი ქონების ღირებულება შეადგენდა 3 260 ლარს, ხოლო №.....ქონებისა – 5 000 ლარს;

გამოსყიდვისათვის თანხა 2014 წლის 6 აპრილამდე უნდა გადახდილიყო;

ნასყიდობის საგანი აღირიცხა მ.ნ-ის სახელზე, რომელსაც საფუძვლად ზემოთ მითითებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებები (გამოსყიდვის უფლებით) დაედო;

2013 წლის 14 აპრილის ხელწერილის თანახმად, მ.ნ-ს, ნ.ბ-ის წარმომადგენელმა ა.თ-მ გადასცა 1 900 ლარი;

საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 22 მარტის ურთიერთშეთანხმების აქტის თანახმად (რომელსაც სხვა პირებთან ერთად ხელს აწერს ნ.ბ-ის მეუღლე და წარმომადგენელი ნ.ტ. და მ.ნ.), 2009 წლის 19 მარტს აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მ.ნ-ის მიმართ განხორციელებულ თაღლითობის ფაქტზე ბრალი წარედგინა ნ.ბ-ს, ხოლო მ.ნ. ცნობილ იქნა დაზარალებულად და ზარალის თანხა 13 260 ლარით განისაზღვრა. ნ.ბ-ის მეუღლე ნ.ტ-მ ზარალის ანგარიშში, მ.ნ-ს გადასცა 5 000 ლარი, ხოლო დარჩენილი 8 260 ლარის სანაცვლოდ, მხარეთა შორის შედგა ყიდვა – გაყიდვის (გამოსყიდვის უფლებით) ხელშეკრულებები 2 წლის ვადით;

ე.კ-მ 2014 წლის 7 აპრილს საერთო სასამართლოების ანგარიშზე შეიტანა 1 260 ლარი და 5 000 ლარი და 2014 წლის 16 აპრილს – 100 ლარი;

უდავოდ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ გამოსყიდვის ხელშეკრულების ვადაში ე.კ-ს, ე.ბ-სა და სხვებს არ შეუსრულებიათ ხელშეკრულების პირობა და არ გამოუსყიდათ დადგენილი და შეთანხმებული წესით უძრავი ქონება მ.ნ-ის საკუთრებიდან;

მოვალემ იცოდა კრედიტორ მ.ნ-ის ადგილსამყოფელი, რომელიც მზად იყო, მიეღო შესრულება (ლანჩხუთის რაიონის სანოტარო ბიუროში), მაგრამ მოვალემ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 319-ე, 361-ე, 477-ე, 509-ე მუხლებით, 123 -ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-400 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 434-ე მუხლით და აღნიშნა, რომ 2014 წლის 6 აპრილამდე ე.ბ-ს, ე.კ-ს, ნ.ტ-ს, რ.ბ-ს, ნ.ბ-სა და ს.ბ-ს სადავო უძრავი ქონებების გამოსყიდვა მ.ნ-თვის თანხის სრულად დაბრუნებით არ განუხორციელებიათ, მათ თანხა 2014 წლის 7 აპრილს, ანუ ვადის დარღვევით სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე და არა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განათავსეს და აღნიშნული თანხაც არ იყო სრული, მოგვიანებით, 2014 წლის 14 აპრილს ე.კ-მ ამავე ანგარიშზე განათავსა დამატებით 100 ლარი, ამდენად, მ.ნ-ის წინაშე ვალდებულება ჯეროვნად არ შესრულებულა. გამყიდველთა მიერ, ხელშეკრუ-

ლებით შეთანხმებულ ვადაში არ გამოვლენილა ნება გამოსყიდვის თაობაზე, რის გამოც მ.ნ-ის მოთხოვნა კანონშესაბამისად იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

რაც შეეხება აპელანტთა მითითებას, რომ მათ გააჩნდათ მ.ნ-თვის გადასაცემი თანხა, თუმცა ეს უკანასკნელი უარს აცხადებდა შესრულების მიღებაზე, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 და 102-ე მუხლების შესაბამისად, აპელანტების მიერ სათანადო მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო, არ გაიზიარა, მეტიც, სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მ.ნ-ის მოწინააღმდეგე აღნიშნა, რატომ უნდა შეხვედროდა ლანჩხუთში თანხის გადასაცემედ მ.ნ-ს, როდესაც ამის ვალდებულება მას არ გააჩნდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე.ბ-მ, ნ.ტ-მ, რ.ბ-მ, ნ.ბ-მ, ე.კ-მ და ს.ბ-მ, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო მ.ნ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ მართებულად იხელმძღვანელა ვალდებულებითი სამართლის ნორმებით, თუმცა სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი, რადგანაც თავადაც დაადგინა, რომ კასატორებს ვალდებულება ნაწილობრივ ჰქონდათ შესრულებული და ამის გამო მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა იგი, შესაბამისად, კრედიტორი ვალდებული იყო, განესაზღვრა დამატებითი ვადა, ამასთანავე, სახეზე არაა 405-ე მუხლით განსაზღვრული დანატებითი ვადის დაწესების გამომრიცხავი გარემოებები.

სააპელაციო პალატამ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლით, რომელიც წარმოადგენს მოვალის უფლებადამცავ ნორმას და ამ ნორმაზე დაყრდნობით მოვალისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება გამორიცხულია, ამასთან, არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ მოვალისათვის კრედიტორის ადგილსამყოფელი – სანოტარო ბიურო ცნობილი იყო და მან ვალდებულება არ შეასრულა. კრედიტორის ადგილსამყოფელთან არსებული ნოტარიატი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას კრედიტორის ადგილსამყოფელად იმ პირობებში, როდესაც კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების მიღებაზე.

არასწორია სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება მოვალის მიერ ვადის გადაცილების თაობაზე, რადგანაც სასამართლოს ეს მსჯელობა ეწინააღმდეგება, როგორც გასაჩივრებუ-

ლი განჩინების დასაბუთებას, ისე საქმის მასალებს, კერძოდ, პალატამ დადგინებულად ცნო, რომ მ.ნ-ს 2013 წლის 14 აპრილის ხელწერილით გადაეცა 1 900 ლარი, ხოლო ზიანის დარჩენილი ნაწილის ანაზღაურების მიზნით მხარეთა შორის გაფორმდა გამოსყიდვის უფლების ნასყიდობის 2 დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელთაგან ერთი ქონების ღირებულება 3 260 ლარია, ხოლო მეორე ქონებისა – 5 000 ლარი. სააპელაციო საჩივარში აპელანტი მიუთითებდა მ.ნ-ის სარჩელზე, სადაც ამ უკანასკნელმა აღიარა, რომ მას მარტის ბოლოს მიმართეს ბ.მა და შესთავაზეს 3 200 ლარის გადახდა, რაზეც თავად განაცხადა უარი. გადახდილი თანხისა და ამ აღიარების ფარგლებში კასატორებს შეეძლოთ ერთ-ერთი უძრავი ნივთის გამოსყიდვა.

გაურკვეველია, რომელ ხელშეკრულებას გულისხმობს სააპელაციო სასამართლო, როდესაც განმარტავს კასატორების მიერ ვალდებულების დარღვევას. სასამართლომ არასწორად გააიგივა ეს ხელშეკრულებები და არასწორად ჩათვალა, რომ სახეზე იყო ერთიანი ვალდებულება.

დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა შესრულების ადგილის სანატორო ბიუროს თაობაზე, რადგანაც არ დასტურდება, კასატორებმა იცოდნენ თუ არა კანონის დათქმა ვალდებულების ამ გზით შესრულების თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემული დავის საგანს, გამოსყიდვის უფლებით დადგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, მხარეთა მოთხოვნების კანონიერება წარმოადგენს. საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის კი, უმთავრესია, პასუხი გაეცეს მთავარ კითხვას: გამოსყიდვის უფლების მქონე პირმა დაიცვა უფლების რეალიზაციისათვის კანონითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული წინაპირობები?

სამოქალაქო კოდექსის 509-ე მუხლის თანახმად, თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს გამყიდველის უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებით განკარგოს გამოსყიდვის უფლების გამოყენების საკითხი. გამოსყიდვის უფლების რეალიზაცია ცალმხრივი ნების გამოვლენას წარ-

მოადგენს და მისი ნამდვილობა უკავშირდება როგორც ნების სწორ ფორმირებას, ისე გამოხატვის პროცესის სათანადოდ დასრულებას. ამასთანავე, გამოსყიდვის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, იგი წარმოადგენს რა მიღებასავალდებულო ნებას, ასეთი ნების ნამდვილობის კიდევ ერთ უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს ნების ადრესატთან მისვლა, რამდენადაც, გამოსყიდვის უფლება, სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლით შეიძლება მხოლოდ დროის გარკვეული პერიოდით იყოს შეზღუდული, ხოლო ამავე კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

ამ კუთხით სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ე.კ-ს, ე.ბ-ს, ნ.ტ-ს რ.ბ-ს, ნ.ბ-ს, ს.ბ-სა და მ.ნ-ს შორის 2012 წლის 6 აპრილს, ორი წლის ვადაში გამოსყიდვის უფლებით, ქ.ოზურგეთში გაფორმდა უძრავი ნივთის ნასყიდობის 2 ხელშეკრულება;

№.... ქონებაზე გამოსყიდვის ფასი შეადგენდა 3 260 ლარს, ხოლო №.... ქონებაზე – 5 000 ლარს;

გამოსყიდვისათვის თანხა გამოიდევლს უნდა გადაეხადა 2014 წლის 6 აპრილამდე;

აღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე უძრავი ქონებები საჯარო რეესტრში აღირიცხა მ.ნ-ის სახელზე;

2013 წლის 14 აპრილის ხელწერილის თანახმად, მ.ნ-ს ნ.ბ-ის წარმომადგენელმა გადასცა 1 900 ლარი;

2012 წლის 22 მარტის ურთიერთშეთანხმების აქტის თანახმად (რომელსაც სხვა პირებთან ერთად ხელს აწერს ნ.ბ-ის მეუღლე და წარმომადგენელი ნ. ტ-ე და მ.ნ-ე), 2009 წლის 19 მარტს აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე მ.ნ-ე ცნობილ იქნა დაზარალებულად და ზარალი განისაზღვრა 13 260 ლარით;

ბ-ის მეუღლე ნ.ტ-მ ზარალის ანგარიშში, მ.ნ-ს გადასცა 5 000 ლარი, ხოლო, დარჩენილი 8 260 ლარის სანაცვლოდ, მხარეთა შორის გაფორმდა ყიდვა – გაყიდვის (გამოსყიდვის უფლებით) ხელშეკრულებები 2 წლის ვადით;

2014 წლის 7 აპრილს მოსარჩელე ე.კ-მ საერთო სასამართლოების ანგარიშზე შეიტანა 1 260 ლარი და 5 000 ლარი, ხოლო 2014 წლის 16 აპრილს დამატებით 100 ლარი;

გამოსყიდვის ხელშეკრულების ვადაში ე.კ-ის, ე.ბ-სა და სხვათა მიერ არ შესრულებულა ხელშეკრულების პირობა და მათ არ გამოუსყიდიათ დადგენილი და შეთანხმებული წესით უძრავი

ქონება მ.ნ-ის საკუთრებიდან;

მოვალემ იცოდა კრედიტორის ადგილსამყოფელი, რომელიც მზად იყო, მიეღო შესრულება (ლანჩხუთის რაიონის სანოტარო ბიუროში).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება და განმარტება.

ამგვარი დასაბუთებული შედავებისას, კანონით იმპერატიულადაა დადგენილი საკასაციო სასამართლოს ვალდებულება, შეამოწმოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, გადაწყვეტილების გამოტანისას დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 249-ე მუხლების მოთხოვნები.

როგორც საკასაციო საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, კასატორები გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ძირითადად შემდეგი საფუძვლებით მოითხოვენ:

გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია კასატორების მხრიდან ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება, კერძოდ, 1 900 ლარის მონინალმდეგე მხარისათვის გადაცემის ფაქტი, შესაბამისად, ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, რის გამოც, კრედიტორს, სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის თანახმად, უნდა დაენუსებინა დამატებითი ვადა ვალდებულების შესრულებისათვის. განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისას პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლი, რომელიც მოვალის დამცავ ნორმას წარმოადგენს და ამ მუხლზე დაყრდნობით, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, პასუხისმგებლობის დაკისრება გამოორიცხულია;

სარჩელში, ასევე, კასატორების მიერ აღძრული სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელში, მ.ნ-მ აღნიშნა, რომ ბ.ბ-მა მიმართეს მარტის ბოლოს და შესთავაზეს 3 200 ლარი, რომლის მიღებაზე მ. ნ-მ განაცხადა უარი. ასეთ ვითარებაში, უკვე

მიღებული თანხის გათვალისწინებით, კასატორები ნასყიდობის ერთ-ერთი ხელშეკრულების საგნის გამოსყიდვას მაინც შეძლებდნენ. ეს გარემოება მითითებულია ასევე სააპელაციო სასამართლოს განჩინებაშიც, თუმცა პალატამ სადავო 2 ხელშეკრულება ერთიან ვალდებულებად განიხილა და არასწორად დაადგინა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ფაქტი;

კასატორები სადავოდ ხდიან ასევე იმ დადგენილ გარემოებას, რომ მათთვის მ.ნ-ის ადგილსამყოფელი იყო ცნობილი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების არგუმენტს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის გამოყენების თაობაზე და განმარტავს, რომ წინამდებარე დავის ფარგლებში სადავოს წარმოადგენს გამოსყიდვის უფლების მქონე პირის მიერ მისი ამ უფლების განხორციელების მართლზომიერება. როგორც უკვე აღინიშნა, გამოსყიდვის უფლება წარმოადგენს ცალმხრივი ნების გამოვლენას და ასეთ შემთხვევაში, ვალდებულების დარღვევაზე საუბარი გამართლებული არაა. სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით კი, რეგულირებულია ორმხრივი ხელშეკრულების დროს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას დამატებითი ვადის დაწესების საკითხი, მოცემულ შემთხვევაში, ამგვარი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა სახეზე არ გვაქვს. პალატა განმარტავს, რომ მითითებული ნორმის ობიექტს წარმოადგენს რა ორმხრივი ვალდებულებითი ურთიერთობა, 405-ე მუხლი განსაზღვრავს ვალდებულების დარღვევისას ხელშეკრულებიდან გასვლის წესსა და სავალდებულო პირობებს, რომლის გამოყენებაც ხდება ხელშეკრულებიდან გასვლის მარეგულირებელ ნორმასთან ერთობლიობაში.

რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლს, იგი წარმოადგენს დეპონირების გზით ვალდებულების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძველს და მოვალეს აღჭურავს უფლებით, ვალდებულების შესრულების მარეგულირებელი სხვა წესის გამოყენების შეუძლებლობისას (სამოქალაქო კოდექსის კარი VI) დეპონირებით აირიდოს თავიდან ვალდებულების შეუსრულებლობის ნეგატიური შედეგები. იმისათვის, რომ სამოქალაქო კოდექსის 434-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულება ჩაითვალოს შეწყვეტილად, სახეზე უნდა იყოს ნორმით გათვალისწინებული შემდეგი წინაპირობები: ა) მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების ნება; ბ) კრედიტორის მიერ შესრულების მიღების დაყოვნება; გ) მოვალის მიერ ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის დადება. ამ კუთხით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ე.პ-ისა და სხვათა

სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთა თანახმადაც მოსარჩელებმა 2014 წლის მარტში შესთავაზეს მოპასუხეს ვალდებულების შესრულება, რომელზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა, ხოლო მოსარჩელებმა 7 აპრილს მიმართეს ოზურგეთში არსებულ სანოტარო ბიუროს და ვალდებულების შესრულების მიზნით მოითხოვეს თანხის სადეპოზიტო ანგარიშზე დადება. აღნიშნულზე კი, მათ უარი იმ საფუძვლით ეთქვათ, რომ ნოტარიუსს სადეპოზიტო ანგარიში არ გააჩნდა, რის გამოც გამოსყიდვის თანხა – 1 260 ლარი და 5 000 ლარი განთავსდა საერთო სასამართლოების სადეპოზიტო ანგარიშზე.

საკასაციო პალატა ნაწილობრივ (3 200 ლარის ნაწილში) იზიარებს კასატორთა პრეტენზიას მათ მიერ გამოსყიდვის ვადის დარღვევის ფაქტის სასამართლოს მხრიდან არასწორად დადგენის თაობაზე და ყურადღებას გაამახვილებს ამ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

სააპელაციო პალატამ დაადგინა და მხარეთა შორის სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ გამოსყიდვის ანგარიშში მ.ნ-ს ხელშეკრულებით შეთანხმებული ვადის დადგომამდე მიღებული აქვს 1 900 ლარი. კასატორები სარჩელში მიუთითებდნენ, რომ ძირითადი ვალდებულების შესრულების მიზნით, მარტის ბოლოს დაუკავშირდნენ მ.ნ-ს, რათა მისთვის გადაეცათ თანხა ან ამ თანხის ჩარიცხვის მიზნით კრედიტორს მიეწოდებინა საბანკო ანგარიშის მონაცემები, რის თაობაზეც მ.ნ-გან მიიღეს უარი, ხოლო ვალდებულების შესრულების ვადის ბოლო დღეებში მოპასუხემ მოსარჩელებთან ურთიერთობაზე უარი განაცხადა. ე.ბ-ის, ე.კ-სა და სხვათა სარჩელის წინააღმდეგ წარდგენილ შესაგებელში მ.ნ-მ განმარტა, რომ ერთ-ერთი მოსარჩელე – ნ.ტ-ე დაუკავშირდა ტელეფონით 2014 წლის მარტის ბოლო რიცხვებში და უთხრა, რომ არ ჰქონდა სრული თანხა, გადაუხდიდა 3 200 ლარს და ქონება უნდა გადაეფორმებინა, ხოლო დანარჩენ თანხას სექტემბრის ბოლო დღეებში დაფარავდნენ, რასაც მოპასუხე არ დაეთანხმა. საყურადღებოა, რომ მითითებული გარემოება ანალოგიურადაა გადმოცემული თავად მ.ნ-ის მიერ წარდგენილ სარჩელშიც.

მოსარჩელე (იგივე მოპასუხე) მ.ნ-ის ეს განმარტება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით არ შეუფასებია. ამ გარემოების თაობაზე შეფასებას არ შეიცავს არც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, მიუხედავად სააპელაციო საჩივარში არსებული პრეტენზიისა.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, განმარტოს საპროცესო ურთიერთობის მიზნებისათვის აღიარების სამართლებრივი მნიშვნელობა, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე და 132-ე მუხლების თანახმად, ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას. საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის აღიარება მხარეს შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან ამ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს. თუ აღიარება წარმოდგენილია წერილობითი ფორმით, იგი დაერთვის საქმეს. ზეპირად გაკეთებული აღიარება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

საპროცესო სამართლის თეორიაში აღიარების განსაკუთრებული მნიშვნელობა განმარტებულია იმგვარად, რომ ფაქტს, რომელსაც უნდა ადასტურებდეს დავის სუბიექტი, ადასტურებს მისი მოწინააღმდეგე მხარე. ფაქტის აღიარების დროს მხარე ცნობს დავის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებას, რაც სასამართლომ შეიძლება საკმარის საფუძვლად მიიჩნიოს გადაწყვეტილების გამოტანისას და დაეყრდნოს ამ აღიარებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლით ამომწურავადაა დადგენილი აღიარების გაქარწყლების წესი და მისი უარყოფა სარწმუნოა მაშინ, როდესაც აღიარების ავტორი გადაწყვეტილების გამოტანამდე დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო: ა) შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ; ბ) მის მიმართ ადგილი ჰქონდა ფსიქიკურ ან ფიზიკურ ზემოქმედებას, რომელიც გამორიცხავდა მხარის თავისუფალ ნებას. თავის მხრივ, აღიარების უარყოფა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილებაში. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სარჩელსა და შესაგებელში გადმოცემული დადგენილ ვადაში თანხის მიღებაზე კრედიტორის მიერ უარის გაცხადების ფაქტის აღიარება, მოცემულ შემთხვევაში, მას არ გაუქარწყლებია, რაც დასაბუთებულს ხდის კასატორის პრეტენზიას კრედიტორის მიერ გამოსყიდვისათვის დადგენილ ვადაში შესრულების მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ამასთანავე, საგულისხმოა, რომ უკვე გადახდილი თანხის ოდენობისა და მ.წ. ის მიერ სარჩელსა და შესაგებელში მითითებული თანხის ოდე-

ნობის გათვალისწინებით, კასატორები შეძლებდნენ ხელშეკრულებათაგან ერთ-ერთით გათვალისწინებული საგნის ღირებულების სრულად დაფარვას. საკასაციო პალატა დამატებით მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება), თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა. მართალია, მ.ნ-ს შესრულების ნაწილ-ნაწილ ან ვადის გადაცილებით მიღების ვალდებულება არ გააჩნდა, თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი გამოსყიდვის უფლებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები ეკონომიკურ ერთიანობას არ ქმნიან, წარმოადგენენ დამოუკიდებელ გარიგებებს, ხოლო ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გამოსყიდვის უფლების ერთდროული რეალიზაციის ფაქტი სააპელაციო პალატას არ დაუდგენია, რაც, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ვადის დადგომამდე კრედიტორის მიერ მიღებული თანხისა და შეთანხმებული ვადის დაცვით მოვალის მხრიდან შეთავაზებული თანხის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოსყიდვის უფლების რეალიზაციის თაობაზე კასატორთა პრეტენზიას მეტად დასაბუთებულს ხდის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, ანალოგიური მოთხოვნებია დადგენილი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ საპროცესო კოდექსის 389-ე და 390-ე მუხლებით. კანონის ეს დათქმა ორიენტირებულია მართლმსაჯულების მიზნის მიღწევაზე – ერთი მხრივ, გადაწყვეტილება იყოს ზუსტი და ამომწურავი პასუხი მოსარჩელის მოთხოვნაზე და, მეორე მხრივ, ის უნდა შეიცავდეს იმ გონივრული განსჯის პროცესის ზუსტ ასახვას, რაც საფუძვლად უდევს უფლების დამდგენ მართლმსაჯულების აქტს – გადაწყვეტილებას, რადგან მისი ერთ-ერთი დანიშნულებაა, დაარწმუნოს მხარე მოთხოვნის საფუძვლიანობასა თუ უსაფუძვლობაში.

სამოქალაქო კოდექსის მე-3 წიგნი (ვალდებულებითი სამართალი) ვალდებულების შესრულების თავში იცნობს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების ინსტიტუტს და 390-ე მუხლის

პირველი ნაწილით განმარტავს, თუ რა ჩაითვლება ამგვარ გადაცილებად, კერძოდ, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში თანხის შეთავაზებისა და კრედიტორის მიერ მის მიღებაზე უარის თქმის ფაქტის აღიარების სწორად შეფასება წინამდებარე დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი გარემოებაა. ამ გარემოებას კი, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არ მიეცა სათანადო სამართლებრივი შეფასება რითაც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ:

ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არახლოები გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად კი, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას წინამდებარე განჩინებაში მითითებული ნორმების ფაქტობრივი ელემენტების შემოწმების მიზნით, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ გადანყვეტოს უფლების საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნ

ნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით, 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე.ბ-ის, ნ.ტ-ის, რ.ბ-ის, ნ.ბ-ის, ე.კ-ისა და ს.ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ჩუქება

გადანყვებითება საქართველოს სახელით

№ას-6-6-2015

1 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ხ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ლ. კ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის პერიოდულად გადაცემული თანხების დაკისრება, რომელთა რაოდენობა

მთლიანობაში შეადგენდა 8,536.50 ევროს ეკვივალენტ ლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ სადავო თანხები მას მოსარჩელემ გადასცა საჩუქრად, რის გამოც მათი უკან დაბრუნების საფუძველი არ არსებობდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით, თ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა ლ. კ-ისთვის 8 536.50 ევროს დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა თ. ხ-მა, რომლითაც მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. თ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე ლ. კ-ეს, მოსარჩელე თ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 8 536 ევროსა და 50 ევროცენტის ეკვივალენტი თანხის ეროვნულ ვალუტაში გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია მოსარჩელე თ. ხ-სა და მოპასუხე ლ. კ-ეს შორის წლების განმავლობაში ახლო (სასიყვარულო) ურთიერთობის არსებობა, რასაც სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით, ის ფაქტიც ამყარებდა, რომ 2011 წლის მაისში, მოპასუხე ლ. კ-ე სტუმრად იმყოფებოდა იტალიაში მოსარჩელე თ. ხ-თან მოსარჩელისვე დაფინანსებით.

საქმის მასალებით დადგენილ იქნა, რომ მოპასუხე ლ. კ-ე, საეკლესიო წესით, დაქორწინდა მ. ზ-ზე 2011 წლის ნოემბერში.

საქმის განმხილველმა სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერი დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოსარჩელე თ. ხ-ს მოპასუხე ლ. კ-ისათვის 2009 წლის 20 სექტემბრიდან 2012 წლის ივნისამდე პერიოდში გაგზავნილი ჰქონდა ფულადი თანხა – 8 300 ევროს ოდენობით, ხოლო გზავნილის მომსახურების საფასურად გადახდილი ჰქონდა მთლიანობაში 236.50 ევრო, რომელთა რაოდენობა შეადგენდა 8536.50 ევროს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თანხის გადაცემის შემთხვევაში მოქმედებდა პრეზუმცია თანხის გადამცემის სასარგებლოდ, კერძოდ ივარაუდებოდა, რომ თანხის მიმღებს

თანხა უნდა დაებრუნებინა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანხის მიმღები სარწმუნოდ დაადასტურებდა, რომ მას თანხის დაბრუნების ვალდებულება არ გააჩნდა. მოცემულ საქმეზე სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოსარჩელის მტკიცების ტვირთად მიიჩნია მხოლოდ თანხის გადაცემის ფაქტის დადასტურების ვალდებულება, რაც პალატის მოსაზრებით, ვალდებულების არსებობას გულისხმობდა (სკ-ის 361-ე მუხ.), მოპასუხეს კი, გადააკისრა თანხის მიღების ფაქტის უარყოფის ან ვალდებულების შესრულების გამომრიცხავი გარემოების დადასტურების ვალდებულება. მოცემულ საქმეზე სამოქალაქო საქმეთა პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. კ-ემ თანხა მიიღო. შესაბამისად, მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების შესაბამისად მოპასუხეს უნდა დაედგინებინა, რომ აღნიშნული თანხა ჩუქების ან სხვა ისეთი გარიგების საფუძველზე მიიღო, რომელიც გამორიცხავდა მისი მხრიდან აღნიშნული თანხის დაბრუნების საპასუხო ვალდებულებას, რომლის რეალიზება პალატის მოსაზრებით, ლ. კ-ემ ვერ უზრუნველყო.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების იურიდიული კვალიფიკაციის მიზნით თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე და 361-ე მუხლებით. სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე, იხელმძღვანელა უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმებით, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით, რომლის თანახმად, პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში. ამ კოდექსის 976-ე-991-ე მუხლებიდან გამომდინარე, პირის ქონების გაზრდა ან დაზოგვა სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებას და წარმოშობს უსაფუძვლოდ შექმნილის ან დაზოგვილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულებას. მოცემულ ნორმათა ძირითადი დებულება ისაა, რომ სხვა პირის ხარჯზე მიღებული სარგებლის (რაც შეიძლება გამოიხატოს ქონების დაზოგვაშიც) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. თუ გამდიდრების ფაქტი სახეზე არ არის, მაშინ მხოლოდ ქონების დაზოგვა არ წარმოშობს კონდიქციურ ვალ-

დებულებას. 976-ე მუხლის დანაწესით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ერთი პირის გამდიდრება, მეორის ხარჯზე. სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ობიექტურ შედეგს, კერძოდ, ერთი პირის მიერ, მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შექმნა (დაზოგვა) უნდა მოხდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე. აუცილებელ პირობას წარმოადგენს ასევე ისიც, რომ გამდიდრება უნდა მოხდეს სხვის ხარჯზე, რის შედეგადაც ერთი პირის ქონების გაზრდა მოხდება მეორე პირის ქონების შესაბამისი შემცირების ხარჯზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საპროცესო ნორმების დარღვევით განიხილა მოცემული საქმე, რაც იმაში გამოიხატა, რომ არასწორად გაანალიზა მხართა შორის მტკიცების ტვირთი, რამაც საერთო ჯამში საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია და აგრეთვე, შეფასების გარეშე დატოვა მონმე ნ. პ-ის ჩვენება, რომელმაც დაადასტურა სადავო თანხების გადაცემის მიზნობრიობა (სესხი). სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი ფულადი თანხების გადარიცხვის დამადასტურებელი მტკიცებულებებისა და მონმე ნ. პ-ის ჩვენების ერთობლივი შეფასებით თბილისის საქალაქო სასამართლოს უნდა დაედგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები.

სააპელაციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში საკასაციო საჩივარი წარადგინა ლ. კ-ემ, რომელმაც მოითხოვა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით განიხილა საქმე, სახელდობრ, არასწორად გაანალიზა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, არასწორად შეაფასა საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლები.

ასევე, კასატორი არ ეთანხმება საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და განმარტავს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის თაობაზე, რომ მხარეებს შორის ხანგრძლივი დროის მანძილზე არსებობდა ახლო (სასიყვარულო) ურთიერთობა გამორიცხვად მოსარჩელის მიერ განხორციელებული ფულადი გზავნილების სეს-

ხად გადაცემის კვალიფიკაციას. მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, თ. ხ-ის მიერ სარჩელის აღძვრას წინ უსწრებდა 2011 წელს ლ. კ-ის მიერ ოჯახის შექმნა სხვა ქალბატონთან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 მარტის განჩინებით ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, განაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– მოსარჩელე თ. ხ-სა და მოპასუხე ლ. კ-ის შორის წლების განმავლობაში არსებობდა ახლო (სასიყვარულო) ურთიერთობა, რაც სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით, იმ ფაქტითაცაა გამყარებული, რომ 2011 წლის მაისში, მოპასუხე ლ. კ-ე სტუმრად იმყოფებოდა იტალიაში მოსარჩელე თ. ხ-თან მოსარჩელისავე დაფინანსებით.

– მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე თ. ხ-ს მოპასუხე ლ. კ-ისათვის 2009 წლის 20 სექტემბრიდან 2012 წლის ივნისამდე პერიოდში გაგზავნილი ჰქონდა ფულადი თანხები, ჯამში 8 300 ევროს ოდენობით, ხოლო გზავნილის განხორციელების მომსახურების საფასურად გადახდილი ჰქონდა მთლიანობაში 236.50 ევრო, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 8536.50 ევროს. აღნიშნული ასევე დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერით.

– დადგენილია, რომ 2011 წლის ნოემბერში მოპასუხე ლ. კ-ემ, საეკლესიო წესით, იქორწინა მ. ზ-ზე.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თ. ხ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ლ. კ-ის მიმართ სესხად გადაცემული ფულადი თანხის – 8 536 ევროსა და 50 ევროცენტის გადახდის

მოთხოვნით, რომელიც დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით და ლ. კ-ეს, მოსარჩელე თ. თ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 8 536 ევროსა და 50 ევროცენტის ეკვივალენტი თანხის ეროვნულ ვალუტაში გადახდა.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ლ. კ-ემ სადავოდ გახადა თ. ხ-ის მიერ მისთვის გადაცემული თანხების (8 300 ევროს) მიზნობრიობა და განმარტა, რომ სხვადასხვა დროს თ. ხ-მა მართლაც გამოუგზავნა (გადასცა) მას თანხა სარჩელში მითითებული ოდენობით, თუმცა თანხა მას გადაეცა არა სესხად, არამედ მხარეთა შორის იმჟამად არსებული ახლო ურთიერთობიდან გამომდინარე, საჩუქრად.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სესხად გადაცემული თანხის დაბრუნება, მოპასუხე ლ. კ-ესთან სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებივი ურთიერთობის არსებობის მტკიცების ტვირთიც მოსარჩელეს ეკისრებოდა, მით უფრო, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაადასტურა თანხის სარჩელში მითითებული ოდენობით მიღების ფაქტი და სადავოდ გახადა მხოლოდ თანხის გადაცემის მიზნობრიობა (სასესხო ურთიერთობის არსებობა). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დაადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, მოცემული ნორმით არ არის გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი და დასადგენი გარემოებების თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროცესუალური მტკიცებულებების სახე. მართალია მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარმოადგინა სადავო თანხის იტალიიდან გადმოგზავნის გზით ლ. კ-ისათვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება (ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერი), თუმცა მასში მითითება არ არის მხარეთა შორის რაიმე სასესხო ვალდებულების არსებობაზე. შესაბამისად, მხოლოდ ლ. კ-ის სახელზე სადავო თანხის გადმოგზავნისა და ლ. კ-ის მიერ მისი მიღების ფაქტით არ შეიძლება დადასტურებულიყო მხარეთა შორის ფულადი სასესხო ვალდებულების არსებობისა და ამდენად, გადაცემული თანხის დაბრუნების ვალდებულებაზე მხარეთა შეთანხმება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების არსებობაზე მითითებისას სახეზე უნდა იყოს არა მხო-

ლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. სწორედ ამ გარემოების არსებობა განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულების – სესხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ამასთან, მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს „თანხის გადაცემის შემთხვევაში, მისი დაბრუნების ვალდებულების არსებობის პრეზუმფციაზე“ სააპელაციო სასამართლოს მითითებას და განმარტავს, რომ სამართალწარმოებაში პრეზუმფციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების განაწილების საფუძველს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში. მოცემულ შემთხვევაში, საქმის განმხილველი სასამართლოს მითითება თანხის გადაცემის შემთხვევაში, მისი დაბრუნების უპირობო ვალდებულების არსებობის (გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.4 პუნქტი) თაობაზე უმართებულოა გამომდინარე იქიდან, რომ რაიმე მსგავს მითითებას სამოქალაქო კოდექსი ან/და განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ გვაძლევს, ხოლო ნებისმიერი გადაცემისას საპირისპირო შესრულების (დაბრუნება) მოთხოვნის უფლების წარმოშობაზე მსჯელობა მაშინ, როდესაც თანხის გადაცემის შემადგენლობის მატარებელია სხვა სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებებიც, როგორიცაა ჩუქება, ნასყიდობა და სხვ. მტკიცების ტვირთის ერთი მხარიდან მეორეზე გადატანა საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუშვე-

ბელია.

ამდენად, სასესხო ურთიერთობის სადავოობის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, როდესაც დადგენილია თანხის გადაცემის ფაქტი და არ დგინდება მისი დაბრუნების ვალდებულება, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით გამოთხოვას გამორიცხავს და მოპასუხის პოზიციის სასარგებლოდ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით დადგენილი ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია (ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას). რომლის გაბათილებაც მოსარჩელემ მოცემულ შემთხვევაში, ვერ შეძლო. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია სარჩელი როგორც სახელშეკრულებო, ასევე ვალდებულების გარეშე (სკ-ის 976-ე – 991-ე მუხ.) გადაცემულის მოთხოვნის საფუძვლითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი მოსარჩელე თ. ხ-ს მოპასუხე ლ. კ-ისათვის 2009 წლის 20 სექტემბრიდან 2012 წლის ივნისამდე პერიოდში გაგზავნილი ჰქონდა ფულადი თანხები, ჯამში 8 300 ევროს ოდენობით. დადგენილია, რომ თ. ხ-ი 2012 წლის 13 ნოემბერს უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენებით შეეცადა ლ. კ-ისათვის პერიოდულად გადაცემული თანხის უკან დარუნებას, რასაც წინ უსწრებდა 2011 წლის ნოემბერში მოპასუხე ლ. კ-ის მხრიდან მ. ზ-ზე დაქორწინება

(საეკლესიო წესით). მოცემულ საქმეზე ასევე დადგენილია, რომ მხარეებს შორის არსებობდა ახლო მეგობრული ურთიერთობა და ლ. კ-ე სტუმრადაც კი, იმყოფებოდა თ. ხ-თან უცხოეთში (იტალია).

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე ლ. კ-ემ მართალია დაადასტურა თანხის სარჩელში მითითებული ოდენობით თ. ხ-ისაგან მიღების ფაქტი, თუმცა სადავოდ გახადა მათ შორის შეთანხმება სესხზე და აღნიშნა, რომ თანხის გამოგზავნა მოსარჩელისაგან და მის მიერ ამ თანხის მიღება ატარებდა უსასყიდლო ხასიათს. მოსარჩელის (კასატორის მონინაალმდეგე მხარე) არგუმენტის საპირისპიროდ არსებობს ასევე ის გარემოებაც, რომ იგი წლების მანძილზე (2009 – 2012წწ-ში) ისე ახორციელებდა ფულად ტრანზაქციებს მოპასუხის (კასატორი) სასარგებლოდ, რომ ფულადი თანხის გზავნილებში თანხის გამოგზავნის მიზნობრიობად სასესხო ურთიერთობის არსებობაზე არსად მიუთითებია. აღნიშნული კი, იმაზე მეტყველებს, რომ მხარეთა შორის არსებობდა მეგობრული (ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა), რომლის არსებობის ფონზე ნაკლებად სავარაუდოა სადავო თანხები ლ. კ-ეს სესხად მიეღო. შესაბამისად, სადავო თანხები ლ. კ-ეს გადაეცემოდა საჩუქრად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა.

განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ჩუქების სამართალურთერთობის თავისებურებებზე:

ჩუქების ხელშეკრულებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, რაც ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მიერ გაცემული საჩუქრის გამო.

იურიდიული თვალსაზრისით უსასყიდლობა იმაში ვლინდე-

ბა, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტურობის მატარებელი. ჩუქების მოტივს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ანგარებითაც იყოს განპირობებული, იურიდიული თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩუქების მოტივი ძირითადად გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან.

ჩუქება ისეთი ვარიანტია, რომელიც ეფუძნება მხარეთა ურთიერთთანხმობას და არა მხოლოდ მჩუქებლის ნებას. დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღებამდე ჩუქება არ ჩაითვლება ძალაში შესულად, რადგან სამართლებრივი ურთიერთობა ორი ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა. თითოეული ადამიანი თავისი სამართლებრივი სივრცის გამგებელია და მისი თანხმობის გარეშე არავის აქვს ამ სივრცეში შეღწევის უფლება. ჩუქების შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამიზნული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, ადგილი უნდა ჰქონდეს მხარეთა კონსენსუსს. მართალია, ჩუქება მიმართულია ერთი პირიდან მეორეზე საკუთრების უფლების გადაცემისაკენ და ეს ხდება მათ შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, რაც საკუთრების შექმნის საშუალებად აქცევს მას.

საკასაციო პალატა განმარტავს, როდესაც საკითხი ეხება ჩუქების ხელშეკრულებას, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების განმსაზღვრელი ორი ძირითადი კრიტერიუმი: მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა და გამჩუქებლის მატერიალური მდგომარეობა. ფაქტობრივი გარემოებები უნდა დადგინდეს ამ კრიტერიუმების არსებობის შეფასების კუთხით, ხოლო დასახელებული კრიტერიუმების შეფასებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ანალოგიურ გარემოებებში გონიერი ადამიანის ქცევის სტანდარტი.

ამ თვალსაზრისით, პირველ და ყველაზე მნიშვნელოვან ნიშანსაზრისად წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა, რაც, როგორც წესი, განაპირობებს მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების მოტივის ჩამოყალიბებას. ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი მის ძირითად მაკვალიფიცირებელ ნიშანსაზრისად წარმოადგენს. ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამგვარი ურთიერთობები კი, როგორც წესი, გარკვეული დროის განმავლობაში ყალიბდება და საფუძ-

ვლად უდევს მხარეთა შორის არსებული მადლიერება, კეთილგანწყობა, ან დამკვიდრებული ჩვეულებებით დადგენილი ერთგვარი მორალური ვალდებულება.

განსახილველი დავის არსის შეფასებისას საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, თუ რა ურთიერთობა აკავშირებდათ მხარეებს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელეს კეთილგანწყობილი ურთიერთობა გააჩნდა მოპასუხესთან. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ლ. კ-ე სტუმრადაც კი იმყოფებოდა იტალიაში თ. ხ-თან, რაც მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია, ასევე დადასტურებულია, რომ სადავო თანხები ლ. კ-ეს პერიოდულად ეგზავნებოდა ეტაპობრივად 2009 წლიდან 2012 წლის ივნისამდე.

ყოველივე ზემოთაღნიშნული საკასაციო პალატას აძლევს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული დასკვნის საფუძველს მასზე, რომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა ყალიბდებოდა წლების განმავლობაში და ეფუძნებოდა ახლობლური, თითქმის ოჯახური ურთიერთობების პრინციპს. ამის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თ. ხ-ს გააჩნდა საკმარისი მორალური მოტივები, გამოეხატა ლ. კ-ის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და აღნიშნული აესახა თუნდაც ჩუქების ხელშეკრულების დადებაში (სკ-ის 524-ე მუხ.), რაც გამორიცხავს საპასუხო შესრულების ვალდებულებას და თავისთავად მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებასაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც მისი გაუქმებისა და შესაბამისად, თ. ხ-ის სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გა-

დანყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, თ. ხ-ს ლ. კ-ის სასარგებლოდ უნდა დეკისროს საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლო ანაზღაურების მიზნით, 792 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ლ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ხ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. თ. ხ-ს (პ/ნ:.....) დაეკისროს ლ. კ-ის (პ/ნ:.....) სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 792 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ჩუქიბა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-127-119-2015

22 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. შ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ს. მ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის სესხის სახით გადაცემული თანხის დაბრუნება 4327 ევროს ოდენობით.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელემ, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა იტალიაში, 2010 წელს გაიცნო ა-ის რაიონის, სოფელ ა-ში მცხოვრები ს. მ-ე, რომელსაც მოსარჩელე იტალიიდან პერიოდულად უგზავნიდა თანხებს იტალიაში გასამგზავრებლად და საჭირო საბუთების მოსამზადებლად, სახელდობრ, 2010 წლის 5 აგვისტოს გაუგზავნა 104,5 ევრო, 16 სექტემბერს – 54,5 ევრო, 30 სექტემბერს – 1524 ევრო, 7 ოქტომბერს – 613 ევრო, 14 ოქტომბერს – 2031 ევრო. მთლიანობაში, გაგზავნილი თანხის ოდენობამ შეადგინა 4327 ევრო, რომელიც მოპასუხეს 2011 წლის ბოლომდე უნდა დაებრუნებინა.

მოპასუხემ არ უარყო სადავო თანხების იტალიიდან გამოგზავნის შესახებ სარჩელში მითითებული გარემოება, თუმცა განმარტა, რომ მასსა და მოპასუხეს შორის რაიმე შეთანხმებას სასესხო ურთიერთობაზე (თანხის დაბრუნებაზე) ადგილი არ ჰქონია. მოპასუხემ სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში მიუთითა, რომ მოსარჩელე გაიცნო სკაიპის მეშვეობით და ინტენსიური მიმონერის შედეგად ერთმანეთი შეუყვარდათ. მოგვიანებით, მოსარჩელემ შესთავაზა მისივე დაფინანსებით სამი თვით იტალიაში თავისთან გამგზავრება. მოპასუხემ შეთავაზება მიიღო და სამი თვით სტუმრად გაემგზავრა მოსარჩელესთან იტალიაში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩამოვიდა მოსარჩელეც, ხოლო 2012 წლის იანვარში ორივენი კვალავ გაემგზავ-

რწენ იტალიაში. მოგვიანებით კი, პირადი ცხოვრების არათანხვედრი გეგმების გამო მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა.

თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ე. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. ს. მ-ეს ე. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 4327 ევროს ეკვივალენტის ლარის გადახდა.

გადანწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ს. მ-ემ, რომლითაც მოითხოვა, თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ს. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თელავის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– ს. მ-ეს ე. შ-საგან მიღებული აქვს 4327 ევრო, რაც დადასტურებულია საქმის მასალებში წარმოდგენილი ე. შ-ის მიერ თანხის გამოგზავნისა და ამ თანხის ს. მ-ის მიერ მიღების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერები.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ე. შ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ს. მ-ისათვის სესხის დავალიანების გადახდის დაკისრება 4327 ევროს ოდენობით.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით თბილისის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილით რომლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ასევე, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით რომლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან და არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმებით და განმარტა, რომ მხარეები იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რაც გამოიწვევდა მათ შორის არსებული ურ-

თიერთობის კვალიფიკაციას უსაფუძვლო გამდიდრებად.

ამასთან, სამოქალაქო საქმეთა პალატამ არ გაიზიარა აპელაციის (მოპასუხე) მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მხარეთა შორის არ არსებობდა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და აღნიშნა, რომ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გამომრიცხველი სანიხალმდეგო არგუმენტი სამართალწარმოებაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, აპელანტმა (მოპასუხე) სარწმუნოდ ვერ დაადასტურა.

მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი შეფასების მიზნით სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლით, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა 624-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სესხის ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით და განმარტა, რომ დასახელებული ნორმებით დადგენილია სესხის სამართლებრივ ურთიერთობებში გამოსაყენებელი მტკიცების სტანდარტი ე.ი. ის მინიმალური მტკიცებულებები, რომელიც სესხის სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისათვის უნდა წარმოადგინოს მოსარჩელემ. კერძოდ, ზეპირი ხელშეკრულების დროს სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით, რაც იმას ნიშნავს, მონმეთა ჩვენება ამ შემთხვევაში, არასაკმარისი მტკიცებულებაა და საჭიროა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულებებიც. ასეთად შეიძლება განხილულ იქნეს მაგალითად ხელწერილი ვალის არსებობის თაობაზე ან ნებისმიერი სხვა წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც შეიძლება დადასტურდეს მოდავე მხარეებს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში, ე. შ-ი სასარჩელო მოთხოვნის დასადასტურებლად, კერძოდ, კი იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მოდავე მხარეთა შორის არსებობდა სასესხო ვალდებულება 4327 ევროზე, გარდა მონმეთა ჩვენებისა, ასევე უთითებს მის მიერ გახორცილებულ ფულად გზავნილებსა და მოპასუხე ს. მ-ის მიერ თანხის მიღების მიღების დადასტურებელ საბანკო ამონაწერებზე. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თავად

აპელანტიც (მოპასუხე) არ უარყოფდა ფაქტს ე. შ-ის მიერ თანხის გამოგზავნის შესახებ.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენდა მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დადასტურება, რაც თავისთავად ვალდებულების არსებობას გულისხმობდა (სკ-ის 361-ე მუხ.) და ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ფაქტის დასადასტურებლად უთითებდა არა მხოლოდ მონმეთა ჩვენებებზე, არამედ წერილობით მტკიცებულებებზეც, რასაც მოპასუხე ვერ აქარწყლებდა (ვერ უთითებდა ე. შ-ის მიერ თანხის გამოგზავნის მომენტისათვის, თუ არა სესხად გაცემული თანხის, არამედ, სხვა საფუძვლით მისი გაცემის მიზნობრიობაზე), ამიტომ სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მხარეთა შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა, რომლის საფუძველზე ს. მ-ეს მართებულად დაეკისრა ე. შ-ის სასარგებლოდ 4327 ევროს ეკვივალენტის ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში საკასაციო საჩივარი წარადგინა ს. მ-ემ, რომელმაც მოითხოვა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სასესხო ურთიერთობად. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი თანხის გადმოგზავნის შესახებ ფულად გზავნილებით, რომელსაც არც მოპასუხე (აპელანტი) არ უარყოფდა დადგენილად მიიჩნია, რომ ამ თანხის გადმოგზავნის მიზნობრიობა იყო სესხი. სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია სასესხო ურთიერთობის შეფასებისათვის აუცილებელი გარემოებების არსებობა, კერძოდ, ნაკისრი ჰქონდა თუ არა მოპასუხეს სადავო თანხების დაბრუნების ვალდებულება, ვინაიდან კასატორის მოსაზრებით, მხოლოდ თანხის გადაცემა, მით უფრო, მხარეთა შორის არსებული ახლო (თითქმის ცოლ-ქმრული) ურთიერთობიდან გამომდინარე, არ იყო საკმარისი მტკიცებულება სადავო ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის. აქვე, კასატორმა განმარტა, რომ იგი სადავოდ ხდიდა თანხის გარკვეული ნაწილის ე. შ-ის მიერ გადმოგზავნის ფაქტსაც, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტით თანხის გამომგზავნად არ არის მითითებული ე. შ-ი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 15 აპრილის განჩინებით ს. მ-ის საკასა-

ციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ საქმეზე დადგენილიადაა ცნობილი დავის გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

დადგენილია, რომ მოსარჩელე – ე. შ-მა, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა იტალიაში, 2010 წელს სოციალური ქსელის („სკაიპი“) მეშვეობით გაიცნო ა-ის რაიონის, სოფელ ა-ში მცხოვრები მოპასუხე – ს. მ-ე.

დადგენილია, რომ ს. მ-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდით იმყოფებოდა იტალიაში.

მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ე. შ-ს მოპასუხე ს. მ-ისათვის სხვადასხვა დროს გაგზავნილი აქვს თანხები, სახელდობრ, 2010 წლის 5 აგვისტოს გაგზავნა 104,5 ევრო, 16 სექტემბერს – 54,5 ევრო, 30 სექტემბერს – 1524 ევრო, 7 ოქტომბერს – 613 ევრო, 14 ოქტომბერს კი, – 2031 ევრო. მთლიანობაში, გაგზავნილი თანხის ოდენობამ შეადგინა 4327 ევრო. აღნიშნული ასევე დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერებით. მითითებული თანხების მიღების ფაქტი მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია. მხოლოდ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორმა სადავოდ გახადა თანხის ოდენობა და განმარტა, რომ „104 ევროს გამოგზავნის შესახებ წარმოდგენილ ამონაწერში გამომგზავნის ვინაობად არ იყო მითითებული ე. შ-ი, რაზედაც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია“, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს ეს საკითხი არ დაუყენებია თელავის რაიონულ სასამართლოში სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში, ამიტომ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე მოპასუხე (აპელანტი) აღარ სარგებლობდა თანხის (104 ევრო) ოდენობაზე შედავების პროცესუალური უფლებამოსილებით.

ბით (სსკ-ის 380-ე მუხლის მე-2 ნაწ.). შესაბამისად, ამ ნაწილში, საპროცესო ნორმების დარღვევაზე კასატორის პოზიცია საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ს. მ-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა იტალიაში.

დადგენილია, რომ ე. შ-მა ს. მ-ეს 2013 წლის 18 დეკემბერს სასარჩელო წარმოების წესით მოსთხოვა მის მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი თანხების უკან დაბრუნება და სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა მხარეებს შორის არსებული სასესხო ურთიერთობა, რომლის შესრულების (თანხის დაბრუნება) ვალდებულება მოპასუხეს ჰქონდა 2011 წლის ბოლომდე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ მიუთითებია, რომ იგი უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენებამდე რაიმე ფორმით შეეცადა მოპასუხის მხრიდან სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (თანხის დაბრუნების) შესრულებას.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ს. მ-ე არ უარყოფს ე. შ-ისაგან სხვადასხვა დროს თანხის მიღების (იტალიიდან გამოგზავნის) შესახებ ფაქტობრივ გარემოებას, თუმცა საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს კასატორის იმ პოზიციაზე, რომლითაც იგი სადავოდ ხდის ე. შ-ის მიერ მისთვის გადაცემული (იტალიიდან გამოგზავნილი) თანხების (4,327 ევროს) მიზნობრიობას და განმარტავს, რომ „მხარეთა შორის არსებული ახლო (თითქმის ცოლ-ქმრული) ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო სადავო ურთიერთობის სესხად კვალიფიკაცია, მით უფრო, იმ სამართლებრივი მოცემულობიდან გამომდინარე, რომ სადავო სასესხო ურთიერთობის დასადგენად საკმარისი არ არის მხოლოდ თანხის გადაცემის (გამოგზავნის) ფაქტის დადგენა, არამედ ამასთან ერთად ერთმნიშვნელოვნად უნდა დგინდებოდეს გადაცემული (გაგზავნილი) თანხის უკან დაბრუნების შესახებ დაპირება, რასაც მოცემულ შემთხვევაში, არც ადგილი ჰქონია და ამაზე არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია“.

ამდენად, ს. მ-ის კასაციის საფუძვლები (მიზეზები) მდგომარეობს იმაში, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, სახელდობრ, ფულადი გზავნილების ამსახველი საბანკო ამონაწერები და მათზე დაყრდნობით არასწორად დაადგინა მხარეთა შეთანხმება სესხის ზეპირ ხელშეკრულებაზე, რომელმაც მოცემულ საქმეზე გამოიწვია არასწორი გადანყევტილების გამოტანა.

კასატორის ზემოაღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სადავო სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა, რომელიც მოსარჩელის განმარტებით გამომდინარეობს სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან, ამიტომ შეფასებას საჭიროებს საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა სასესხო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმის (სკ-ის 623-ე მუხ.) შემადგენლობასთან (მის აბსტრაქტულ კომპონენტებთან).

მხარეთა შორის არსებული სადავო ურთიერთობის კვალიფიკაციის მიზნებისათვის პირველ რიგში, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე ე. შ-ის მოთხოვნა ეფუძნება სესხის ზეპირ ხელშეკრულებას, რომლის არსებობას მოპასუხე სადავოდ ხდის.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მოქმედი შეჯიბრებითობის პრინციპის თანახმად (სსკ-ის მე-4 მუხ.), სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებისას მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები და მოსაზრებები. მათვე ეკისრებათ სადავოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებების მითითებისა და მათი დამტკიცების ტვირთიც (სსკ-ის 102-ე მუხ.). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც შეეხება „მტკიცებულებათა დასაშვებობას“ ადგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატის მითითებით კანონის ეს მოთხოვნა განპირობებულია მხარეთა შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის შინაარსით, მისი ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიული აღწერილობით.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო სამართალურ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ

მონმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, რომ სადავო დქცეული სასესხო ურთიერთობის დადგენისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი მტკიცებულებების ესა თუ ის სახე. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერ დოკუმენტი თუ, მონმის სტატუსით დაკითხულ პირთა ნებისმიერი შინაარსის ჩვენება დაედოს საფუძვლად საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებას. ამ თვალსაზრით, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება თბილისის სააპელაციო სამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ „ვინაიდან სადავო სასესხო ურთიერთობის დასადასტურებლად ე. შ-მა მიუთითა არამხოლოდ მონმეთა ჩვენებებზე, არამედ ამავედროულად, წარმოადგინა ფულადი თანხის იტალიიდან გამოგზავნისა და ამ თანხის ს. მ-ის მიერ მიღების ამასახველი საბანკო ამონაწერი, მოსარჩელემ შეასრულა მტკიცების ტვირთის ის მინიმალური სტანდარტი, რაც სამოქალაქო კოდექსის 624-ე და 361-ე მუხვებით დადგენილი წესით ევალებოდა კრედიტორს“.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართალწარმოების პროცესში წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება უნდა შეფასდეს მათი უტყუარობისა და აგრეთვე, იმ თვალსაზრისით, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოების დადასტურებაა ამ მტკიცებულებებით შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ მოპასუხესთან სასესხო ურთიერთობის შესახებ სადავო ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მიუთითა მონმეთა ჩვენებასა და საქმეში წარმოდგენილ ფულადი თანხის იტალიიდან გამოგზავნისა და ამ თანხის ს. მ-ის მიერ მიღების ამასახველ საბანკო ამონაწერებზე, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და საფუძვლად ვერ დაუდებს ე. შ-სა და ს. მ-ეს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის შესახებ სადავო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობის ინსტიტუტი დამოკიდებულია მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის შინაარსსა და ამ ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობაზე. სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა დაშვების ან ამორიცხვის საკითხი უნდა გადაწყდეს იმ ნებართვების თუ აკრძალვების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია მატერიალური ნორმით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტული ნორმით გათვალისწინებული იურიდიული ფაქტების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების დასადასტურებლად, რაც საბოლოოდ წარმო-

ადგენს სამართლის ნორმით გათვალისწინებულ მაკვალიფიცი-რებელ კომპონენტებს, აუცილებელია ისეთი მტკიცებულებე-ბის არსებობა, რომლებიც თუნდაც მოწმეთა ჩვენებებთან ერ-თობლივად უტყუარად მიუთითებენ ყველა მნიშვნელოვან გა-რემოებებზე.

საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს, ყურადღება გაამახ-ვილოს სასესხო ვალდებულების თავისებურებებზე, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხ-ლის დანაწესში, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს, და-აბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. საკა-საციო პალატა განმარტავს, რომ ნორმის სამართლებრივი აღ-წერილობა თავადვე მიუთითებს, თუ რომელი კომპონენტების არსებობის შემთხვევაშია სახეზე სასესხო ვალდებულებით-სა-მართლებრივი ურთიერთობა და ამ დანაწესით გამორიცხავს სა-მართლებრივ კვალიფიკაციაში ცდომილების ალბათობასაც, სა-ხელდობრ, კანონმდებელი ზეპირი ფორმით დადებული სასეს-ხო ვალდებულების ნამდვილობისათვის საკმარის მტკიცებუ-ლებად არ მიიჩნევს მოწმეთა ჩვენებებს. თუმცა არც გამორიც-ხავს ამგვარი მტკიცებულების არსებობასაც, არამედ სავალ-დებულოდ ადგენს მოწმეთა ჩვენებებთან ერთად სხვა ისეთი მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულებას, რომელიც მოწ-მეთა ჩვენებასთან ერთობლივად, მაღალი ალბათობით დაადას-ტურებდა სადავო ფაქტს სასესხო ურთიერთობის შესახებ (მტკიცების საგანი).

ამდენად, სასესხო ვალდებულებების თაობაზე წერილობი-თი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, მოწმეების ჩვე-ნება დასაშვებია მხოლოდ სხვა მტკიცებულებებთან ერთად და სამართალწარმოების ეს თავისებურება განპირობებულია მა-ტერიალურ-სამართლებრივი ნორმით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის აღწერილობით (ნორმატიული შემად-გენლობით): „სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება, გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება, დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით“. განსა-ხილველი ნორმის დანაწესი სესხის ხელშეკრულების ნამდვი-ლობისათვის ითვალისწინებს როგორც ზეპირ, ასევე, წერილო-ბით ფორმის დაცვას, რომლის არჩევა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, მაგრამ მითითებული მუხლის მეორე წინადა-დების თანახმად, ყურადღებაა გამახვილებული იმ რისკებზე,

რომელიც შეიძლება მოჰყვეს სესხის ზეპირ ხელშეკრულებას. ამგვარად, განხილული ნორმით განსაზღვრულია მტკიცების საგანი ანუ, იმ მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც სადავო ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის უნდა არსებობდეს და თავის მხრივ, წარმოგვიდგება, როგორც სამართალურ-ურთიერთობის კვალიფიკაციის პირველი ეტაპი, რა დროსაც მხარეები იზღუდებიან არა თავად გარიგების ფორმის, არამედ მტკიცებითი საშუალებების არჩევანში.

რაც შეეხება სამართალურ-ურთიერთობის კვალიფიკაციის მომდევნო ეტაპს, აღნიშნული მდგომარეობს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაში. მოდავე მხარეთა შორის ამ საპროცესო ვალდებულების გამიჯვნის მიზნით, საკასაციო პალატა მიუთითებს სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ როგორც მატერიალურ ისე, საპროცესო სამართლებრივ ნორმაზე, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის მე-2 წინადადებაზე, რომელშიც სწორედ ამ საპროცესო ვალდებულების შესრულების თავისებურებებზეა ყურადღება გამახვილებული და დადგენილია ქცევის იმგვარი წესი, რომლის თანახმად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი კი, მსესხებელს. იმავე საპროცესო ვალდებულებას აკისრებს მოსარჩელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლიც, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს, რომელსაც მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა მტკიცების ტვირთის განსხვავებულ განაწილებას არ გვთავაზობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, მატერიალური და საპროცესო ნორმები თანხვედრაშია, რადგან განსახილველ დავაში ისინი მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებულ წესს არ გვიდგენენ, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სწორედ მოსარჩელე – ე. შ-ი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს მოპასუხე – ს. მ-ესთან სასესხო ურთიერთობის (ზეპირი ხელშეკრულების პირობებში) არსებობაზე, ვალდებულია მიუთითოს (მტკიცების საგანი) და წარმოადგინოს ამ ურთიერთობის სესხად კვალიფიკაციისათვის აუცილებელი მტკიცებულებებიც (მტკიცების ტვირთი).

მხარეთა შორის ამ საპროცესო ვალდებულებების სწორი განაწილება წარმოადგენს სასესხო ურთიერთობის მონაწილეთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვისა და მართლწესრიგის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის წინაპირობას.

ამდენად, როგორც აღინიშნა მოპასუხე ს. მ-ესთან სესხის

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებივი ურთიერთობის არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, მით უფრო, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ დაადასტურა თანხის სარჩელში მითითებული ოდენობით მიღების ფაქტი და სადავოდ გახადა მხოლოდ თანხის გადაცემის მიზნობრიობა (სასესხო ურთიერთობის არსებობა). სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით, მიუთითებს სწორედ იმაზე, მოცემული ნორმით არ არის გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმი და დასადგენი გარემოებების თავისებურების გათვალისწინებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა პროცესუალური მტკიცებულებების სახე. მართალია მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ წარმოადგინა სადავო თანხის იტალიიდან გადმოგზავნის გზით ს. მ-ისათვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება (ფულადი გზავნილის გადარიცხვის ამსახველი ამონაწერი), თუმცა მასში რაიმე მინიშნება/მითითება არ არის მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობაზე. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სადავოა თანხის გადაცემის დანიშნულება (სამართალურთიერთობის კვალიფიაციისათვის) მხოლოდ ს. მ-ის სახელზე სადავო თანხის გადმოგზავნა და ს. მ-ის მიერ ამ თანხის მიღების ფაქტით, არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო მხარეთა შორის სასესხო ვალდებულების არსებობა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სესხის ზეპირი ხელშეკრულების არსებობაზე მითითებისას სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. სწორედ ამ გარემოების არსებობა განაპირობებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპირისპირო ვალდებულების – სესხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ამდენად, სასესხო ურთიერთობის სადავოობის შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ თანხის გადაცემა, არამედ, ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ თანხის მიმღებმა მისი დაბრუნების ვალდებულება იკისრა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მტკიცების ტვირთს შეადგენდა მოპასუხისათვის თანხის გადაცემის დადასტურება, რაც თავად ვალდებულების არსებობას გულისხმობს (სკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილი) უმართებულოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულად დაუსაბუ-

თებელია გასაჩივრებული განჩინება (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე.

როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი მოსარჩელე – ე. შ-მა, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა და მუშაობდა იტალიაში, 2010 წელს სოციალური ქსელის („სკაიპი“) მეშვეობით გაიცნო ა-ის რაიონის, სოფელ ა-ში მცხოვრები მოპასუხე – ს. მ-ე. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მოსარჩელე ე. შ-ს მოპასუხე ს. მ-ისათვის სხვადასხვა დროს გაგზავნილი აქვს თანხები, სახელდობრ, 2010 წლის 5 აგვისტოს გააგზავნა 104,5 ევრო, 16 სექტემბერს – 54,5 ევრო, 30 სექტემბერს – 1,524 ევრო, 7 ოქტომბერს – 613 ევრო, 14 ოქტომბერს კი, – 2,031 ევრო. მთლიანობაში, გაგზავნილი თანხის ოდენობამ შეადგინა 4,327 ევრო.

დადგენილია, რომ ს. მ-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდით იმყოფებოდა იტალიაში.

ე. შ-მა ს. მ-ეს 2013 წლის 18 დეკემბერს სასარჩელო წარმოების წესით მოსთხოვა მის მიერ სხვადასხვა დროს გაგზავნილი თანხების უკან დაბრუნება და სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა მხარეებს შორის არსებული სასესხო ურთიერთობა, რომლის შესრულების (თანხის დაბრუნება) ვალდებულება მოპასუხეს ჰქონდა 2011 წლის ბოლომდე. თუმცა საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე არ მიუთითებია, რომ იგი უფლების დაცვის სასარჩელო ფორმის გამოყენებამდე რაიმე ფორმით შეეცადა მოპასუხის მხრიდან სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (თანხის დაბრუნების) შესრულებას, იმის მიუხედავად, რომ შესრულების ვალდებულებიდან გასული იყო ზუსტად ორი წელი-

ნადი.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ს. მ-ე არ უარყოფს ე. შ-ისაგან სხვადასხვა დროს თანხის მიღების (იტალიიდან გამოგზავნის) შესახებ ფაქტობრივ გარემოებას, თუმცა სხვაგვარად ხსნის ე. შ-ის მიერ მისთვის გადაცემული (იტალიიდან გამოგზავნილი) თანხების (4327 ევროს) მიზნობრიობას და განმარტავს, „მხარეთა შორის არსებული ახლო (თითქმის ცოლ-ქმრული) ურთიერთობიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო თანხის გადმოცემაზე, როგორც სესხზე საუბარი, ვინაიდან მხრეთა შორის იმჟამად არსებული ახლო ურთიერთობა თავისთავად გამორიცხავდა ამ თანხის უკან დაბრუნებაზე რაიმე ფორმით შეთანხმებას“.

მართლაც საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ე. შ-მა ისე განახორციელა ყველა ფულადი ტრანზაქცია მოპასუხის (კასატორი) სასარგებლოდ, რომ გაგზავნის დანიშნულებად სასესხო ურთიერთობის არსებობაზე არსად მიუთითებია. ყოველივე ეს კი, იმ პირობებში, რომ როგორც მოსარჩელე განმარტავს, თითქოს რომ „მან სოციალური ქსელის („სკაიპი“) მეშვეობით გაიცნო ა-ის რაიონში მცხოვრები ს. მ-ე, რომელსაც სურვილი ჰქონდა გამგზავრებულიყო იტალიაში, რისთვისაც დახმარება სთხოვა ე. შ-ს და ესეხსა ფული“, ნაკლებად სავარაუდოა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ კომპონენტებს (შემადგენლობას). თუკი არ არსებობს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ან სარჩელში მითითებული ფაქტები იურიდიულად არ ამართლებენ სამართლებრივ მოთხოვნას, სარჩელი თავშივე უსაფუძვლოა.

განსახილველ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის საკასაციო პალატა საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს ჩუქების სამართალურთერობის თავისებურებებზე:

ჩუქების ხელშეკრულებით წარმოშობილი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, რაც ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება, მოითხოვოს სამაგიერო დაკმაყოფილება მის მი-

ერ გაცემული საჩუქრის გამო. იურიდიული თვალსაზრისით კი, უსასყიდლოა იმაში ვლინდება, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტურობის მატარებელი და იგი მისი ძირითადი მაკვალიფიცირებელი ნინაპირობაა.

ჩუქების მოტივს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ანგარები-თაც იყოს განპირობებული, იურიდიული თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ჩუქების მოტივი ძირითადად გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამიტომ, იგი შესაძლებელია, სხვადასხვა მოტივებით იყოს განპირობებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან.

ჩუქება ისეთი გარიგებაა, რომელიც ეფუძნება მხარეთა ურთიერთთანხმობას და არა მხოლოდ მჩუქებლის ნებას. დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღებამდე ჩუქება არ ჩაითვლება ძალაში შესულად, რადგან სამართლებრივი ურთიერთობა ორი ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა. თითოეული ადამიანი თავისი სამართლებრივი სივრცის გამგებელია და მისი თანხმობის გარეშე არავის აქვს ამ სივრცეში შეღწევის უფლება. ჩუქების შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამიზნული სამართლებრივი შედეგების მისაღწევად, ადგილი უნდა ჰქონდეს მხარეთა კონსენსუსს. მართალია, ჩუქება მიმართულია ერთი პირიდან მეორეზე საკუთრების უფლების გადაცემისაკენ და ეს ხდება მათ შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, რაც საკუთრების შექმნის საშუალებად აქცევს მას.

განსახილველი დავის არსის შეფასებისას საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ მოსარჩელეს კეთილგანწყობილი ურთიერთობა გააჩნდა მოპასუხესთან. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ს. მ-ე გაემგზავრა და გარკვეული პერიოდი იმყოფებოდა იტალიაში. ასევე დადასტურებულია, რომ სადავო თანხები ს. მ-ის პერიოდულად ეგზავნებოდა რაიმე საპირისპირო ვალდებულების შესრულების მინიშნების გარეშე. ყოველივე აღნიშნული საკასაციო პალატას აძლევს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული დასკვნის საფუძველს მასზე, რომ ე. შ-ს გააჩნდა საკმარისი მორალური მოტივები, გამოეხატა ს. მ-ის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და აღნიშნული აესახა თუნდაც ჩუქების ხელშეკრულების დადებაში (სკ-ის 524-ე მუხ.), რაც გამოირიცხავს საპასუხო შესრულების ვალდებულებას და თავისთავად მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებასაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, რაც მისი გაუქმებისა და შესაბამისად, ე. შ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, ე. შ-ს ს. მ-ის სასარგებლოდ უნდა დეკლაროს საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლო ანაზღაურების მიზნით, 495.60 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ს. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ე. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ე. შ-ს დაეკისროს ს. მ-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 495.60 ლარის გადახდა;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ქირავნობა

გამქირავებლის უფლება-მოვალეობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1328-1266-2014

10 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუერი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადაუხდელი ქირისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ო. და კ-იამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ფ. ზ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადაუხდელი ქირის – 2196 აშშ დოლარისა და 2013 წლის 1 თებერვლიდან 2013 წლის 22 მაისის ჩათვლით პირგასამტეხლოს – 1800 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ შპს „ო. და კ-იას“ საკუთრებაში გააჩნია ქ. გორში, ... ქ. №47-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც 2006 წლიდან ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა მოპასუხე ფ. ზ-ს. ქონებით სარგებლობისათვის მოპასუხე ყოველთვიურად იხდიდა ქირის სახით, 600 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს აღნიშნულ მისამართზე არსებული ფართი დაკავებული ჰქონდა 2013 წლის 22 მაისამდე, თუმცა მას არ აქვს გადახდილი 2013 წლის ქონებით სარგებლობის ხუთი თვის ქირა, რომლის ოდენობა შეადგენს 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს 2013 წლის ქირიდან გადახდილი ჰქონდა 674 აშშ დოლარი, დარჩენილი დავალიანების თანხა შეადგენდა 2196 აშშ დოლარს. ვალდებულების დარღვევისათვის მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეადგენდა გადაუხდელი თანხის 2%-ს, თვეში 360 აშშ

დოლარს, ხოლო 5 თვეში კი, – 1800 აშშ დოლარს. მოსარჩელის მითითებით მოპასუხემ ხელწერილით აღიარა მოსარჩელის წინაშე ფულადი დავალიანების არსებობა, რომელიც დაფარა 2012 წლის 17 აგვისტოდან 2013 წლის 16 თებერვლის ჩათვლით, თუმცა, 2013 წლის ხუთი თვის (იანვარი-მაისის თვე) ქირა მოსარჩელისთვის დღემდე არ გადაუცია.

მოპასუხემ სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით უარყო სასარჩელო მოთხოვნა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების (გადაუხდელი ქირის) არსებობის თაობაზე, ხოლო სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებთან მიმართებაში აღიარა მხოლოდ მხარეთა შორის არსებული საიჯარო ურთიერთობის არსებობა გარკვეულ პერიოდში, რომელიც მოპასუხის განმარტებით არ მოიცავდა სადავო 2013 წლის იანვარი-მაისის ჩათვლით არსებულ პერიოდს. მოპასუხემ სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლების გასაქარწყლებლად მიუთითა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსზე, რომელიც ავალდებულებდა მიეჯარეს მოიჯარისათვის ობიექტი გადაეცა ქონების მიღება-ჩაბარების აქტით, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ იყო. მანვე განმარტა, რომ წლების წინ ნამდვილად იქირავა მოსარჩელისაგან 480მ² კომერციული ფართი ქ.გორში, ... ქ. №47-ში, თუმცა მოგვიანებით, 2013 წლის დასაწყისში შეიტყო, რომ მოსარჩელე ყიდდა ფართს ზ. მ-ეზე. მართალია ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „ო. და კ-იასა“ და ზ. მ-ეს შორის გაფორმდა 2013 წლის 15 თებერვალს, თუმცა მათ შორის მოლაპარაკებები ნასყიდობის პირობებთან დაკავშირებით მიმდინარეობდა 2011-2012წწ-ში.

გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ო. და კ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ო. და კ-ის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ გადაუხდელი ქირის – 2198 აშშ დოლარისა და პირ-გასამტეხლოს – 300 აშშ დოლარის ანაზღაურება.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 1 იანვარს ინდივიდუალურ მენარმე ყ. ზ-სა და

შპს „ო. და კ-ის“ წარმომადგენელ ა. თ-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქირავნობის შესახებ.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, მოიჯარემ ვალდებულია იკისრა, მეიჯარისათვის გადაეცა არასაცხოვრებელი ფართი სათავსებით და ინვენტარით ქ. გორში, ე-ის ქ. №43-ში (... ქ. №47). ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მეიჯარე ვალდებული იყო, მოიჯარისთვის გადაეცა ობიექტი და ქონება მიღება-ჩაბარების აქტით. ამავე პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის მიხედვით, ხელშეკრულება დაიდო 1 იანვარს და შემდგომში გრძელდებოდა ერთი წლის ვადით იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე ან მეიჯარე არ გამოთქვამდა სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტაზე. ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, მოიჯარე იღებდა ვალდებულებას, გადაეხადა მეიჯარისათვის გადაცემული ობიექტით და ქონებით სარგებლობისათვის ყოველთვიურად 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ყოველი თვის 15 რიცხვამდე. ხელშეკრულების 4.4 ქვეპუნქტის თანახმად, გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში კი, მეიჯარე უფლებამოსილი იყო, მოიჯარისთვის დაეკისრებინა საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 2%-ის ოდენობით (4.4 პუნქტი).

დადგენილია, რომ ჟ. ზ-ს ბოლო რამდენიმე წელი მოსარჩელისაგან დაქირავებული ჰქონდა ქ. გორში, ... ქუჩა №47-ში მდებარე ფართი, სადაც ახდენდა ავეჯის რეალიზაციას. საქმის განხილვის მომენტისათვის კი, ჟ. ზ-ი არ სარგებლობდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ფართით.

2012 წლის 15 მაისს შედგენილი ხელწერილის მიხედვით, მოპასუხე ჟ. ზ-მა სანოტარო წესით წერილობით აღიარა მოსარჩელის წინაშე არსებული ვალდებულება, კერძოდ, ხელწერილში აღნიშნა, რომ მას ნაქირავები ჰქონდა მოსარჩელისაგან ქ. გორში, ... ქ. №47-ში მდებარე 480მ² არასაცხოვრებელი ფართი და მისი ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენდა 600 აშშ დოლარს. მანვე მიუთითა, რომ დავალიანება მხარის მიმართ შეადგენდა 2600 აშშ დოლარს, რომელსაც ეტაპობრივად სრულად გადაიხდიდა, კერძოდ, 1500 აშშ დოლარს დაფარავდა 2012 წლის 27 მაისამდე, ხოლო დარჩენილ 1100 აშშ დოლარს – 17 ივნისამდე, რასაც ხელს აწერდა ჟ. ზ-ი.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კ-ის გორის სერვისცენტრის 2013 წლის 16 ოქტომბრის წერილის მიხედვით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. გორში, ... ქ. №46-ში 2010 წლის ოქტომბრიდან აბონენტად ფიქ-

სირდებოდა ჟ. ზ-ი, რომელსაც ერიცხებოდა დავალიანება კ-ის მიმართ. დავალიანების გადაუხდელობის გამო აბონენტს 2012 წლის 3 მაისიდან შეუწყდა წყალმომარაგება, თუმცა აბონენტი თვითნებურად აღადგენდა შეწყვეტილ წყალმომარაგებას და სარგებლობდა სასმელი წყლით.

დადგენილია, რომ 2013 წლის 15 თებერვალს შპს „ო. და კ-იასა“ და ზ. მ-ეს შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ამ უკანასკნელმა მოსარჩელისაგან 15000 ლარად შეიძინა ქ.გორში, ე-ის ქ. №43-ში მდებარე 859მ²-დან 50,76მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართი (ს/კ: №66.45.....).

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით, 102-ე და 105-ე მუხლებით, სამოქალაქო კოდექსის 581-ე, 531-ე მუხლებით და 541-ე მუხლის პირველი ნაწილით და არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, იმის თაობაზე, რომ სადავო პერიოდში იგი არ ახორციელებდა მოსარჩელის კუთვნილი ფართის მფლობელობას, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმის მასალებით დადასტურებული არ იყო მესაკუთრისთვის ფართის დაბრუნების შესახებ ფაქტობრივი გარემოება. ქირავნობის ხელშეკრულების 2.1 პუნქტთან მიმართებაში კი, სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, აღნიშნული პუნქტი ითვალისწინებდა შპს „ო. და კ-იას“ ვალდებულებას ჟ. ზ-ისთვის მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ამ უკანასკნელის მიერ დაქირავებული ქონების გადაცემის შესახებ, თუმცა ისეთ პირობებში, როდესაც სადავო არ იყო თავად ის გარემოება, რომ წინა წლებში (2006-2012წწ-ში) მოდავე მხარეები იმყოფებოდნენ ქირავნობიდან წარმოშობილ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში და ქ.გორში, ... ქ. №47-ში მდებარე ფართში მოპასუხე ახდენდა ავეჯის რეალიზაციას, მტკიცების ტვირთი, რომ წინა ქირავნობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოიჯარის ქონების მეიჯარისათვის გადაცემა ხდებოდა სწორედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სწორედ იმ მხარეს ეკისრებოდა, რომელიც მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე ქონების გადაცემის შესახებ ფაქტობრივ გარემოებას სადავოდ ხდიდა (კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხეს), რომელსაც ამ გარემოების დასადასტურებლად მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ ასევე არ გაიზიარა ჟ. ზ-ის პოზიცია ხელშეკრულების გაგრძელებისადმი ინტერესის დაკარგვასთან მიმართებაში და მიუთითა, რომ მართალია 2013

ნლის 15 თებერვალს შპს „ო. და კ-იასა“ და ზ. მ-ეს შორის გაფორმდა ქ.გორში, ... №43-ში მდებარე უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, 859მ² უძრავი ქონებიდან 50,76მ² ფართზე, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა შპს „ო. და კ-იას“, მაგრამ მტკიცების ტვირთი, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით გადაცემული 50,76მ² მოიცავდა და შედიოდა მოდავე მხარეთა შორის წინა ქირავნობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული და მოპასუხისათვის გადაცემულ 480მ² ფართში, ეკისრებოდა იმ მხარეს, რომელიც სადავოდ ხდიდა ამ გარემოებას, ანუ მოპასუხეს, რომელსაც ამ გარემოების დასადასტურებლად მტკიცებულებები არ წარმოუდგენია.

სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ 2013 წლის 1 იანვარს მხარეთა შორის დაიდო ახალი ქირავნობის ხელშეკრულება, გამომდინარე იქიდან, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც 2011-2012წწ-ში 480მ² მოსარჩელეს მოპასუხისათვის მიქირავებული ჰქონდა 600 აშშ დოლარად, რაც მხარეთა შორის სადავო გარემოებას არ წარმოადგენდა, მოსარჩელის საკუთრებაში არსებული სრული ფართი, რომელიც შეადგენდა 859მ²-ს, ლოგიკური იყო, რომ ისევე 600 აშშ დოლარად ვერ გაქირავდებოდა. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც 2012 წლის ქირის თანხის გადახდა მხარეთა შორის სადავო იყო.

ამდენად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, მოდავე მხარეთა შორის არსებული 2013 წლის 1 იანვარს შედგენილი ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ე. ზ-ის მიერ 2013 წლის იანვრის თვიდან 22 მაისის ჩათვლით მოსარჩელის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის ფაქტი.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა ე. ზ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ე. ზ-ის კასაციის საფუძველები (მიზეზები) მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავო პერიოდში მოიჯარის მიერ საიჯარო ფართის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ, კერძოდ, კასატორმა აღნიშნა, რომ საქმის განხილველმა სასამართლომ არასწორად გადააკისრა მას იმ გარემოების დადასტურების მტკიცების ტვირთი, რომ სადავო პერიოდში (2013 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი მაისის თვეში) ინდ.მენარმე ე. ზ-ის მიერ არ ხორციელდებოდა ქ.

გორში, ... ქ. №47-ში მდებარე 480მ² არასაცხოვრებელი ფართის მფლობელობა და სარგებლობა, მაშინ როდესაც სწორედ მოსარჩელე იყო ვალდებული ემტკიცებინა ის გარემოება, რომ მან 2013 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ნამდვილად გადასცა საიჯარო ფართი მოიჯარეს.

კასატორის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ წინა წლებში მხარეთა შორის არსებობდა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც კასატორი სადავოდ არ ხდოდა, არ წარმოადგენდა ერთმნიშვნელოვნად იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ (2013 წლის 1 იანვარი) საიჯარო ფართი კვლავ მოიჯარის მფლობელობაში იყო. კასატორი აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 1 იანვრის ხელშეკრულებით წარმოიშვა ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და ხელშეკრულების ორივე მხარე ვალდებული იყო შეესრულებინა მისი პირობები, რაც არ შესრულდა მეიჯარის მხრიდან, რაც იმაში გამოიხატა, რომ მეიჯარემ ნაცვლად იმისა, რომ უზრუნველყო საიჯარო ფართით მოიჯარის თავისუფალი სარგებლობა და მფლობელობა, ჩუმად გადახვისა (გაყიდა) იგი მესამე პირზე.

ამასთან, კასატორის მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სამართლომ არასწორი სამართლებრივი შეაფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ წყალმომარაგების კ-ის ცნობას, რომლითაც დაასკვნა, რომ უ. ზ-ი 2013 წლის იანვრიდან 22 მაისის ჩათვლით სარგებლობდა საიჯარო ფართით. კასატორი აღნიშნავს, რომ წყალმომარაგების კ-იდან გამოგზავნილი წერილი დათარიღებული იყო 2013 წლის 16 ოქტომბრით. სწორედ მითითებული პერიოდისათვის შეეძლო კ-იას კონკრეტული აბონენტის მიმართ ინფორმაციის გაცემა. შესაბამისად, წერილის ბოლოს არსებული ინფორმაცია აბონენტის მიერ შეწყვეტილი წყალმომარაგების თვითნებურად აღდგენისა და სასმელი წყლით სარგებლობის შესახებ, კ-იას შეეძლო დაეკონკრეტებინა, კერძოდ მითითებინა თუ როდის და რომელი აბონენტის მიერ ხდებოდა ასეთი თვითნებური ქმედებები, რა ღონისძიებებს მიმართა მან თითოეულ შემთხვევაში და არ მიეცა ზოგადი ხასიათის ინფორმაცია. სასამართლომ ამ ბუნდოვანი მტკიცებულებით თარიღებიც კი განსაზღვრა – „2013 წლის იანვარი – 22 მაისი“, რაც კასატორის მოსაზრებით არასწორია. კასატორმა აღნიშნა, რომ 2012 წლის ბოლოს კასატორსა და მოწინააღმდეგე მხარეს შორის მოხდა გაუგებრობა. შპს თვლიდა, რომ უ. ზ-ს ერიცხებოდა მისი დავალიანება. მოცემულ საკითხზე მოლაპარაკებები კასატორთან

ანარმოვა არა შპს „ო. და კ-იამ“, არამედ ფიზიკურმა პირებმა, მამა-შვილმა თ-ებმა. კასატორმა დაფარა დავალიანება 2013 წლის მდგომარეობით ფიზიკური პირების სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ 2013 წლის ქირის ნაწილი ჟ. ზ-მა გადაიხადა, შესაბამისად, დანარჩენი დავალიანებაც კასატორის გადასახადი ყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის განჩინებით ჟ. ზ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 16 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 1 იანვარს ერთი მხრივ, ინდივიდუალურ მენარმე ჟ. ზ-ს, როგორც „მოიჯარესა“ და შპს „ო. და კ-ის“ წარმომადგენელ ა. თ-ს, როგორც „მეიჯარეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქირავნობის შესახებ, რომლის თანახმად, მეიჯარემ იკისრა ვალდებულება მოიჯარისათვის გადაეცა არასაცხოვრებელი ფართი სათავსებით და ინვენტარით ქ.გორში, ე-ის ქ. №43-ში (ს. ქ. №47).

ამავე ხელშეკრულებით მე-2 პუნქტით განისაზღვრა ხელშეკრულების საგნის (ქ. გორში, ე-ის ქ. №43-ში (ს. ქ. №47) მდებარე არასაცხოვრებელი ფართის სათავსებითა და ინვენტარით)) გადაცემის წესი, სახელდობრ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მეიჯარე ვალდებული იყო, მოიჯარისთვის გადაეცა ობიექტი და ქონება მიღებაჩაბარების აქტით. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის 1 იანვარს და შემდგომში გრძელდებოდა ერთი წლის ვადით იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე ან მეიჯარე არ გამოთქვამდა სურვილს ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

ხელშეკრულების მე-4 მუხლით განისაზღვრა საიჯარო გა-

დასახადი და ანგარიშსწორების წესი, რომლის თანახმად, მოიჯარემ ვალდებულია აიღოს გადაეხადოს მეიჯარისათვის გადაცემული ობიექტითა და ქონებით სარგებლობის ყოველთვიური გადასახადი 600 აშშ დოლარი, ყოველი თვის 15 რიცხვამდე.

მოიჯარეს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მას ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მეიჯარისაგან დაქირავებული ჰქონდა ქ. გორში, ე-ის ქ. №43-ში (ს. ქ. №47) მდებარე არასაცხოვრებელი ფართი სათავსებითა და ინვენტარით, სადაც ახდენდა ავეჯის რეალიზაციას.

ვინაიდან კასატორს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სადავოდ არ გაუხდია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

ჟ. ზ-ის კასაციის საფუძვლები (მიზეზები) მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადავო პერიოდში მოიჯარის მიერ საიჯარო ფართის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ. კასატორის აღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა იზიარებს და მიიჩნევს, რომ ამ კუთხით კასატორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სადავოა ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდა, უპრიანია შეფასდეს მოცემული ურთიე-ის სამართლებრივი ასპექტები და მისგან გამომდინარე, მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. ხელშემკვრელ მხარეთა შორის ქირავნობის ურთიერთობის წარმოშობისათვის მარტოოდენ მხარეთა შეთანხმება (თუნდაც წერილობითი) საკმარისი არ არის, არამედ აუცილებელია ფართის დამქირავებლისათვის გადაცემა.

სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე

განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსკ-ის მე-4 მუხ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტების ე-ლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები), რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მითითებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე თავის მოთხოვნას იმ გარემოებაზე ამყარებდა, რომ მართალია მხარეთა შორის გართობითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოიწურა, თუმცა მოიჯარე კვლავ აგრძელებდა ქ. გორში, ე-ის ქ. №43-ში (ს. ქ. №47-ში) მდებარე მეიჯარის საკუთრების უფლებით რეგისტრირებული არასაცხოვრებელი ფართით სარგებლობას, რისთვისაც ვალდებული იყო გადაეხდა სარგებლობისა და მფლობელობის ქირა ყოველთვიურად 600 აშშ დოლარი, რომლის ოდენობამ სადავო პერიოდში (2013 წლის იანვარი-მაისი) შეადგინა 3000 (5X600) აშშ დოლარი, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს 2013 წლის ქირიდან გადახდილი ჰქონდა 674 აშშ დოლარი, დარჩენილი დავალიანების თანხა შეადგენდა 2196 აშშ დოლარს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ჟ. ზ-ს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია ზემოთ აღნიშნულის საწინააღმდეგოს დასადასტურებლად მტკიცებულება, კერძოდ, არ დაუდასტურებია, რომ მან საიჯარო ფართი დაუბრუნა მეიჯარეს და ამდენად, სადავო პერიოდში (2013 წლის იანვარი-მაისის თვე) არ ახორციელებდა მის მფლობელობასა და სარგებლობას. კასატორის პრეტენზია სწორედ იმ მოსაზრებითაა გამყარებული, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორად გადააკისრა მოიჯარეს მტკიცების ტვირთი იმ გარემოებისა, რომ სადავო პერიოდში (2013 წლის იანვარი-მაისი) მოიჯარე არ ახორციელებდა საიჯარო ფართით სარგებლობასა და მფლობელობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც განსახილველი საქმის მასალებითაა დადგენილი ჟ. ზ-სა (მოიჯარე) და შპს „ო. და კ-იას“ (მეიჯარე) შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-2 პუნქტით განისაზღვრა ხელშეკრულების საგნის (ქ. გორში, ე-ის ქ. №43-ში (ს. ქ. №47) მდებარე არასაცხოვრებელი ფართის სათავსებითა და ინვენტარით) გადაცემის წესი, სახელდობრ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მეიჯარე ვალდებული იყო, მოიჯარისთვის გადაეცა ობიექტი და ქონება მიღება-ჩაბარების აქტით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის სუბიექტების ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს, ანიჭებს ხელშეკრულების ორივე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ უფლებებსა და აკისრებს გარკვეულ მოვალეობებს. ხელშემკვერელ მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების იდენტიფიცირებას გააჩნია არა მხოლოდ მატერიალური, არამედ პროცესუალური მნიშვნელობა, რამდენადაც თითოეული მათგანი პასუხისმგებელია სწორედ მისი წილი ვალდებულების ჯეროვან შესრულებაზე (მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით), ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, სადავოობისას მასვე ეკისრება ამ ვალდებულების არსებობის გამომრიცხველი ან მისი შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა (საპროცესო-სამართლებრივი კუთხით). იმ ვითარებაში, როდესაც სადავოა საიჯარო ფართით სარგებლობისა და მფლობელობის შესახებ ფაქტობრივი გარემოება, ვინაიდან სწორედ ამ გარემოებაზეა დამოკიდებული საიჯარო ფართით სარგებლობისა და მფლობელობის საფასურის (საიჯარო ქირა) გადახდა (რომლის ოდენობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შეადგენს ხუთი თვის ქირას), მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილება საქმეზე დასაბუთებული და სამართლებრივად სწორი გადანაწილების გამოტანის წინაპირობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. 102-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცე-

ბულებებით. საკასაციო პალატის განმარტებით, კანონის ეს მოთხოვნა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ამა თუ იმ გარემოების დასამტკიცებლად მატერიალური კანონით ან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მტკიცების სტანდარტი – სპეციალური მტკიცებულება. მოცემულ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როდესაც თავად ხელშემკვერელ მხარეთა მიერ წინასწარ იქნა დადგენილი ხელშეკრულების საგნის (ქ. გორში, ე-ის ქ. №43-ში (ს. ქ. №47) მდებარე არასაცხოვრებელი ფართი სათავსებითა და ინვენტარით) გადაცემის წესი, სახელდობრ, ხელშეკრულების 2.1 პუნქტით დადგენილი წესის მიხედვით, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მეიჯარე ვალდებული იყო, მოიჯარისთვის გადაეცა ობიექტი და ქონება მიღება-ჩაბარების აქტით. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, კერძოდ საიჯარო ფართის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სადავო პერიოდში (2013 წლის იანვარი-მაისის თვე) მოიჯარეს გადაცემული ჰქონდა საიჯარო ფართი, რომელიც ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე წარმოშობდა მეიჯარის მხრიდან საიჯარო ქირის (ყოველთვიურად 600 აშშ დოლარი) გადახდის ვალდებულებას, ხოლო მისი გადაუხდელობის შემთხვევაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებასაც.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს შეფასება იმის თაობაზე, რომ „ვინაიდან მოდავე მხარეები წინა წლებში (2006-2012წწ-ში) იმყოფებოდნენ ქირავნობიდან წარმოშობილ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში და ქ.გორში, ს. ქ. №47-ში მდებარე ფართში მოპასუხე ახდენდა ავეჯის რეალიზაციას, მტკიცების ტვირთი, რომ წინა ქირავნობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოიჯარის ქონების მეიჯარისათვის გადაცემა ხდებოდა სწორედ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე სწორედ იმ მხარეს ეკისრებოდა, რომელიც მიღება-ჩაბარების აქტის გარეშე ქონების გადაცემის შესახებ ფაქტობრივ გარემოებას სადავოდ ხდიდა (კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხეს)“. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი დადგენილია მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების მომწერიგებელი ნორმებით, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით, რომელიც ფაქტებზე მითითებისა და მისი დადასტურების ტვირთს

აკისრებს მოსარჩელეს. განსახილველი საქმე მიეკუთვნება სწორედ იმ შემთხვევას, რომ სწორედ მოსარჩელეა ვალდებული, რომელიც მოცემულ დავაში წარმოადგენ მეიჯარეს, ამტკიცოს მოიჯარისათვის (მოპასუხე) საიჯარი ფართის გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოება. მოსარჩელის/მეიჯარის ამ საპროცესო ვალდებულების არსებობის საფუძველია, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, ასევე მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც სწორედ მეიჯარეს ავალდებულებდა საიჯარი ფართის გადაცემა გაეფორმებინა მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც მოსარჩელეს/მეიჯარეს სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

ამასთან, საკასაციო პალატის მოსაზრებით სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კ-ის გორის სერვისცენტრის 2013 წლის 16 ოქტომბრის წერილს, რომლის შინაარსით ქ. გორში, ს. ქ. №46-ში 2010 წლის ოქტომბრიდან აბონენტად ფიქსირდებოდა ყ. ზ-ი, რომელსაც ერიცხებოდა დავალიანება კ-ის მიმართ; დავალიანების გადაუხდელობის გამო კი, აბონენტს 2012 წლის 3 მაისიდან შეუწყდა წყალმომარაგება, თუმცა აბონენტი თვითნებურად აღადგენდა შეწყვეტილ წყალმომარაგებას და სარგებლობდა სასმელი წყლით. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი ხელწერილის შინაარსით არ ირკვეოდა თუ კონკრეტულად რომელ პერიოდში ხდებოდა შეწყვეტილი წყალმომარაგების აღდგენა/წყლის მოხმარება და შესაბამისად, ემთხვეოდა თუ არა ეს პერიოდი სადავო 2013 წლის იანვარი-მაისის თვეს. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული ხელწერილი არ იძლევა ერთმნიშვნელოვნად იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ სადავო პერიოდში სწორედ ყ. ზ-ის მხრიდან ხდებოდა წყლის მოხმარება, რაც თავის მხრივ, დაადასტურებდა სადავო პერიოდში (2013 წლის იანვარი-მაისის თვე) მოიჯარის მიერ საიჯარო ფართის მფლობელობასა და სარგებლობას.

ხოლო რაც შეეხება, საქმეში წარმოდგენილ ხელწერილს, რომლითაც ყ. ზ-ი აღიარებს შპს „ო. და კ-ის“ მიმართ საიჯარო ფართით სარგებლობისთვის არსებულ დავალიანებას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული არ შეიძლება საფუძველად დაედოს სადავო პერიოდში (2013 წლის იანვარი-მაისის თვე) მისი მხრიდან საიჯარო ფართით სარგებლობას, გამომდინარე იქიდან რომ ამ ხელწერილის მიხედვით აღიარებული დავალიანება შეეხება 2013 წლამდე პერიოდს, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში კი, სადავოა 2013 წლის იანვარი-მაისის თვე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ წარმოადგენდა მოპასუხე ჟ. ზ-ისათვის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გადაუხდელი ქირის – 2196 აშშ დოლარისა და 2013 წლის 1 თებერვლიდან 2013 წლის 22 მაისის ჩათვლით პირგასამტეხლოს – 1800 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის მოთხოვნის უფლება კი, გამქირავებელს აქვს მხოლოდ ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნივთის დამქირავებლისათვის გადაცემის მომენტიდან დამქირავებლის მფლობელობის პერიოდში (სკ-ის 531-ე მუხ.). ვინაიდან მოცემულ საქმეზე დადასტურებული არ არის სადავო პერიოდში (2013 წლის იანვარი-მაისის თვე) საიჯარო ფართის ჟ. ზ-ის მიერ მფლობელობის შესახებ ფაქტობრივი გარემოება, ამიტომ არ არსებობს ამ ფართით სარგებლობისათვის ამ პერიოდზე ქირის გადახდის მოთხოვნის უფლება. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება შპს „ო. და კ-ის“ სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადაუხდელი ქირისა და ვალდებულების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯე-

ბის განაწილებასაც.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, შ. ზ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია შპს „ო. და კ-ია“ ვალდებულია აუნაზღაუროს კასატორს საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შ. ზ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ო. და კ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ო. და კ-იას“ (საიდენტიფიკაციო კოდი:) დაეკისროს შ. ზ-ის სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 300 ლარის გადახდა.
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ბაქირავეზული ნივთის დაუზრუნავლობის გამომწვევების აღმოჩენის ანაზღაურება

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1210-1155-2013

3 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება (ძირითად სარჩელში) ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ს. ტ-იმ“ თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „ა. ჯ-ის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა.

სასარჩელო მოთხოვნები:

1. შპს „ა. ჯ-ის“ მოსარჩელე შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 5500 ლარის გადახდა;

2. მოპასუხე შპს „ა. ჯ-ის“ მოსარჩელე შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლოს – 1845 ლარის და 2013 წლის 1 თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 11 ლარის გადახდა;

3. მოპასუხე შპს „ა. ჯ-ის“ დაევალოს ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირზე №...მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე გარე რეკლამის სარგებლობით შეწყვეტა და დემონტაჟი;

4. მოპასუხე შპს „ა. ჯ-ის“ მოსარჩელე შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 12500 ლარისა და 2013 წლის 1 თებერვლიდან გადანყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 83.33 ლარის გადახდა.

მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 8 აგვისტოს მხარეებს შორის დაიდო ხელშეკრულება გარე რეკლამის განთავსების უფლების 1 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებით მოსარჩელემ მოპასუხეს ხელშეკრულების მოქმედების ვადით სარგებლობაში გადასცა ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე გარე რეკლამის განთავსების უფლება. თავის

მხრივ, მოპასუხე ვალდებული იყო ყოველთვის უნდა გადაეხადა 2500 ლარი დღგ-ს ჩათვლით. მოპასუხემ ქირა ბოლოს 2012 წლის 30 სექტემბერს გადაიხადა. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ა. ჯ-ის“ ჯამში 31938.48 ლარი უნდა გადაეხადა, საიდანაც 26 435.38 ლარი ჩარიცხა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამონაწერის მიუხედავად, მოპასუხე განაგრძობს უფლებით სარგებლობას და ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე განთავსებული აქვს გარე რეკლამა. ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო პირგასამტეხლოც.

შპს „ა. ჯ-იმ“ შეგებებული სარჩელი აღძრა და მოითხოვა 2011 წლის 8 აგვისტოს მხარეებს შორის დადებული გარე რეკლამის განთავსების უფლების გარკვეული ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შპს „ს. ტ-ისათვის“ შპს „ა. ჯ-ის“ სასარგებლოდ 28 935 ლარის გადახდის დაკისრება, ასევე, ზიანის ანაზღაურების – 2277.44 ლარისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 8.64 ლარის გადახდის დაკისრება.

მხარის განმარტებით, მართალია, 2011 წლის 8 აგვისტოს მხარეებს შორის დაიდო გარე რეკლამის განთავსების უფლების გარკვეული ვადით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, თუმცა მოპასუხეს ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არ გააჩნდა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ნებართვა ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე გარე რეკლამის განთავსების თაობაზე, შესაბამისად, ხელშეკრულება მოცულებით დაიდო. 2011 წლის სექტემბერში მოსარჩელესა და შპს „ა. ლ. ს-ას“ შორის დაიდო ხელშეკრულება ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე გარე რეკლამის მოწყობის უფლებით გადაცემის თაობაზე. შპს „ა. ლ. ს-ას“ უკვე 2009 წელს შექმნილი ჰქონდა სარეკლამო მონიტორის განთავსების უფლებისა და მშენებლობის პროექტი, ასევე, მოპოვებული ჰქონდა მშენებლობის ნებართვა, ხოლო 2011 წელს მიიღო გარე რეკლამის მოწყობის ნებართვაც. შესაბამისად, მოპასუხე არ იყო უფლებამოსილი, დაედო სადავო ხელშეკრულება. მოსარჩელე არასწორად უთითებს, რომ მოპასუხემ ხელშეკრულებიდან გამომდინარე 26 435.38 ლარი ჩარიცხა. ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ს. ტ-ის“ მიღებული აქვს 28 935 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2013 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ს. ტ-ი-ს“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „ა. ჯ-ის“ მოსარჩელე შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 5500 ლარის გადახდა, ასევე, პირგასამტეხლოს – 461.25 ლარის და 2013 წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 2.75 ლარის გადახდა; შპს „ა. ჯ-ის“ დაევალა ქ. თბილისში ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე გარე რეკლამის სარგებლობით შეწყვეტა და მასზე არსებული გარე რეკლამის დემონტაჟი; შპს „ა. ჯ-ის“ შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 12500 ლარისა და 2013 წლის 1 თებერვლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველდღიურად 83.33 ლარის გადახდა. შპს „ა. ჯ-ის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 ნოემბრის განჩინებით შპს „ა. ჯ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თ-ის“ 2009 წლის 1 აპრილის №1 კრების ოქმის თანახმად, შპს „ა. ლ. ს-ას“ მიენიჭა ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირზე №...-ში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თ-ის“ საერთო საკუთრებაში არსებულ კორპუსზე სარეკლამო მონიტორის განთავსების უფლება. ამასთან, შპს „ა. ლ. ს-ას“ დაეკისრა ვალდებულება, ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მცხოვრებლები უზრუნველყო უფასო 24-საათიანი ა-ით. სანებართვო ვადა განისაზღვრა 3 წლით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თ-ის“ 2011 წლის 5 მაისის №20 კრების ოქმის თანახმად, შპს „ა. ლ. ს-ას“ მიენიჭა ქ.თბილისში ჭ-ის გამზირის №...-ში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თ-ის“ საერთო საკუთრებაში არსებულ კორპუსზე სარეკლამო წარწერის განთავსების უფლება. ამასთან, შპს „ა. ლ. ს-ას“ დაეკისრა ვალდებულება ჭ-ის გამზირ №...-ის მაცხოვრებლები უზრუნველყო უფასო 24-საათიანი „ს. ტ-ით“. სანებართვო ვადა განისაზღვრა 3 წლით. 2011 წლის 8 აგვისტოს შპს „ა. ჯ-ისა“ და შპს „ს. ტ-ის“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის შინაარსიდან გამომდინარე შპს „ს. ტ-იმ“ შპს „ა. ჯ-ის“ სასარგებლოდ დათმო ქ. თბილისში ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე გარე რეკლამის განთავსების უფლება და აღ-

ნიშნული ფართი გადასცა მას სარგებლობაში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირზე №... მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე გარე რეკლამის განთავსების უფლება შპს „ს. ტ-ის“ მოპოვებული ჰქონდა ამავე მისამართზე მდებარე სახლის ყველა ოჯახისათვის საკაბელო სატელევიზიო მომსახურების მინოდების საფუძველზე. ასევე, ამავე მისამართზე მდებარე სახლის ბოლო სართულის მესაკუთრის სასარგებლოდ თვეში 150 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ. შპს „ა. ჯ-ი“ ვალდებული იყო, შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ გადაეხადა თვეში 2500 ლარი დღგ-ს ჩათვლით, ამასთან, ხელშეკრულების 3.2.2. პუნქტის მიხედვით, შპს „ა. ჯ-იმ“ აიღო ვალდებულება, თავად უზრუნველყო ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირზე №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე რეკლამის განთავსების ყველა ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი საკითხი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 8 აგვისტომდე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მითითება, რომ შპს „ს. ტ-ის“ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არ ჰქონდა სარეკლამო აბრის განთავსების უფლება. ხელშეკრულების 3.2.2. პუნქტის მიხედვით, შპს „ა. ჯ-ი“ თავად იყო ვალდებული, უზრუნველყო ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე კუთვნილი რეკლამის განთავსების ყველა ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი საკითხი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ხელშეკრულებაზე ხელმოწერით შპს „ა. ჯ-ი“ დაეთანხმა იმ გარემოებას, რომ იგი შპს „ს. ტ-ისგან“ იძენდა მხოლოდ ფართით სარგებლობის უფლებას.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 8 აგვისტოს მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შპს „ა. ჯ-ის“ შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ 2012 წლის 30 სექტემბერის ჩათვლით 31938.48 ლარიდან გადახდილი აქვს 26 435.38 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აპელანტის განმარტებაზე, რომ შპს „ა. ჯ-ის“ შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ 31938.48 ლარიდან გადახდილი აქვს არა 26 435.38 ლარი, როგორც დაადგინა საქალაქო სასამართლომ, არამედ, 28 935 ლარი და განმარტა, რომ, მართალია, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება ის გარემოება, რომ 2011 წლის აგვისტოდან – 2013 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით შპს „ა. ჯ-ის“ შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ ჩარიცხული აქვს საბოლოო

ჯამში 28 935;48 ლარი 31938.48 ლარიდან, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბოლო გადახდა 2500 ლარი განხორციელდა 2013 წლის 5 თებერვალს – შპს „ს. ტ-ის“ მიერ სარჩელის შეტანის დღეს. შესაბამისად, მოსარჩელისათვის ვერ იქნებოდა ცნობილი შპს „ა. ჯ-ის“ დამატებით თანხის ჩარიცხვის ფაქტი. მან მოთხოვნა დააყენა სარჩელის შეტანის დროს არსებული დავალიანების ფარგლებში, რაც დაადასტურა შესაბამისი მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დაიდო ქვექირავნობის ხელშეკრულება.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 531-ე და 553-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ შპს „ა. ჯ-იმ“ შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ არა მხოლოდ ნაწილობრივ გადაიხადა შეთანხმებული ქირა, არამედ, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომაც გააგრძელა ნივთით სარგებლობა, ამდენად, შპს „ს. ტ-ის“ მოთხოვნა მიუღებელი ქირისა და ნივთით სარგებლობის შეწყვეტამდე შეთანხმებული ქირის ანაზღაურების შესახებ დასაბუთებულია. ხელშეკრულების ვადა დასრულდა 2012 წლის 8 აგვისტოს, რითაც შპს „ს. ტ-ის“ წარმოეშვა შპს „ა. ჯ-ის“ მხრიდან ნივთით სარგებლობის შეწყვეტისა და ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრა პირგასამტეხლო 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. „ა. ჯ-იმ“ ვალდებულია არაჯეროვნად შეასრულა, რაც პირგასამტეხლოს მოთხოვნის წარმოშობის უდავო საფუძველს წარმოადგენს. პალატამ, ასევე, მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად შეამცირა პირგასამტეხლოს ოდენობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „ა. ჯ-იმ“ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით. საკასაციო საჩივარი შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ წანამძღვრებს ემყარება: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამხანაგობამ რეკლამის განთავსების ნებართვა შპს „ა. ლ. ს-ას“ გადასცა და არა „ს. ტ-ის“, რაც მთლიანად ცვლის საქმის არსს. შპს „ა. ჯ-ის“ გადახდილი აქვს 28935 ლარი, რასაც სასამართლო ადასტურებს, თუმცა, გაუგებარია, ეს გარემოება სამართლებრივად რატომ არ შეაფასა. შპს „ს. ტ-ი“ არ იყო სადავო სახლის სახურავის არც დამქირავებელი ან მოსარგებლე. საქმეში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება და ორივე ინსტანციის სასამართლომ მხოლოდ ზეპირი განმარტება გაიზიარა. სასამართლომ

არ გაითვალისწინა, რომ შპს „ს. ტ-ისა“ და შპს „ა. ლ. ს-ას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო 2012 წლის 7 ოქტომბრიდან. ვინაიდან შპს „ა. ჯ-ის“ სარგებლობის უფლება მიღებული აქვს შპს „ა. ლ. ს-ასთან“ დადებული ხელშეკრულებით, გაუგებარია, სასამართლომ რეკლამის დემონტაჟი რა მიზეზით დაავალა. სააპელაციო სასამართლოს ამ გარემოებებზე არ უმსჯელია. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალი იყო და სააპელაციო სასამართლოს უნდა შეემცირობინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის განხილვის შემომხების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ა. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თ-ის“ 2009 წლის 1 აპრილის №1 კრების ოქმის თანახმად, შპს „ა. ლ. ს-ას“ მიენიჭა ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თ-ის“ საერთო საკუთრებაში არსებულ კორპუსზე სარეკლამო მონიტორის განთავსების უფლება. ამასთან, შპს „ა. ლ. ს-ას“ დაეკისრა ვალდებულება ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მცხოვრებლები უზრუნველყოფდეს უფასო 24-საათიანი ა-ით. სანებართვო ვადა განისაზღვრა 3 წლით;

2. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თ-ის“ 2011 წლის 5 მაისის №20 კრების ოქმის თანახმად, შპს „ა. ლ. ს-ას“ მიენიჭა ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირის №...-ში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თ-ის“ საერთო საკუთრებაში არსებულ კორპუსზე სარეკლამო წარწერის განთავსების უფლება. ამასთან, შპს „ა. ლ. ს-ას“ დაეკისრა ვალდებულება ჭ-ის გამზირ №...-ის მცხოვრებლები უზრუნველყოფდეს უფასო 24-საათიანი „ს. ტ-ით“. სანებართვო ვადა განისაზღვრა 3 წლით;

3. 2011 წლის 8 აგვისტოს შპს „ა. ჯ-ისა“ და შპს „ს. ტ-ის“ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის შინაარსიდან გამომდინარე შპს „ს. ტ-იმ“ შპს „ა. ჯ-ის“ სასარგებლოდ დათმო ქ. თბილისში ჭ-ის გამზირზე №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე გარე რეკლამის განთავსების უფლება და აღნიშნული ფართი გადასცა მას სარგებლობაში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქ. თბილისში ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე გარე რეკლამის განთავსების უფლება შპს „ს. ტ-ის“ მოპოვებული ჰქონდა ამავე მისამართზე მდებარე სახ-

ლის ყველა ოჯახისათვის საკაბელო სატელევიზიო მომსახურების მიწოდების საფუძველზე, ასევე, ამავე მისამართზე მდებარე სახლის ბოლო სართულის მესაკუთრის სასარგებლოდ თვეში 150 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ;

4. შპს „ა. ჯ-ი“ ვალდებული იყო, შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ გადაეხადა თვეში 2500 ლარი დღგ-ს ჩათვლით, ამასთან, ხელშეკრულების 3.2.2. პუნქტის მიხედვით, შპს „ა. ჯ-იმ“ აიღო ვალდებულება, თავად უზრუნველყო ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე რეკლამის განთავსების ყველა ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი საკითხი. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 8 აგვისტომდე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ამგვარი პრეტენზია წარმოდგენილი არ ყოფილა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ შპს „ს. ტ-იმ“ შპს „ა. ჯ-ის“ ფართით სარგებლობის უფლება დაუთმო (ქვექირავნობა).

სამოქალაქო კოდექსის 549-ე და 550-ე მუხლები ითვალისწინებს ქვექირავნობის ნივთის მესაკუთრესთან შეთანხმების ვალდებულებას, მაგრამ ნივთის მესაკუთრეს უფლება არ აქვს, უარი თქვას ქვექირავნობაზე გარდა 550-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

ხელშეკრულების თანახმად, შპს „ა. ჯ-იმ“ აიღო ვალდებულება, თავად უზრუნველყო ქ.თბილისში, ჭ-ის გამზირის №...-ში მდებარე მრავალბინიანი სახლის სახურავზე რეკლამის განთავსების ყველა ადმინისტრაციული თუ სამართლებრივი საკითხი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს დათქმა გულისხმობს არა მხოლოდ კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსაგან ნებართვის მოპოვებას, არამედ ქვექირავნობის მრავალბინიანი სახლის მცხოვრებლებთან შეთანხმებასაც.

ხელშეკრულების სწორედ ამ პირობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ შპს „ს. ტ-ისთან“ ხელშეკრულება მოტყუების შედეგად დაიდო, ვინაიდან ამ უკანასკნელს ნებართვა არ ჰქონდა მოპოვებული. ცალსახაა, რომ მოპასუხემ თავად იკისრა ნებართვის მოპოვების ვალდებულება, ხოლო შპს „ს. ტ-ისაგან“ ფართით სარგებ-

ლობის უფლება მიიღო, ამდენად, გარიგების დადებისას მოტყუება გამოირიცხება.

თუნდაც დავუშვათ, რომ შპს „ა. ჯ-ისათვის“ ხელშეკრულების დადებისას ცნობილი არ იყო, რომ შპს „ს. ტ-ის“ ნებართვა არ ჰქონდა მიღებული, მისთვის ამ გარემოების შესახებ, სულ მცირე, 2011 წლის 1 სექტემბრიდანაა ცნობილი, როდესაც შპს „ა. ლ. ს-ასთან“ ხელშეკრულება დადო. თუ ამ ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც კასატორი მიუთითებს, შპს „ს. ტ-ისთან“ სახელშეკრულებო ურთიერთობის საჭიროება მოიხსნა, საკასაციო სასამართლოს აზრით, შპს „ა. ჯ-ის“, ამ პერიოდთან მიმართებით, ქირის გადახდა უნდა შეეწყვიტა, ხელშეკრულების მოშლა მოეთხოვა და ა.შ, რაც არ მომხდარა და როგორც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, შპს „ა. ჯ-ი“ შპს „ს. ტ-ისათვის“ ქირის გადახდას 2012 წლის სექტემბრის მდგომარეობითაც აგრძელებდა, ხოლო ბოლოს ქირა 2013 წლის 5 თებერვალს გადაიხადა.

საკასაციო სასამართლოს აზრით, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილი. აღნიშნული ნორმის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას, რაც იმას ნიშნავს, რომ შპს „ა. ჯ-ის“ მიერ „ს. ტ-ისათვის“ ქირის გადახდა მასთან ვალდებულების არსებობას ადასტურებს.

რაც შეეხება გადაუხდელ ქირას, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ შპს „ა. ჯ-ის“ დავალიანება 3000 და არა 5500 ლარია.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის აგვისტოდან – 2013 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით შპს „ა. ჯ-ის“ შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ ჩარიცხული აქვს საბოლოო ჯამში 28 935,48 ლარი 31938.48 ლარიდან. ბოლოს 2500 ლარი 2013 წლის 5 თებერვალსაა გადახდილი – შპს „ს. ტ-ის“ მიერ სარჩელის შეტანის დღეს. ამ ფაქტობრივი გარემოების მიუხედავად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და განმარტა, რომ მოსარჩელისათვის ვერ იქნებოდა ცნობილი შპს „ა. ჯ-ის“ დამატებით თანხის ჩარიცხვის ფაქტი. მან მოთხოვნა დააყენა სარჩელის შეტანის დროს არსებული დავალიანების ფარგლებში, რაც დაადასტურა შესაბამისი მტკიცებულებებით.

საკასაციო სასამართლოსათვის გაუგებარია ზემოაღნიშნული არგუმენტი და აღნიშნავს, რომ მოპასუხემ სათანადო მტკიცებულებით დაადასტურა დარჩენილი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება, რასაც მოსარჩელეც აღიარებს შესაგებლის პასუხში. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ფაქტობ-

რივი გარემოება იმის შესახებ, რომ შპს „ა. ჯ-იმ“ 2500 ლარი ნამდვილად გადაიხადა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოსათვის გაუგებარია, რომელ სამართლის ნორმაზე დაყრდნობით მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ, რომ სარჩელი მაინც სრულად უნდა დაკმაყოფილებულიყო ან რა მნიშვნელობა აქვს, სარჩელის წარდგენის დროისათვის მოსარჩელემ იცოდა თუ არა, შპს „ა. ჯ-ის“ მიერ თანხის გადახდის თაობაზე, როცა ცალსახაა, რომ გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის ვალდებულება ნაწილობრივ შესრულებული იყო. ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება მოპასუხის მტკიცების საგანი იყო, რაც მან შეასრულა და ამ ფაქტს მოსარჩელეც დაეთანხმა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლომ უნდა შეაფასოს მტკიცებულებები და დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, ან რა ნაწილში ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლი ანესრიგებს შემთხვევას, როცა მოსარჩელე უარს ამბობს მოთხოვნაზე იმის გამო, რომ მოპასუხემ სარჩელის აღძვრის შემდეგ იგი ნებაყოფლობით დააკმაყოფილა, მაგრამ თუნდაც ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე თავად არ ამბობდეს სარჩელზე უარს, მოპასუხის მიერ მოთხოვნის შესრულება სარჩელის დაკმაყოფილებას გამოირიცხავს შესრულებული ვალდებულების პროპორციულად, ვინაიდან ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი ეცლება. ერთხელ უკვე გადახდილი თანხის სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის განმეორებით დაკისრებით მოსარჩელე უსაფუძვლოდ მდიდრდება და მოპასუხის კანონიერი ინტერესები ირღვევა, ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, მოპასუხემ ვალდებულება საქმის პირველ ინსტანციაში განხილვისას შეასრულა თუ აპელაციაში. ეს გარემოება ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევივცთაა მიღებული, რამაც შედეგზე გავლენა მოახდინა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, ამასთან, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ გადახდის ფაქტი დაადგინა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, ამ ნაწილში თავად შეცვალოს

გადანყვეტილება.

რაც შეეხება კასაციის სხვა საფუძვლებს, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ, სამოქალაქო კოდექსის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავებულ ნივთს, მაშინ გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2012 წლის 8 აგვისტოს ამოიწურა, თუმცა მოპასუხე ამ ვადის გასვლის შემდეგაც აგრძელებს ფართით სარგებლობას, რაც შპს „ს. ტ-ის“ სარგებლობის პერიოდისათვის ქირის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ, ვინაიდან შპს „ა. ჯ-ი“ სახურავით შპს „ა. ლ. ს-ასთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობს, რეკლამის დემონტაჟის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 2011 წლის 1 სექტემბრის ხელშეკრულებით შპს „ა. ლ. ს-ამ“ შპს „ა. ჯ-ის“ 15 კვ.მ სახურავზე სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების უფლება გადასცა, ამასთან, ხელშეკრულება 2012 წლის 31 აგვისტომდე მოქმედებდა. ცხადია, მოცემული დავის საგანი არ არის შპს „ა. ლ. ს-ასა“ და შპს „ა. ჯ-ის“ შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა და სასამართლო არ ადგენს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 15 კვ.მ ფართით სარგებლობის მართლზომიერების საკითხს, მაგრამ სახურავის დანარჩენი ნაწილით სარგებლობა შპს „ს. ტ-ისთან“ შეთანხმების საგანია და, ამ გარემოების გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა დემონტაჟის თაობაზე მართლზომიერია.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია და სასამართლოს უნდა შეემცირობინა. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებით და მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო დღეში 11 ლარიდან დღეში 2,75 ლარამდე შეამცირა, რაც შეუსაბამოდ მაღალი არ არის და მოპასუხის ფინანსურ მდგომარეობას ზედმეტად მძიმე ტვირთად არ დაანება, ამდენად, კასატორის მოთხოვნა უსაფუძვლოა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა გადანყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილში

არაფერია ნათქვამი, რა ბედი ენია შეგებებულ სარჩელს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე. ამ ნორმაზე დაყრდნობით საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მითითებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების თაობაზე, ამასთან, საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ შეგებებულ სარჩელში მითითებული ყველა ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი შეაფასა, ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილება კი შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას გამოირიცხავს და მიიჩნევს, რომ საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნის დარღვევა არ არის ისეთი მნიშვნელობის, რაც საქმის განხილვის შედეგზე ახდენს გავლენას და ამ საფუძველით გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას არ მიიჩნევს მიზანშეწონილად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო, ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

განსახილველ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის ღირებულება იყო 28 935,48, რომელიც 2500 ლარის ნაწილში დაკმაყოფილდა, რაც დავის საგნის 8,6%-ს შეადგენს და მოსარჩელემ შეგებებული სარჩელის ავტორს პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 8,6% – 80 ლარი უნდა აუნაზღაუროს, ამასთან შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილ-

და 2500 ლარის ნაწილში, რაც მთლიანი დავის საგნის 13%-ს შეადგენს, შესაბამისად, მოსარჩელის სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში ასანაზღაურებელ ბაჟს უნდა გამოაკლდეს 13% და ამავე პროპორციით შპს „ს. ტ-იმ“ შპს „ა. ჯ-ის“ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი ბაჟი უნდა აუნაზღაუროს, სულ – 793,52 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 410-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „ა. ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. შპს „ა. ჯ-ისათვის“ შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ 5500 ლარის გადახდისა და სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 ოქტომბრის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ს. ტ-ის“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „ა. ჯ-ის“ (საიდენტიფიკაციო კოდი ...) შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 3000 ლარის გადახდა;

5. შპს „ა. ჯ-ის“ შპს „ს. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 481,84 ლარის ანაზღაურება;

6. შპს „ს. ტ-ის“ შპს „ა. ჯ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 80,5 ლარის, აგრეთვე, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან სულ 793,52 ლარის ანაზღაურება;

7. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 17 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

იჯარა

საიჯარო ქირა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1144-1090-2014

23 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს გადახდა

აღწერილობითი ნაწილი:

ი-ი ს-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს. ბ-ის“ მიმართ საიჯარო ქირის – 22290 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს – 4887,75 აშშ დოლარის, ყოველ გადაცილებულ დღეზე დავალიანების 0.04%-ის გადახდის შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2007 წლის 20 დეკემბერს შპს „ა. ს-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის დაიდო იჯარის ხელშეკრულება ყოველთვიურად საიჯარო ქირის სახით 3714 აშშ დოლარის გადახდის შესახებ.

ამავდროულად, 2009 წლის 1 აპრილს მხარეები შეთანხმდნენ ერთი წლის განმავლობაში, ანუ 2010 წლის 1 აპრილამდე საიჯარო ქირის 3000 აშშ დოლარამდე შემცირების თაობაზე.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ 2010 წლის 1 აპრილიდან მოპასუხეს უნდა გადაეხადა კვლავინდებურად 3714 აშშ დოლარი, ბანკი კი იხდიდა 3000 აშშ დოლარს. 2011 წლის მაისში მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყდა.

2013 წლის 17 დეკემბერს შპს „ა. ს-მ“ მოპასუხის მიმართ არსებული მოთხოვნა დაუთმო ი-ი ს-ეს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2009 წლის 1 აპრილს დადებული შეთანხმებით გაუქმდა 2007 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულების პირობა საიჯარო ქირის სახით 3715 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე და აღნიშნული ოდენობა 3000 აშშ დოლარამდე შემცირდა. ამავდროულად, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 2010 წლის 1 აპრილს, სარჩელი კი აღძრა 2013

წლის 30 დეკემბერს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ი-ი ს-ემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2007 წლის 20 დეკემბრის საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, შპს „ს. ს-მა“ (ამჟამად უფლებამონაცვლეა შპს „ა. ს.“) 2007 წლის 20 დეკემბერს იჯარით გადასცა სს „ს. ბ-ს“ ქალაქ ქ-ში, რ-ის გამზირსა და წ-ის ქუჩის №1/2-ში მდებარე 106 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი 5 წლის ვადით ყოველთვიურად იჯარის ქირის სახით 3715 აშშ დოლარის გადახდის პირობით. საიჯარო ქირა უნდა გადახდილიყო შესაბამისი საანგარიშო თვის დაწყებიდან 10 დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარეს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.04%-ის ოდენობით. თუ რომელიმე მხარე ვადამდე შეწყვეტდა იჯარის ხელშეკრულებას, მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა მეორე მხარის სასარგებლოდ 6 თვის საიჯარო ქირის ოდენობით.

2009 წლის 1 აპრილის შეთანხმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე პალატამ დაადგინა, რომ 2009 წლის 1 აპრილს ცვლილება შევიდა ზემოთ აღნიშნულ იჯარის ხელშეკრულებაში, კერძოდ, საიჯარო გადასახადი 2009 წლის 1 აპრილიდან 1 წლის ვადით განისაზღვრა 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. ერთი წლის შემდეგ, მოხდებოდა საიჯარო ქირის გადახედვა, თუმცა 2010 წლის 1 აპრილს ახალი შეთანხმება არ დადებულა. სს „ს. ბ-ი“ მოსარჩელეს 2010 წლის 1 აპრილის შემდეგაც 2011 წლის 1 მაისამდე, ანუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ყოველთვიურად უხდიდა 3000 აშშ დოლარს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ, სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ შპს „ა. ს-მ“ 2010 წლის 1 აპრილის შემდგომ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე პრეტენზია განაცხადა საიჯარო ქირის ოდენობასთან დაკავშირებით. მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტება კი საკმარისი არ არის, რადგან მოპასუხე სადავო გარემოებას არ აღიარებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2009 წლის 1 მაისის შეთანხმებით 2010 წლის 2 ივლისის №... სანოტარო აქტით, მე-

წარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დადასტურდა, რომ 2009 წლის 1 მაისს შეწყდა შპს „ა. ს-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის 2007 წლის 20 დეკემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება. მოიჯარის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა თ-ე გ-მა, რომელიც სს „ს. ბ-ის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ა. ნ-ისაგან უფლება-მოსილი იყო, სს „ს. ბ-ის“ სახელით ხელი მოეწერა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებაზე. თავის მხრივ, ა. ნ-ი წარმოადგენს სს „ს. ბ-ის“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

2013 წლის 17 დეკემბრის შეთანხმებით სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა, რომ შპს „ა. ს-მ“ 2007 წლის 20 დეკემბერის საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნა დაუთმო ი-ი ს-ეს.

საქმის მასალებით არ დგინდება, სს „ს. ბ-ს“ როდის ჩაბარდა ი-ი ს-ის სარჩელი თანდართული მასალებით. შესაბამისად, შეუძლებელია განისაზღვროს მომენტი, საიდან უნდა ათვლილიყო შესაგებლის წარმოსადგენად სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ განსაზღვრული 10-დღიანი ვადა.

2014 წლის 11 მარტს სს „ს. ბ-მა“ წარადგინა საქალაქო სასამართლოში შესაგებელი, რომლითაც არ ცნო სარჩელი, მისი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო, ამასთან, ითხოვა დამატებითი ვადა დაზუსტებული შესაგებლის წარსადგენად, იმ მოტივით, რომ საქმე იყო დაარქივებული და განსაზღვრული 10-დღიანი ვადა არ იყო საკმარისი შესაგებლის მოსამზადებლად.

2014 წლის 17 მარტს საქალაქო სასამართლომ დანიშნა საქმეზე მთავარი სხდომა 2014 წლის 26 მარტს, 14:30 საათზე. 2014 წლის 20 მარტს კი, სს „ს. ბ-მა“ საქალაქო სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული შესაგებელი, რომელშიც გამოთქვა მოსაზრებები მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, აგრეთვე, მიუთითა, რომ სარჩელი იყო ხანდაზმული.

უპირველეს ყოვლისა, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა აპელანტის იმ პრეტენზიაზე, რომელიც შეეხება საქალაქო სასამართლოს მიერ მოპასუხის დაზუსტებული შესაგებლის მიღებას.

საქმის მასალებით მტკიცდება, რომ მოპასუხემ, 2014 წლის 11 მარტს წარდგენილი შესაგებლით, ფაქტობრივად იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე, გაგრძელებულიყო მისთვის შესაგებლის წარსადგენად დადგენილი საპროცესო ვადა დასაბუთებული შესაგებლის წარდგენისათვის, რაზედაც, კოდექსის 64-

ე მუხლის შესაბამისად, საქალაქო სასამართლოს არ უმსჯელია, ისე დანიშნა საქმეზე მთავარი სხდომა. საბოლოოდ, გადაწყვეტილება გამოვიდა მოპასუხის სასარგებლოდ, ისე, რომ საქალაქო სასამართლომ მიიღო მოპასუხის მიერ წარდგენილი დაზუსტებული შესაგებელი და გაითვალისწინა გადაწყვეტილების მიღებისას. ამდენად, მოპასუხეს არ გააჩნდა საფუძველი, ედავა სააპელაციო წესით საქალაქო სასამართლოს მიერ მისთვის დაზუსტებული შესაგებლის წარსადგენად ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის განჩინებისა და შემაჯამებელი გადაწყვეტილების კანონიერებაზე. ასეთ პირობებში, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია განისაზღვროს მომენტი, თუ საიდან უნდა ათვლილიყო შესაგებლის წარსადგენად სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ განსაზღვრული 10-დღიანი ვადა (აღსანიშნავია, რომ პირველად და შემდგომში წარდგენილი შესაგებლების წარდგენის მომენტებს შორის – 2014 წლის 11 მარტი და 2014 წლის 20 მარტი – არის 10 დღეზე მცირე დრო), სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სწორად მიიღო და გაითვალისწინა დაზუსტებული შესაგებელი.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 327-ე, 50-ე მუხლებით, 581-ე მუხლის პირველი ნაწილით, 316-ე, 317-ე მუხლების პირველი ნაწილებით და განმარტა, რომ იჯარის ხელშეკრულება არის გარიგება, რომელიც მიმართულია ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ. მესაკუთრე (მეიჯარე) ანიჭებს მოიჯარეს ქონებაზე სასყიდლიანი სარგებლობის უფლებას, გარკვეული ვადით.

იჯარის ხელშეკრულების არსებითი პირობებია მხარეთა შეთანხმება საიჯარო ქირის ოდენობაზე და ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა, რომ მხარეები შეთანხმდნენ იჯარის 5 წლის ვადით დადებაზე და თავდაპირველად ყოველთვიურად გადასახდელი იჯარის ქირა განსაზღვრეს 3715 აშშ დოლარით, 2009 წლის 1 აპრილიდან კი, შეამცირეს 3000 აშშ დოლარამდე. მართალია, 2009 წლის 1 აპრილის შეთანხმების მოქმედების ვადად მიეთითა ერთი წელი, თუმცა დამტკიცდა, რომ ერთი წლის შემდეგაც გაგრძელდა 3000 აშშ დოლარის გადახდა 2011 წლის 1 მაისამდე, რაზეც მეიჯარეს პრეტენზია არ გამოუთქვამს. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ რადგან შპს „ა. ს-მ“ მაშინვე არ ნაცხადა უარი მისი ოფერტის სს „ს. ბ-ის“ მხრიდან შეცვლილი

პირობებით აქცეპტზე, დადებულად ჩაითვალა ხელშეკრულება მხარეთა შორის 2010 წლის 1 აპრილის შემდგომი პერიოდისათვის ყოველთვიურად 3000 აშშ დოლარის გადახდის პირობით. გარდა ამისა, 2009 წლის 1 აპრილის შეთანხმებაში მხარეებს არ განუსაზღვრავთ, რომ 2010 წლის 1 აპრილის შემდეგ უნდა აღმდგარიყო საიჯარო ქირა თავდაპირველი ოდენობით.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად ჩათვალა აპელანტის მოსაზრება 2010 წლის 1 აპრილის შემდეგ საიჯარო ქირის თავდაპირველი ოდენობით (3715 აშშ დოლარი) აღდგენის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გაუგებარია, თუ რა სარგებელს აძლევს აპელანტს თუნდაც იმ გარემოების დადასტურება, რომ თ-ე გ-ი არ იყო უფლებამოსილი, ემოქმედა სს „ს. ბ-ის“ სახელით 2011 წლის 1 მაისის შეთანხმების გაფორმებისას. უდავოა, რომ ამ მომენტიდან იჯარის ხელშეკრულება შეწყვეტილია. თუ ჩაითვლება, რომ თ-ე გ-ი არ იყო უფლებამოსილი პირი, ეს ავტომატურად გულისხმობს, რომ იჯარა შეწყდა ცალმხრივად მეიჯარის მიერ, რაც, 2007 წლის 20 დეკემბრის ხელშეკრულების 4.3.1 პუნქტის თანახმად, არა მოიჯარისათვის, არამედ მეიჯარისათვის პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრების საფუძველი იქნებოდა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თ-ე გ-ს ჰქონდა უფლება, დაედო ეს გარიგება სს „ს. ბ-ის“ სახელით. აღნიშნული უფლებამოსილება წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სს „ს. ბ-ის“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის – ა. ნ-ის მიერ გაცემული დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სს „ს. ბ-ის“ მიერ 2007 წლის 20 დეკემბრის იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ფაქტი არ დასტურდება, რის გამოც მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველები არ არსებობს.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 144-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ხანდაზმულობის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმასი, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულები პირი უფლებამოსილია, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ამდენად, თუნდაც მოთხოვნა იყოს დასაბუთებული, თუ

კრედიტორი ისურვებს მის რეალიზაციას ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მოვალეს შეუძლია, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითებით უარი თქვას მის შესრულებაზე.

ამდენად, მნიშვნელოვანია თითოეული კონკრეტული მოთხოვნის მიმართ სწორად განისაზღვროს, თუ ხანდაზმულობის რა ვადა მიესადაგება მას და როდის უნდა დაიწყოს ამ ვადის დენა.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტი (მოსარჩელე) დავობს, იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ყოველთვიურად გადასახდელი საიჯარო ქირის და ამ ქირის გადაუხდელობის გამო, დარიცხული პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრებაზე. ამდენად, არსებობს, პერიოდულად (ყოველთვიურად) შესასრულებელი ვალდებულებიდან გამომდინარე, მოთხოვნები, რომლებსაც მიესადაგება სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა – 3 წელი. აპელანტის მითითება იმავე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ 6-წლიან ვადაზე უადგილოა, რადგან განსახილველი დავა ეხება არა უძრავი ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვასთან დაკავშირებულ რაიმე უფლებას, არამედ – უძრავი ქონებიდან გამომდინარე, ფულადი ვალდებულების შესრულებას.

სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ გაზიარებული იქნება აპელანტის მოსაზრება, რომ 2010 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 1 მაისამდე სს „ს. ბ-ს“ მისთვის უნდა ეხადა ყოველთვიურად 715 აშშ დოლარით მეტი საიჯარო ქირა და მისი გადახდის დაყოვნებისათვის პირგასამტეხლოც, ამ თანხების მიღების უფლება ირღვეოდა 2010 წლის 10 აპრილიდან ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვის შემდგომ პერიოდებში. შესაბამისად, 2014 წლის 31 იანვარს აღძრულ სარჩელში დაფიქსირებული მოთხოვნები 2011 წლის 31 იანვრამდე პერიოდისათვის ხანდაზმულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტის სასარჩელო მოთხოვნები დაუსაბუთებელია, ხოლო 2011 წლის 31 იანვრამდე პერიოდზე მითითებული მოთხოვნები – ასევე ხანდაზმულიც.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ი-ი ს-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა მოპასუხის მიერ შესაგებლის წარდგენისა და სარჩელის ხანდაზმულობის შესახებ საკითხები.

სასამართლო აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასა-

ლებით არ დგინდება, თუ როდის ჩაბარდა მოპასუხეს სარჩელი. ფაქტობრივად კი, მოპასუხეს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლი ჩაბარდა 4 მარტს.

კასატორმა მიიჩნია, რომ მოპასუხის თავდაპირველ შესაგებელში მითითებული გარემოება საქმის არქივში ყოფნის თაობაზე საპატიო მიზეზად ვერ ჩაითვლება და ბანკის მიერ დაზუსტებული შესაგებლის წარდგენა არ არის მართლზომიერი. სარჩელს ერთვის 2009 წლის შეთანხმება. მოსარჩელემ მოითხოვა, სასამართლოს გამოეთხოვა მოპასუხისაგან 2007 წლის ხელშეკრულება, რაც სასამართლოს 5 თებერვლის განჩინებით დაკმაყოფილდა. ბანკმა აღნიშნული ხელშეკრულება სასამართლოს გაუგზავნა 18 თებერვალს, ხოლო მოსარჩელეს იგი გაეგზავნა 24 თებერვალს.

უკიდურეს შემთხვევაში მოპასუხისათვის 2007 წლის ხელშეკრულების არსებობა ცნობილი გახდა 18 თებერვალს. ე.წ. „დაზუსტებული“ შესაგებელი ბანკმა წარადგინა 20 მარტს, მთავარი სხდომის დანიშვნის შემდეგ, რამდენადაც მოპასუხისაგან 2007 წლის ხელშეკრულების გამოთხოვის განჩინებაში წერია, რომ მოსარჩელე ითხოვს გადაუხდელი ქირის დაკისრებას მოპასუხისათვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე და ეს ხელშეკრულება მოპასუხემ სასამართლოს გაუგზავნა 18 თებერვალს, ცხადია, რომ ბანკმა ამ დღეს გაიგო სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე და შეეძლო, მიეთითებინა ამის შესახებ თავდაპირველ შესაგებელში. შესაბამისად, აღარ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი ეხება შესაგებლისა და მტკიცებულებების წარდგენას, რაც შეეხება სარჩელის ხანდაზმულობას, აღნიშნული მტკიცებულება არ არის, არამედ წარმოადგენს მოპასუხის თავდაცვის საშუალებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3-ე და 4-ე მუხლების საფუძველზე, რისი შესაძლებლობაც მან მთავარ სხდომამდე არ გამოიყენა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს არ შეუფასებია ის ფაქტი, რომ დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 206-ე და 215-ე მუხლების მოთხოვნები. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მითითებულ ნორმათა მოთხოვნები, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-

ორე ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტები.

კასატორმა ჩათვალა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ხანდაზმულობის საკითხი, რითაც გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება ამავე საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებულ პრაქტიკას.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 105-ე მუხლის მოთხოვნა, სრულყოფილად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმის მასალები. სასამართლოს არ უნდა მიეღო სს „ს. ბ-ის“ მიერ გაცემული მინდობილობა თ-ე გ-ის სახელზე, რადგან ამ მინდობილობის წარდგენა ბანკს შეეძლო საქალაქო სასამართლოში. ამით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე და 382-ე მუხლების მოთხოვნები, რის გამოც 23 სექტემბრის საოქმო განჩინება არასწორია.

სარჩელის არსი გამომდინარეობს 2007 წლის ხელშეკრულების 4.3.2 პუნქტიდან, რომლის მიხედვით, ბანკის მიერ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მან მოსარჩელეს უნდა გადაუხადოს 6 თვის საიჯარო ქირა, რაც შეადგენს $3715 \times 6 = 22290$ აშშ დოლარს.

კასატორმა მიიჩნია, რომ სასამართლომ საქმის მასალების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე ჩათვალა სარჩელი ხანდაზმულად. 2007 წლის ხელშეკრულების მიხედვით, საიჯარო ქირა გადახდილი უნდა ყოფილიყო ყოველი თვის 10 რიცხვში. ხელშეკრულება შეწყდა ვადაზე ადრე 2011 წლის 1 მაისს, სარჩელი კი შეტანილი იქნა 2014 წლის იანვარში. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ქირა წარმოადგენს პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებას. მხარეთა შორის მიღწეული 2009 წლის პირველი აპრილის შეთანხმებით ერთი წლით შემცირდა 3 000 აშშ დოლარამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბანკს ისევ 3715 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა 2010 წლის 10 მაისიდან.

სააპელაციო სასამართლოს პოზიციის გაზიარების შემთხვევაში ქირის მოთხოვნა ხანდაზმულია მხოლოდ 2010 წლის 10 მაისიდან 2010 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, რადგან სარჩელი შეტანილია 2014 წლის იანვარში. ამიტომ, სარჩელი ხანდაზმული არ არის 2011 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლის. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს ეკუთვნის $715 \times 4 = 2860$ აშშ დოლარი.

კასატორმა მიიჩნია, რომ ყოველივე აღნიშნულით სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, რის გამოც მიიღო

არასწორი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად მიიჩნია ხანდაზმულად პირგასამტეხლოს მოთხოვნა. 2011 წლის იანვარ-აპრილის პერიოდი არ არის ხანდაზმული პირგასამტეხლოს ნაწილი. ასეთ დროს მოსარჩელეს პირგასამტეხლოს თანხა ეკუთვნის ხელშეკრულების 3.4 პუნქტის საფუძველზე 0,04%-ის ოდენობით. პირგასამტეხლო უნდა გამოანგარიშდეს 2011 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 11 მარტის ჩათვლით, რადგან საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2014 წლის 17 აპრილს. ასანაზღაურებელი პერიოდია 1185 დღე. 0.04% დღეში შეადგენს 1.144 აშშ დოლარს. $1185 \times 1.144 = 1355,65$ აშშ დოლარს. $2860 + 1355,65 = 4215,65$ აშშ დოლარს. მაშასადამე, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის შინაარსი, რის გამოც საქმეზე მიიღო არასწორი გადაწყვეტილება.

ამდენად, სარჩელზე ხანდაზმულობის გავრცელების შემთხვევაში იგი ნაწილობრივ მაინც ვერ ჩაითვლება ხანდაზმულად, კერძოდ, მოსარჩელეს ეკუთვნის 4 თვის ქირა თვეში 715 აშშ დოლარი, სულ – 2860 დოლარი, პირგასამტეხლო 0,04% ყოველ დღეზე გაანგარიშებით შეადგენს 1.144 აშშ დოლარს, ანუ $1355,65$ აშშ დოლარს. მოსარჩელეს სულ ეკუთვნის $2860 + 1355,65 = 4215,65$ აშშ დოლარი. აღნიშნულს უნდა დაემატოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო 6 თვის ქირა 22290 აშშ დოლარი. $22290 + 4215,65 = 26505,65$ აშშ დოლარს. 6 თვის ქირის მოთხოვნის დაუსაბუთებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს ეკუთვნის 4215,65 აშშ დოლარი.

კასატორის მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის საფუძველზე 2007 წლის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ ყოველთვიურად 3715 დოლარის ქირაზე. 2009 წლის შეთანხმებით, მხოლოდ ერთი წლით ქირა შემცირდა 3000 აშშ დოლარამდე. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ 2007 წლის ხელშეკრულება არ შეწყვეტილა და, იმავე კოდექსის 327-ე მუხლიდან გამომდინარე, აღდგა 3715 დოლარის გადახდის ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი. ამ ნორმის შინაარსი ისეთ შემთხვევებს გულისხმობს, როცა მხარეებს შორის არსებობს რამდენიმე ხელშეკრულება მსგავს ურთიერთობაზე და ბოლო ხელშეკრულება იდება განსხვავებული პირობით. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს არ ჰქონიათ საქმიანი ურთიერთობა, არამედ მათ შორის დაიდო მხოლოდ ერთადერთი 2007 წლის ხელშეკრულება, რომლითაც მოპასუხეს ყოველთვიურად უნდა გა-

დაეხადა 3715 დოლარი ქირის სახით. ისინი მხოლოდ ერთი წლით შეთანხმდნენ 715 დოლარით ნაკლები ქირის გადახდაზე. სხვაგვარი განმარტება აზრს უკარგავს 2007 წლის ხელშეკრულების არსებობას და ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 იანვრის განჩინებით ი-ი ს-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლებზე განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ ი-ი ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ, დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებებზე:

2007 წლის 20 დეკემბრის საიჯარო ხელშეკრულების თანახმად, შპს „ს. ს-მა“ (ამჟამად უფლებამონაცვლეა შპს „ა. ს.“) იჯარით გადასცა სს „ს. ბ-ს“ ქალაქ ქ-ში, რ-ის გამზირსა და წ-ის ქუჩის №1/2-ში მდებარე 106 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი 5 წლის ვადით ყოველთვიურად იჯარის ქირის სახით 3715 აშშ დოლარის გადახდის პირობით. საიჯარო ქირა უნდა გადახდილიყო შესაბამისი საანგარიშო თვის დაწყებიდან 10 დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიჯარეს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.04%-ის ოდენობით. თუ რომელიმე მხარე ვადამდე შეწყვეტდა იჯარის ხელშეკრულებას, მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა მეორე მხარის სასარგებლოდ 6 თვის საიჯარო ქირის ოდენობით.

2009 წლის 1 აპრილის შეთანხმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე პალატამ დაადგინა, რომ 2009 წლის 1 აპრილს ცვლილება შევიდა ზემოთ აღნიშნულ იჯარის ხელშეკრულებაში, კერძოდ, საიჯარო გადასახადი 2009 წლის 1 აპრილიდან 1 წლის ვადით განისაზღვრა 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით. ერთი წლის შემდეგ, მოხდებოდა საიჯარო ქირის გადახედვა, თუმცა 2010 წლის 1 აპრილს ახალი შეთანხმება არ დადებულა. სს „ს. ბ-ი“ მოსარჩელეს 2010 წლის 1 აპრილის შემდეგაც 2011 წლის 1 მაისამდე, ანუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ყოველთვიურად უხდიდა 3000 აშშ დოლარს.

სასამართლოს მითითებით, 2009 წლის 1 მაისის შეთანხმებით 2010 წლის 2 ივლისის №... სანოტარო აქტით, მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით დადასტურდა, რომ 2009 წლის 1 მაისს შეწყდა შპს „ა. ს-სა“ და სს „ს. ბ-ს“ შორის 2007 წლის 20 დეკემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულება. მოიჯარის სახელით შეთანხმებას ხელი მოაწერა თ-ე გ-მა, რომელიც სს „ს. ბ-ის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ა. ნ-ისაგან უფლებამოსილი იყო, სს „ს. ბ-ის“ სახელით ხელი მოეწერა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებაზე. თავის მხრივ, ა. ნ-ი წარმოადგენს სს „ს. ბ-ის“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.

2013 წლის 17 დეკემბრის შეთანხმებით სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა, რომ შპს „ა. ს-მ“ 2007 წლის 20 დეკემბერის საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნა დაუთმო ი-ი ს-ეს.

საქმის მასალებით არ დგინდება, სს „ს. ბ-ს“ როდის ჩაბარდა ი-ი ს-ის სარჩელი თანდართული მასალებით. შესაბამისად, შეუძლებელია განისაზღვროს მომენტი, საიდან უნდა ათვლილიყო შესაგებლის წარმოსადგენად სასამართლოს შესაბამისი მოხელის მიერ განსაზღვრული 10-დღიანი ვადა.

2014 წლის 11 მარტს სს „ს. ბ-მა“ წარადგინა საქალაქო სასამართლოში შესაგებელი, რომლითაც არ ცნო სარჩელი, მისი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო, ამასთან, ითხოვა დამატებითი ვადა დაზუსტებული შესაგებლის წარსადგენად, იმ მოტივით, რომ საქმე იყო დაარქივებული და განსაზღვრული 10-დღიანი ვადა არ იყო საკმარისი შესაგებლის მოსამზადებლად.

2014 წლის 17 მარტს საქალაქო სასამართლომ დანიშნა საქმეზე მთავარი სხდომა 2014 წლის 26 მარტს, 14:30 საათზე. 2014 წლის 20 მარტს კი, სს „ს. ბ-მა“ საქალაქო სასამართლოს წარუდგინა დაზუსტებული შესაგებელი, რომელშიც გამოთქვა მოსაზრებები მოსარჩელის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებზე, აგრეთვე, მიუთითა, რომ სარჩელი იყო ხანდაზმული.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარ-

ღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა. საკაცაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზია ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებებს სს „ს. ბ-ის“ წარმომადგენლის დაზუსტებული შესაგებლის წარდგენისას საპროცესო დარღვევების შესახებ და ამ ნაწილში ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაზუსტებული შესაგებლის მიღების მართლზომიერებასთან მიმართებით.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებებს იმ ნაწილშიც, რომ იჯარის ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყვიტა მოიჯარემ, რასაც იმით ადასტურებს, რომ სს „ს. ბ-ის“ საოპერაციო დირექტორი თ-ე გ-ი არ იყო შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სუბიექტი. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის მართლზომიერებასთან მიმართებით, ანუ საიჯარო ხელშეკრულება შეწყვეტილ იქნა 2011 წლის 1 მაისს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით ხელშეკრულების 4.1.2. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ხელშეკრულების 4.3.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ განსახილველი შემთხვევის მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლის დანაწესი.

საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ შპს „ს. ს-მა“ (ამჟამად უფლებამონაცვლეა შპს „ა. ს.“) 2007 წლის 20 დეკემბერს იჯარით გადასცა სს „ს. ბ-ს“ ქალაქ ქ-ში, რ-ის გამზირსა და ნ-ის ქუჩის №1/2-ში მდებარე 106 კვ,მ არასაცხოვრებელი ფართი, 5 წლის ვადით, ყოველთვიურად იჯარის ქირის სახით 3715 აშშ დოლარის გადახდის პირობით. საიჯარო ქირა უნდა გადახდილიყო შესაბამისი საანგარიშო თვის დაწყებიდან 10 დღეში, წინააღმდეგ შემთხვევაში – მოიჯარეს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდეელი თანხის 0.04%-ის ოდენობით. თუ რომელიმე მხარე ვადამდე შეწყვეტდა იჯარის ხელშეკრულებას, მას დაეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა მეორე მხარის სასარგებლოდ 6 თვის საიჯარო ქირის ოდენობით.

2009 წლის 1 აპრილის შეთანხმებით და მხარეთა ახსნა-განმარტებებით მტკიცდება, რომ 2009 წლის 1 აპრილს ცვლილება შევიდა ზემოთ აღნიშნულ იჯარის ხელშეკრულებაში, კერძოდ: საიჯარო გადასახადი 2009 წლის 1 აპრილიდან 1 წლის ვადით განისაზღვრა 3000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით; ერთი წლის შემდეგ კი მოხდებოდა საიჯარო ქირის გადახედვა.

თუმცა, 2010 წლის 1 აპრილს, ახალი შეთანხმება არ დადებულა. სს „ბ-ი“ მოსარჩელეს 2010 წლის 1 აპრილის შემდეგაც 2011 წლის 1 მაისამდე, ანუ ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ყოველთვიურად უხდიდა 3000 აშშ დოლარს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

იმავე კოდექსის 581-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე – ნატურით.

ამდენად, იჯარის ხელშეკრულება არის გარიგება, რომელიც მიმართულია ქონების სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ: მესაკუთრე (მეიჯარე) ანიჭებს მოიჯარეს ქონებაზე სასაყიდლიანი სარგებლობის უფლებას, გარკვეული ვადით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით; არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

იმავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება; ხოლო 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

იჯარის ხელშეკრულების არსებითი პირობებია – მხარეთა შეთანხმება საიჯარო ქირის ოდენობაზე და ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. მოცემულ შემთხვევაში, დამტკიცებულია,

რომ მხარეები შეთანხმდნენ იჯარის ხელშეკრულების 5 წლის ვადით დადებაზე და, თავდაპირველად, ყოველთვიურად გადასახდელი იჯარის ქირა განსაზღვრეს 3715 აშშ დოლარით, 2009 წლის 1 აპრილიდან კი – შეამცირეს 3000 აშშ დოლარამდე. მართალია, 2009 წლის 1 აპრილის შეთანხმების მოქმედების ვადად მიეთითა ერთი წელი, თუმცა – დამტკიცდა, რომ ერთი წლის შემდეგაც გაგრძელდა 3000 აშშ დოლარის გადახდა 2011 წლის 1 მაისამდე, ისე, რომ მეიჯარეს ამაზე პრეტენზია არ გამოუთქვამს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ სწორია საქალაქო სასამართლოს დასკვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლზე მითითებით: იმის გამო, რომ შპს „ა. ს-მ“ მაშინათვე არ განაცხადა უარი მისი ოფერტის სს „ს. ბ-ის“ მხრიდან შეცვლილი პირობებით აქცეპტზე, დადებულად ჩაითვალა ხელშეკრულება მხარეთა შორის 2010 წლის 1 აპრილის შემდგომი პერიოდისათვის ყოველთვიურად 3000 აშშ დოლარის გადახდის პირობით. გარდა ამისა, 2009 წლის 1 აპრილის შეთანხმებაში მხარეებს არ განუსაზღვრავთ, რომ 2010 წლის 1 აპრილის შემდეგ უნდა აღმდგარიყო საიჯარო ქირა თავდაპირველი ოდენობით. შესაბამისად, აპელანტის მოსაზრება – 2010 წლის 1 აპრილის შემდეგ საიჯარო ქირის თავდაპირველი ოდენობით (3715 აშშ დოლარი) აღდგენის თაობაზე – დაუსაბუთებელია.

ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების სფეროში განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, ინვესტს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც ინვესტს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსი, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამონაკვეთი, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება. მაგრამ თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მართოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამოწვევამეტიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე როცა მისი გამოწვევამეტიც შესწორებასა და

შევსებას მოითხოვენ.

ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალუბა მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

„ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება“ და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვავებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დავობენ. ხოლო ხელშეკრულების შევსებით განმარტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მონესრიგება ან ხელშეკრულების პირობები გარკვეული ხარვეზებითაა მოცემული.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნას განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა.

ხელშეკრულების გამონათქვამების სხვადასხვანაირობა გულისხმობს, რომ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას გაგებული. გამონათქვამთა საგულდაგულო შერჩევის მიუხედავად, დოკუმენტი ყოველთვის ერთნაირად ვერ იქნება აღქმული მისი წამკითხველების მიერ. გამონათქვამების შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს ხელშეკრულების საერთო ტექსტით ან ხელშეკრულების იმ ნაწილებით, რომლებიც განსამარტავ გამონათქვამებს შეიცავენ.

ხელშეკრულების განმარტების საფუძვლებთან დაკავშირებით საინტერესოა ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების (დებულებების) 5:101-5:107 მუხლების დანაწესები, კერძოდ, ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა საერთო ნების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი განსხვავდება სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან. მხარეთა საერთო ნების დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმარ-

ტების კრიტიკრიუმად მიიჩნევა ხელშეკრულების მხარეთა მსგავსი გონივრული აზროვნების მქონე პირთა შეფასება მოცემულ გარემოებებში. ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამი (პირობა) უნდა განიმარტოს იმ მთლიანი ხელშეკრულების ქრილში, რომელშიც ისინი არის მოცემული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარიგების განმარტების შესახებ 52-ე მუხლის გარდა, მოიცავს ასევე ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულებათა განმარტების საკითხებს ანესრიგებს, მაგალითად, 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ არასწორია განსახილველი შემთხვევის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლის გამოყენება.

როგორც საქმის მასალებით დგინდება, მოდავე მხარეთა შორის დადებულია მხოლოდ ერთადერთი საიჯარო ხელშეკრულება 2007 წლის 20 დეკემბერს, მაშინ როდესაც სამოქალაქო კოდექსის 334-ე მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების მხარეებს შორის არსებობს საქმიანი ურთიერთობა, ანუ მათ შორის რამდენჯერმე (თუნდაც ერთხელ მაინც) უკვე იყო დადებული ხელშეკრულება მსგავს ურთიერთობებზე და ბოლო ხელშეკრულება იდება განსხვავებული (შეცვლილი) პირობებით აქცეპტანტის მხრიდან და ამას მეორე მხარე (ოფერენტი) ეთანხმება იმგვარად, რომ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ არ განაცხადებს უარს.

საქმის მასალებით დგინდება, რომ მხარეები საიჯარო ქირის ოდენობის 715 აშშ დოლარით შემცირების შესახებ შეთანხმდნენ მხოლოდ ერთი წლის ვადით, კერძოდ, 2009 წლის 1-ლი აპრილიდან 2010 წლის 1-ელ აპრილამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ეს შეთანხმება ძალას კარგავდა.

მოდვე მხარეთა შორის 2007 წლის 20 დეკემბერს დადებული იჯარის ხელშეკრულების 11.4 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების დანართ(ებ)ი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაში და/ან დანართ(ებ)ში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

საკასაციო პალატა, გამომდინარე იქედან, რომ მხარეთა შორის 2009 წლის 1-ლი აპრილის შეთანხმებამ შეწყვიტა მოქმედე-

ბა 2010 წლის 1-ლი აპრილიდან და ამის შემდეგ არ მოხდა მხარეთა შორის საიჯარო ქირის ოდენობის თაობაზე წერილობითი ფორმით რაიმე ახალი შეთანხმების მიღწევა, მიიჩნევა, რომ სამოქალაქო კოდექსის 52-ე, 338-ე მუხლების საფუძველზე მოიჯარეს წარმოეშვა თავდაპირველად შეთანხმებული ოდენობის საიჯარო ქირის – 3715 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში გადახდის ვალდებულება, რაც საქმეში არსებული მასალების მიხედვით არაჯეროვნად განხორციელდა, კერძოდ, მოიჯარემ 2010 წლის 1-ლი აპრილიდან იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე ანუ 2011 წლის 1-ელ მაისამდე, გადაიხადა ყოველთვიურად შეთანხმებულ ოდენობაზე 715 აშშ დოლარით ნაკლები თანხა.

საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128 I მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე. ამასთან, ხანდაზმულობა გულისხმობს დროს, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დარღვეული უფლების აღდგენა. ხანდაზმულობის ვადების დანესებით, კანონმდებლის მიზანია გამოირიცხოს კრედიტორის უფლებების განხორციელების არათანაზომიერად ან ბოროტად გამოყენების საფრთხე. გარდა ამისა, ხანდაზმულობის ვადა სასამართლოს უმსუბუქებს ფაქტების დადგენისა და შესწავლის პროცესს და ამ გზით ხელს უწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას. ხანდაზმულობის ვადაში მოიაზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რეალიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა, იგი განუხორციელებელია, ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე.

ხანდაზმულობის საერთო ვადაა ათი წელი, რომელიც დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომლისთვისაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სპეციალურ ხანდაზმულობის ვადას. ამასთან, ხანდაზმულობის ვადების გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხორციელდება არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ მხარის მიერ აღნიშნულზე მითითების შემთხვევაში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 2-ე ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ საიდან აითვლება ხანდაზმულობის ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. მხედველობაშია მისაღები, თუ ხანდაზმულობის დენის დაწყების მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს. ამასთან იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის დენის დაწყების ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა. ამდენად, ხანდაზმულობის ვადის სწორად გამოთვლისათვის უმნიშვნელოვანესია მისი დენის დაწყების მომენტის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მოთხოვნის სრულად ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ვალდებულება, რომლის შესრულება მოვალის მხრიდან გარკვეული პერიოდებით განისაზღვრა. პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე, მოთხოვნის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ათვლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ თანხის გადახდის თითოეული პერიოდისათვის ვალდებულების შეუსრულებლობა ცალ-ცალკე განიხილება, როგორც პირის უფლების დარღვევა და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება.

საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ იჯარის ხელშეკრულების 3.4 პუნქტის თანახმად, სს „ს. ბ-ს“ საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა ყოველთვიურად, შესაბამისი საანგარიშო თვის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ქირის მოთხოვნა ხანდაზმულია მხოლოდ 2010 წლის 10 მაისიდან 2010 წლის დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე, რადგან სარჩელი შეტანილია 2014 წლის იანვარში. ამიტომ, სარჩელი ხან-

დაზმული არ არის 2011 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით. შესაბამისად, სააკველაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის შინაარსი, რის გამოც მიიღო ნაწილობრივ არასწორი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობის ნაწილში ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე მოპასუხის დაზუსტებულ შესაგებელში განვითარებულ მსჯელობაზეც, კერძოდ, იმის გამო, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილ იქნა 2013 წლის 30 დეკემბერს, შესაბამისად, მოსარჩელემ ჰიპოთეტურად შესაძლოა მოითხოვოს 2010 წლის 30 დეკემბრიდან 2011 წლის 01 მაისამდე (იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტამდე) პერიოდის გადასახდელი თანხა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კასატორის მოსაზრებაზე პირგასამტეხლოს გადახდასთან დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულია *pacta sunt servanda*-ს (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპი. აღნიშნული კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა.

სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველყოფის ისეთ საშუალებასაც, როგორცაა პირგასამტეხლო. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას. მოცემულ შემთხვევაში, 2007 წლის 20 დეკემბრის საიჯარო ხელშეკრულების 3.4 პუნქტით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ საიჯარო გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია მოიჯარეს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.04%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-418-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, პირგასამტეხლო წარმოადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის

გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების შესაძლებლობას. პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა.¹

საკაცაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას პირგასამტეხლოს მოთხოვნის ხანდაზმულობასთან მიმართებით. გამომდინარე იქედან, რომ 2011 წლის იანვარ-აპრილის პერიოდის გადასხდელი ქირის ოდენობა 2860 აშშ დოლარი არ არის ხანდაზმული, ამიტომ ამ ნაწილში პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნაც არ არის ხანდაზმული. საიჯარო ხელშეკრულების 3.4 პუნქტის საფუძველზე, 0.04% ოდენობის პირგასამტეხლო გამოანგარიშებული უნდა იქნეს 2011 წლის 1-ლი იანვრიდან. დაზუსტებულ სარჩელში ი-ი ს-ემ

¹ იხ. სუსგ 28.12.12 წ. საქმე №ას-1560-1463-2012; სუსგ 16.05.2014წ. საქმე №ას-1200-1145-2013;

მოითხოვა პირგასამტეხლოს დაკისრება გადაწყვეტილების აღსრულებამდე, თუმცა საკასაციო საჩივრით მოითხოვა პირგასამტეხლოს დაკისრება 2011 წლის 1-ლი იანვრიდან 2014 წლის 11 მარტის ჩათვლით. 2860 აშშ დოლარის 0.04% დღეში არის 1.144 დოლარი, რაც ჯამში წარმოადგენს 1355,65 აშშ დოლარს ($1185 \times 1.144 = 1355,65$ აშშ დოლარი).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მართალია არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები, მაგრამ კასატორის მიერ პირგასამტეხლოს ოდენობა ნაწილობრივ მცდარადაა დაჯამებული. კერძოდ, პირგასამტეხლო 2011 წლის იანვრისათვის უნდა განისაზღვროს 715 აშშ დოლაროს 0.04%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 8,58 აშშ დოლარს, 2011 წლის თებერვლისათვის 1430 აშშ დოლარის 0.04%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 17,16 აშშ დოლარს, 2011 წლის მარტისათვის 2145 აშშ დოლარის 0.04%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 25,74 აშშ დოლარს, ხოლო 2011 წლის მაისიდან 2014 წლის 11 მარტის ჩათვლით 2860 აშშ დოლარის 0.04%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 1252,68 აშშ დოლარს. პირგასამტეხლოს ოდენობა ჯამში შეადგენს 1304,16 აშშ დოლარს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, რაც გამოიხატება შემდეგში: საკასაციო პალატის განხილვის საგანია მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრებაზე უარის თქმის კანონიერება. სასარჩელო მოთხოვნათა შინაარსიდან ნათელია, რომ მოსარჩელე (კასატორი) ითხოვს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირისა და პირგასამტეხლოს გადახდევინებას. ამასთან, გაზიარებული უნდა იქნეს მოწინააღმდეგე მხარის პრეტენზია იჯარის ხელშეკრულების მართლზომიერად შეწყვეტისა, აგრეთვე საიჯარო ქირის და პირგასამტეხლოს ნაწილობრივ ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, სს „ს. ბ-ს“ კასატორის სასარგებ-

ლოდ უნდა დაეკისროს საიჯარო ქირის სახით – 2860 აშშ დოლარის, ხოლო პირგასამტეხლოს სახით კი, 1304,16 აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება, აგრეთვე საოქმო განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ კასატორის მოთხოვნის ოდენობა 35758 აშშ დოლარია (საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის – 22290 აშშ დოლარი, შემცირებული ქირის სახით – 2860 აშშ დოლარი, პირგასამტეხლოს სახით – 1355,65 აშშ დოლარი). დადგენილია, რომ მოსარჩელე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლდა, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ მოთხოვნის დაუკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად ანგარიშსწორება არ დაეკისრება, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხეს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი სახელმწიფო

ბაჟის ანაზღაურება დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა 2860 აშშ დოლარისა და 1304 აშშ დოლარის, სულ – 4164,16 აშშ დოლარის ანაზღაურების ნაწილში, ამდენად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 124,93 აშშ დოლარის (დაკმაყოფილებული 4164,16 აშშ დოლარის 3%-ის), სააპელაციო საჩივარზე – 166,57 აშშ დოლარისა (4164,16 აშშ დოლარის 4%-ის) და საკასაციო საჩივარზე – 208,3 აშშ დოლარის (4164,16 აშშ დოლარის 5%-ის), სულ – 499,70 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

ი-ი ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინება სს „ს. ბ-ისათვის“ ი-ი ს-ის სასარგებლოდ საიჯარო ქირის სახით 2860 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და პირგასამტეხლოს სახით 1304,16 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების შესახებ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და მითითებულ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

დაეკისროს სს „ს. ბ-ს“ ი-ი ს-ის სასარგებლოდ საიჯარო ქირის სახით 2860 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

დაეკისროს სს „ს. ბ-ს“ ი-ი ს-ის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით 1304,16 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინება დარჩეს უცვლელად.

დაეკისროს სს „ს. ბ-ს“ (საიდენტიფიკაციო კოდი №...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900,

სახაზინო კოდი 300773150) სახელმწიფო ბაჟის – 499,7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუბრუნებლობისას

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-512-485-2015

24 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუჩი,
ბ. ალავეცი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „...-2011“-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა, მოპასუხისათვის 17,600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას ნარმოადგენდა დაბა ხ-ში, დ. ა-ის ქ. №32-ში მდებარე 227.8 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, რომელიც განთავსებულია 5 821 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ასევე, 567.6 კვ.მ. შენობა-ნაგებობა, რომელიც განთავსებულია 5 940 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე. აღნიშნულ უძრავ ქონებაზე 2011 წლის 18 მაისს შპს „ნ. ს-სთან“ გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. 2011 წლის 15 ივლისს შპს „ნ. ს-მ“ მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა. მის ნაცვლად შემოთავაზებული იქნა შპს „...-2011“. 2011 წლის 10 ნოემბერს სამინისტროსა და შპს „...-2011“-ს შორის გაფორმდა შეთანხმების აქტი, რომლის თანახმად შპს „ნ. ს-ს“ ჩაენაცვლა შპს „...-2011“. იჯარის ხელშეკრულების ვადა გავიდა 2012 წლის 18 მაისს. ხელშეკრულების 9.1 პუნქტით განსაზღვრული იყო იჯარის ხელშეკრულების ვა-

დის გასვლის შემდეგ ქონების დაბრუნების წესი, რაც შპს „...-2011“-ის მიერ არ განხორციელდა და იგი აგრძელებდა უძრავი ქონებით სარგებლობას. ხელშეკრულების 9.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო შპს „...-2011“-ს ხელშეკრულების 6.6 პუნქტის თანახმად ეკისრება ჯარიმა ქონების ღირებულების 10%, რაც შეადგენს 17,600 აშშ დოლარს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და საქმეზე წარმოდგენილ შესაგებელში განმარტა, რომ 2011 წლის 18 მაისის ხელშეკრულება არ განსაზღვრავს საიჯარო ქონების დაბრუნების წესს. შესაბამისად, უსაფუძვლოა მითითება ამ წესის დარღვევაზე. მოპასუხის განმარტებით, მხარეთა შორის არსებობდა მიმოწერა იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე. მოსარჩელემ 2012 წლის 28 ნოემბრის №.../6208 მიმართვით აცნობა მოპასუხეს, რომ იჯარის ხელშეკრულების 9.2 პუნქტის თანახმად, ქონების დაყოვნებისათვის ერიცხებოდა საიჯარო ქირა ყოველდღიურად 29 ლარის ოდნობით. აღნიშნული თანხა მოპასუხის მხრიდან გადახდილია. 2013 წლის 4 ოქტომბერს მხარეებს შორის გაფორმდა ახალი იჯარის ხელშეკრულება. 2014 წლის 19 იანვრის აქტით მოხდა მოიჯარის ჩანაცვლება და შპს „...-2011“-ს ჩაენაცვლა შპს „ჰ. ჯ. ია“. შესაბამისად, შპს „...-2011“-ს მოსარჩელესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში აღარ იმყოფება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „...-2011“-ს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასარგებლოდ 7 000 ლარის გადახდა დაეკისრა.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2011 წლის 18 მაისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და შპს „ნ. ს-ს“ შორის გაფორმდა იჯა-

რის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე: ხ-ი, დ. ა-ის ქ. №32, 227.8 კვ.მ შენობა-ნაგებობა, რომელიც განთავსებულია 5821 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ასევე, 567.6 კვ.მ შენობა-ნაგებობა, რომელიც განთავსებულია 5940 კვ.მ მიწის ნაკვეთზე იჯარით გაცემა. დადგენილია, რომ იჯარის ხელშეკრულების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 10 500 აშშ დოლარით. ხელშეკრულების მოქმედების ვადად დადგინდა ერთი წელი. ხელშეკრულების 6.6. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი დაჯარიმდებოდა საიჯარო ქონების ღირებულების 10%-ით. ხელშეკრულების 9.1 პუნქტის თანახმად, დადგენილი საიჯარო ვადის გასვლის შემთხვევაში, საიჯარო შენობა-ნაგებობებისა და მათზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთების გადაცემა მოხდებოდა ქონების აღწერის ოქმის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით. 9.2 პუნქტის თანახმად, თუკი მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდგომ არ დააბრუნებდა იჯარით აღებული ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეეძლო მოეთხოვა დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის. მეიჯარეს შეეძლო მოეთხოვა სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც. 2011 წლის 10 ნოემბრის შეთანხმების აქტით დადგენილია, რომ 2011 წლის 18 მაისს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და შპს „ნ. ს-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გავიდა შპს „ნ. ს-ო“ და მას ჩაენაცვლა შპს „...-2011“-ით. ამავე შეთანხმების აქტით დადგენილია, რომ შპს „...-2011“-მა იკისრა 2011 წლის 18 მაისის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ვალდებულების შესრულება, მათ შორის, საიჯარო ურთიერთობის ვადის გასვლის შემდგომ, ვალდებულება ქონების დაბრუნებისა, ხოლო მისი დაუბრუნებლობის შემთხვევაში, იგი დაჯარიმდებოდა ხელშეკრულების 6.6. პუნქტის „ბ“ პუნქტის შესაბამისად. 2012 წლის 26 ოქტომბერს, შპს „...-2011“-ის დირექტორმა წერილით მიმართა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და მოითხოვა 2011 წლის 18 მაისის იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება. დადგენილია, რომ იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა 2012 წლის 18 მაისს. დადგენილია, რომ 2013 წლის 4 ოქტომბერს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და შპს „...-2011“-ს შორის დაიდო ახალი იჯარის ხელშეკრულება 5 წლის ვადით. 2014 წლის 13 იანვრის შეთანხმებით, შპს „...-

2011“-ს 2013 წლის 4 ოქტომბრის ხელშეკრულებაში ჩაენაცვლა შპს „პ. ჯ-ია“. დადგენილია, რომ 2012 წლის 18 მაისიდან 2013 წლის 4 ოქტომბრამდე მოიჯარეს მეიჯარისათვის ქონება არ დაუბრუნებია. ხელშეკრულების ვადის გასვლიდან ქონების დაუბრუნებლობის პერიოდს წარმოადგენდა 2012 წლის 18 მაისიდან 2013 წლის 4 ოქტომბრამდე პერიოდი, რომელიც მოიცავდა 16.5 თვეს. მხარეთა შორის სადავოა ის გარემოება, იყვნენ თუ არა მხარეები მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შეთანხმებულნი საიჯარო ქონების დაბრუნების რაიმე პირობაზე. მოპასუხის განმარტებით, მხარეები არანაირ პირობებზე ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით არ შეთანხმებულან, თუმცა მოპასუხე არ უარყოფდა, რომ საიჯარო ქონება დროზე არ დაუბრუნებია და დაყოვნების პერიოდი 16.5 თვეს შეადგენდა. მოპასუხის განმარტებითვე (რასაც მოსარჩელეც ეთანხმება) ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდეგ (ანუ 2012 წლის 18 მაისის შემდგომ) ქონების სარგებლობისათვის მოიჯარე იხდიდა დღეში 29 ლარს და ეს უდავოა. მოსარჩელე ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებდა, მაგრამ მოპასუხისაგან ითხოვდა სახელშეკრულებო პირობის შესრულებას და ქონების დაყოვნების, ანუ დროულად დაუბრუნებლობის გამო ქონების ღირებულების 10%-ის გადახდას, რაც შეადგენს 17 600 აშშ დოლარს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული დავა იჯარის ხელშეკრულების სამართლებრივი ნორმებით უნდა მონესრიგებულებოდ, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 581-ე და 591-ე მუხლებით. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით კონკრეტულ შემთხვევაში, 2011 წლის 18 მაისის იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა წარმოშობილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „...-2011“-ს შორის. მხარეთა შორის სადავოა საიჯარო ქონების დაუბრუნებლობით მიყენებული სხვა ზიანის ანაზღაურების საკითხი. პალატის განმარტებით, დადგენილია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.1. პუნქტის თანახმად, დადგენილი საიჯარო ვადის გასვლის შემთხვევაში, საიჯარო შენობა-ნაგებობებისა და მათზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთების გადაცემა მოხდებოდა ქონების აღწერის ოქმის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით. 9.2. პუნქტის თანახმად, თუკი მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდგომ არ დააბრუნებდა იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეეძლო მოეთხოვა დათქმული საიჯარო

ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის. მეიჯარეს შეეძლო მოეთხოვა სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

დადგენილია, რომ იჯარის ხელშეკრულების მოქმედების ვადა გავიდა 2012 წლის 18 მაისს და მოიჯარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ქონება არ გადაუცია მეიჯარისათვის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის. დადგენილია, რომ ქონების გადაცემის დაყოვნების პერიოდი შეადგენს 16.5 თვეს, რადგან 2013 წლის 4 ოქტომბერს მხარეთა შორის ახალი იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა, ხოლო 2012 წლის 18 მაისიდან ვიდრე 2013 წლის 4 ოქტომბრამდე, ანუ ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე, მოიჯარე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა მეიჯარის ქონებას. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შეთანხმება მოიცავდა, როგორც საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებას, ქონების დროულად დაუბრუნებლობისათვის, ასევე, პირგასამტეხლოს დაკისრების შესაძლებლობას – იგივე ვალდებულების დარღვევისათვის (პირგასამტეხლოს დაკისრება). სამოქალაქო კოდექსის 394-ე და 312-ე მუხლებზე მითითებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ 17,600 აშშ დოლარი (იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ სადავო პერიოდში მოიჯარე იხდიდა ქირასაც დღემდე 29 ლარს) შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოა და გონივრული და სამართლიანი იქნება მოპასუხისათვის 7 000 აშშ დოლარის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ და შპს „...-2011“-მა გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სააპელაციო საჩივარი და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასაბუთება ემყარება იმ გარემოებას, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ უსაფუძვლოდ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი. კასატორის განმარტებით, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი შეემცირებინა პირგასამტეხლოს ოდენობა, რადგან პირგასამტეხლოს ოდენობა გათვალისწინებული იყო მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით, რომლის ოდენობა სადავოდ არ გაუხდია შპს „...-2011“-ს.

შპს „...-2011“-მ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც დაკმაყოფილდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. შპს „...-2011“ საკასაციო პრეტენზიას აცხადებს იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ხელშეკრულების სადავო პუნქტებს. კასატორის განმარტებით, საიჯარო ქონების დაბრუნების წესი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა. აღნიშნულ წესზე შეთანხმება მოგვიანებითაც არ მომხდარა. კასატორის განმარტებით, მის მიერ ფიზიკურად ვერ მოხდებოდა იმ წესის დარღვევა რაც დადგენილი არც ყოფილა. კასატორის განმარტებით, ხელშეკრულების 9.2 პუნქტი საშუალებას იძლეოდა საიჯარო ურთიერთობის დამთავრების მიუხედავად გარძელებულიყო საიჯარო ქონებით სარგებლობა დათქმული საიჯარო ქირის გადახდის პირობით, რაც რეალურად განხორციელდა კიდევ. კასატორის მითითებით, თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო წინააღმდეგი იყო საიჯარო ქონებით ესარგებლდა შპს „...-2011“-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, მას შეეძლო სასამართლოსათვის მიემართა ვინდიკაციური სარჩელით და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა მოეთხოვა. აღნიშნული აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან არ განხორციელებულა, შესაბამისად ადგილი არ აქვს შპს „...-2011“-ის მიერ ვალდებულების დარღვევას, რის გამოც მას არ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 17 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო შპს „...-2011“-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს

შემდეგი გარემოებების გამო:

მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 18.05.2011წ-ს ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, როგორც „მეიჯარეს“ და მეორე მხრივ, შპს „ნ. ს-ს“, როგორც „მოიჯარეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობების და მათზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთების იჯარის შესახებ“.

ხელშეკრულების მე-3 მუხლის მიხედვით ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული დ.ხ-ში, დ. ა-ის ქ. №32-ში მდებარე 227.8კვ.მ შენობა-ნაგებობის, რომელიც განლაგებულია 5821კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:...); ასევე, 567.6კვ.მ შენობა-ნაგებობის, რომელიც განლაგებულია 5940კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:..) მოიჯარისათვის გადაცემა დროებით სარგებლობაში

ხელშეკრულების მე-4 მუხლით განისაზღვრა იჯარით გადასაცემი მიწის ქირის ღირებულება და გადახდის წესი, კერძოდ, ხელშეკრული მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების საგნის სარგებლობისათვის მოიჯარე მეიჯარეს გადაუხდოდა იჯარის ქირას, რომლის წლიური ოდენობა განისაზღვრა 10,500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით, რომელიც მოიჯარეს უნდა ჩაერიცხა ხელშეკრულებაში მითითებულ მეიჯარის საბანკო რეკვიზიტზე.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა ხელშემკველ მხარეთა მიერ განისაზღვრა ერთი წლით (მე-5 მუხლი).

ხელშეკრულების მე-6 მუხლით განისაზღვრა მხარეთა უფლებები და მოვალეობები, კერძოდ, 6.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით მეიჯარეს მიენიჭა უფლებამოსილება მოეთხოვა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა მოიჯარის მიერ ხელშეკრულების პირობათა დარღვევისას; 6.6. პუნქტის მიხედვით კი განისაზღვრა, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოიჯარეს ეძლევა ნერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ჯარიმდება: ა) საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, – ქირის 0,1%-ით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, საიჯარო ქონების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

ხელშეკრულების მე-9 მუხლით განისაზღვრა იჯარის ვადის გასვლის შემდგომ ქონების დაბრუნების შემდეგი წესი: ხელ-

შეკრულებით დადგენილი საიჯარო ვადის გასვლისას საიჯარო შენობა-ნაგებობების და მათზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთების გადაცემა მოხდება ქონების აღწერის ოქმის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტით დადგენილი წესით. თუკი მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდგომ არ აბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის; მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

დადგენილია, რომ 10.11.2011-ს ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მეორე მხრივ, შპს „ნ. ს-სა“ და მესამე მხრივ, შპს „...-2011“-ს შორის გაფორმდა შეთანხმების აქტი, რომლითაც 18.05.2011-ის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობების და მათზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთების იჯარის შესახებ“ ხელშეკრულებაში შპს „...-2011“-მა ჩაანაცვლა შპს „ნ. ს-ო“. ხელშეკრულების დანარჩენი პირობები მხარეებს შორის დარჩა უცვლელად.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები რაიმე პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ შეიცავს. შესაბამისად, ამ ნაწილში, გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, საკასაციო პალატი-სათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს შპს „...-2011“-სათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, ქონების ღირებულების 10%-ის გადახდის დაკისრება. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ მოითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება და მოპასუხისათვის 17,600 აშშ დოლარის მთლიანად დაკისრება.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძველებისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი და შესაბამისად,

სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართალწარმოების შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (სსკ-ის მე-4 მუხ.). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები), რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასამართლო არ არის შეზღუდული მოსარჩელის მითითებებით. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეებს შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მხარეებს შორის წარმოშობილია იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის სამართლებრივ რეგულირებასაც ეძღვნება სამოქალაქო კოდექსის 581-ე-606-ე მუხლები და ამავე კოდექსის ქირავნობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები, თუკი ისინი იჯარისაგან განსხვავებულ სამართლებრივ წესრიგს არ ადგენენ. ამავე კოდექსის 581-ე მუხლის დანაწესით, იჯარის ხელშეკრულებით შეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. ამავე კოდექსის 591-ე და 567-ე მუხლებით კი, რეგულირებულია საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების სავალდებულებელი გარემოებები, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 567-ე მუხლის თანახმად, თუ დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავებულ ნივთს, მაშინ გამქირავებელს უფ-

ლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება. ბათილია შეთანხმება, რომლითაც დამქირავებელს ეკისრება ზიანის ანაზღაურება იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მიყენებული იყო. 591-ე მუხლის თანახმად, თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის; მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს გააჩნიათ ხელშეკრულების პირობათა შესრულების ვალდებულება, როგორც პირველადი მოთხოვნის ისე, ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისას შემთხვევებისათვის ზიანის ანაზღაურების, როგორც მეორადი მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა როგორც ფაქტობრივი ისე, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრით გამომდინარეობს ხელშეკრულების პირობათა დარღვევიდან. მეიჯარის განმარტებით, საიჯარო ხელშეკრულების ამონურვის შემდგომ საიჯარო ქონება არ დაბრუნდა მეიჯარეს, რითაც დაირღვა ხელშეკრულების მე-9 მუხლით დადგენილი წესი (იხ., სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები). ამ თვალსაზრით კი, საინტერესოა როგორ წესრიგდება საიჯარო ქონების დაბრუნება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მითითებული მუხლით. დადგენილია, რომ ხელშეკრულების მე-9 მუხლი, რომელიც იჯარის ვადის გასვლის შემდგომ ქონების დაბრუნების საკითხს აწესრიგებს ბლანკეტური შინაარსისაა და დათქმას აკეთებს ამავე ხელშეკრულების მე-3 პუნქტზე, კერძოდ, მითითებული მუხლის შინაარსის მიხედვით ხელშეკრულებით დადგენილი საიჯარო ვადის გასვლისას საიჯარო შენობა-ნაგებობების და მათზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთების გადაცემა მოხდება ქონების აღწერის ოქმის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტით დადგენილი წესით. თუმცა დადგენილია, რომ თავის მხრივ, ხელშეკრულების მე-3 პუნქტი რაიმე პირობაზე ან წესზე მითითებას, რომელიც შეეხება საიჯარო ქონების უკან დაბრუნებას არ შეიცავს. შესაბამისად, საკითხი იმის შესახებ რომელი კონკრეტული წესი დაირღვა მოიჯარის მიერ არც საქმის მასალებით და არც ხელშეკრულებით ირკვევა. ამ ვითარებაში კი, სადავო სა-

კითხის რეგულირებისათვის უნდა მივმართოთ უშუალოდ ურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ დებულებებს, კერძოდ, ზემოთ დასახელებულ ნორმას, რომელიც ახდენს საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამონურვისას საიჯარო ქონების დაბრუნების სამართლებრივ რეგლამენტაციას. ნორმის მიზნებისათვის, საიჯარო ქონების დაყოვნებისას, მეიჯარეს აქვს ორგვარი მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი შესაძლებლობა, კერძოდ, მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის, მას ასევე შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც. ამდენად, ნორმის განმარტებით ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის მეიჯარეს აქვს დათქმული საიჯარო ქირის გადახდისა და ამავედროულად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც.

მოცემულ საქმეზე უდავო გარემოებააა მიჩნეული, რომ მოიჯარე იხდიდა დაყოვნებულ დღეებზე ყოველდღიურად 29 ლარს. ამდენად, ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის არ არსებობს დავის საგანი, ხოლო ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების მიზნებისათვის პირველ რიგში, უნდა დგინდებოდეს მიყენებული ზიანის შინაარსი და ზიანის ანაზღაურებისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წინაპირობების არსებობა.

სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვალდებულების დარღვევა ზოგადი ფორმულირებაა და იგი შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს, მათ შორის არაჯეროვან შესრულებაში. მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების პირობებში, როგორც ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი მოსარჩელის მხარეზეა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. ამავე მუხლითაა განმარტებული მიუღებელი შემოსავალი, კერძოდ, მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო დავის

სწორად გადანყვეტას მნიშვნელოვნად განაპირობებს მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის ზუსტად განსაზღვრა, რაც განეკუთვნება სასამართლოს ულებამოსილების სფეროს, თუმცა, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლომ მართებულად დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტების (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების) ამომწურავი ჩამონათვალი, იმისათვის, რომ სასამართლოს არ მოუწიოს იმ გარემოებათა დადგენა, რომლებსაც საქმისათვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვთ, და პირიქით, მთელი სამართალწარმოება საძიებელ ფაქტებზე უნდა იქნეს აგებული. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვს საიჯარო ქონების დაყოვნებით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებას თუმცა ვერ მიუთითებს კონკრეტულად რაში გამოიხატა ზიანი, მოსარჩელე მხოლოდ იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ საიჯარო ქონების დაბრუნება დაყოვნა მეიჯარემ, ხოლო მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.1 პუნქტი ამგვარი შემთხვევებისათვის ითვალისწინებს სხვა სახის ზიანის მოთხოვნის უფლებასაც. მოსარჩელის მხოლოდ ეს არგუმენტი კი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძველს, კერძოდ, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი წერტილი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ანაზღაურდება მხოლოდ მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი. ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. იგივე აზრია გატარებული სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლში, რომელიც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად სარგებლობაში მდგომარეობს. როგორც მოცემული საქმის მასალებით დგინდება საიჯარო ქონება დაყოვნა მოიჯარემ, ხოლო მეიჯარე დაყოვნებისათვის ყოველდღიურად იღებდა თანხას და იჯარით გადაცემული ქონების სარგებლობაში არ ედავებოდა მოიჯარეს. მაშინ, როდესაც მას გააჩნდა როგორც მატერიალური ისე, პროცესუალური საშუალებები აღეკვეთა მისი ქონებით ამგვარი სარგებლობა. შესაბამისად, მიუღებელი შემოსავალი, რომელზედაც აპელირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და რომელიც მისი მოსაზრებით, წარმოადგენდა მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანს სახეზე არ გვაქვს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას

მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესახებ დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმებისა და შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, გამოირიცხა შპს „...-2011“-ისათვის“ თანხის დაკისრების საფუძველი. შესაბამისად, მისი საკასაციო საჩივარი დასაკმაყოფილებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, შპს „...-2011“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, ამიტომაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შპს „...-2011“-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს შპს „...-2011“-ის მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლო ანაზღაურების მიზნით, 350 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „...-2011“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

ლაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დაეკისროს შპს „...-2011“-ის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 350 ლარის გადახდა;

5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქსის ხელშეკრულების ფორმა

ბანკინება

№ას-1155-1101-2014

4 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

**შემადგენლობა: ნ. ბაქაქუჩი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ზ. მ-ემ და ე. ა-ემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. რ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე შემდეგი დასაბუთებით: მხარეთა შორის არსებობდა სესხის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ზეპირი ფორმით. მოსარჩელეებმა მათი კუთვნილი საერთო თანხა გადასცეს მოპასუხე მხარეს ნაწილ-ნაწილ სესხის სახით. სესხის ძირითადი თანხის ოდენობა ჯამურად შეადგენდა 71 000 აშშ დოლარს, რომლის გადახდის ვალდებულება სასამართლოში მომართვამდე დაახლოებით წელიწადნახევრის წინ დადგა, თუმცა მოპასუხე მხარე არაერთი მოთხოვნის მიუხედავად არ ასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას და არ ახდენდა სესხად მიღებული თანხის ნებაყოფლობით გადახდას. მოსარჩელეთა მითითებით, მოპასუხის საქმიანობა გამოიხატებოდა იმაში, რომ იგი ახდენდა თანხების მოძიებას და სარგებლით იბა „ჩ-ის“ სესხად გადაცემას. მოპასუხე თანხებს იღებდა მოქალაქეები-

საგან დაბალ პროცენტში და შემდგომ მაღალი სარგებლით აძლევდა ამხანაგობას. ამასთან, რიგ შემთხვევაში თანხის დაბრუნების გარანტიად მოპასუხის მოთხოვნით იბა „ჩი“ მოპასუხის კრედიტორებს თითქოსდა გადასცემდა წილს ამხანაგობაში და სესხის თანხის დაბრუნების შემდეგ ხდებოდა ამ გარიგებების გაუქმება. სწორედ მითითებული სახით მოხდა სესხის აღება მათ შემთხვევაშიც. მხარის მითითებით, მართალია თანხა გადაეცა ამხანაგობას, რაც დაფიქსირებულია სანოტარო წესით გაფორმებული აქტით, თუმცა აღნიშნული წარმოადგენდა ნ. რ-ზე სესხის სახით გაცემულ თანხას და მითითებული ხელშეკრულებები ფორმალური სახით ფორმდებოდა. მოსარჩელეთა მიერ ჯამურად რეალურად გადაცემული თანხის ოდენობა შეადგენდა 71 000 აშშ დოლარს, სადაც შედიოდა ასევე უშუალოდ, ამხანაგობის თავმჯდომარე ნ. დ-ზე გადაცემული 15 000 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენდა ნ. რ-ესთან დადებული ზეპირი სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემულ თანხას. მოსარჩელეთა განმარტებით, სესხის აღების ფაქტი დადასტურებული იყო მოპასუხის მიერ შესრულებული წერილობითი აღიარებით – ე.წ. „შინაურული ხელწერილი“, სადაც დაანგარიშებული იყო მისი მხრიდან არსებული ძირითადი ვალისა და საპროცენტო დავალიანების ოდენობა. აღნიშნული ხელწერილი მოწინააღმდეგე მხარე ცალსახად აღიარებდა არსებული ვალის ოდენობას. ასევე, მოწმეთა მიერ დადასტურებული იყო მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი. ფულის გადაცემის ფაქტს ადასტურებდა მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აუდიო ჩანაწერი, სადაც მოვალე აღიარებდა თანხის მიღების ფაქტს.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით:

მისი განმარტებით, მხარეთა შორის არ არსებობდა სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობა, მას არანაირი სესხის თანხა ზ. მ-ის და ე. ა-ისაგან არ მიუღია. მხარის მითითებით, მოსარჩელებმა მოპასუხისგან შეიტყვეს, რომ იბა „ჩი“ მოქალაქეებისაგან იღებდა სესხს მაღალი პროცენტით. აღნიშნულ ამხანაგობაში თავად მოპასუხესაც ჰქონდა ჩადებული თანხა. მოსარჩელებიც დაინტერესდნენ და თანხა გადასცეს არა ნ. რ-ეს, არამედ ამხანაგობის თავმჯდომარეს – ნ. დ-ს და გარკვეული პერიოდი იღებდნენ საპროცენტო სარგებელსაც. მოპასუხე მხარემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოწინააღმდეგე მხარე ვერც კი უთითებდა ზუსტად რა თანხა გადასცა მას და რეალურად ვალი რამდენი იყო. აღნიშნული გარემოება ცხადყოფ-

და, რომ სესხის გადაცემას მასზე ადგილი რეალურად არ ჰქონია. ასევე, საქმეში არ არსებობდა არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტს, კონკრეტული ოდენობის თანხის გადაცემას, ნაწილ-ნაწილ გადაცემის მომენტებსა და ხელშეკრულების ვადას, სესხის დაბრუნების პირობებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. მ-ისა და ე. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. მ-ისა და ე. ა-ის წარმომადგენელმა გ. ტ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ. მ-ისა და ე. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: ნ. რ-ეს ზ. მ-ისა და ე. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა 56 000 აშშ დოლარის გადახდა, ასევე ნ. რ-ეს დაეკისრა მოსარჩელების სასარგებლოდ 6102.72 ლარი.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა დადასტურებულია ერთის მხრივ, ზ. მ-ესა და ე. ა-ეს და მეორეს მხრივ, ნ. რ-ეს შორის, რომლის შესაბამისად ნ. რ-ემ სესხად მიიღო 56 000 აშშ დოლარი.

საქმეში წარმოდგენილია 2012 წლის 3 სექტემბერს შსს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივ გამომძიებლის მიერ შედგენილი ზ. მ-ესთან გასაუბრების ოქმი, რომლის მიხედვით ზ. მ-ემ განმარტა, რომ 2007 წლის ივლისის თვეში მან თავის სახლში, ა-ვის ქ. №...-ში, 15 000 აშშ დოლარი გადასცა ნ. რ-ეს. აღნიშნული თანხა განსაზღვრული იყო როგორც 5 პროცენტიანი სარგებლიანი სესხი, ნ. დ-ისათვის, ქ. თბილისში, ჭ-ის გამზ. №...-ში მიმდინარე სამშენებლო საქმიანობისათვის, ხოლო თანხის უზრუნველყოფის მიზნით, ნოტარიუს ე. მ-ის სანოტარო ბიუროში გაფორმებული იქნა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის მიხედვით ამხანაგობის ერთი წევრი ნ. მ-ი უთმობდა თავის კუთვნილ ფართს ზ. მ-ეს და ასევე ნ. რ-ეს. 2008 წლის თებერვლამდე, მან ნ. რ-ეს, ზემოაღნიშნული მიზნით, ეტაპობრივად, საკუთარ სახლში გადასცა ფულადი თანხა, საერთო ჯამში 92 000 აშშ

დოლარი. ოთხი თვის განმავლობაში ნ. რ-ე უხდიდა სარგებელს. მისთვის ცნობილი იყო, რომ თანხა ხმარდებოდა დ-ის სამშენებლო საქმიანობას. შესაბამისად, სარგებელსაც იხდიდა დ-ი. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, შეწყდა პროცენტების გადახდა, ხოლო მისი თანხის დაბრუნების მოთხოვნაზე, დ-ი ადასტურებდა თანხის მიღებას, ასევე აფიქსირებდა, რომ ვალების სანაცვლოდ ფართებს გადაუფორმებდა რ-ეს, რომლის რეალიზაციის შემდეგ, სწორედ რ-ე გაისტუმრებდა ყველას. ნ. დ-მა 1400 კვ.მ. ფართი საკუთრებაში გადასცა ნ. რ-ეს. მისთვის ცნობილია, რომ დღემდე რ-ის საკუთრებაში კვლავ აღრიცხულია დარჩენილი ფართები. ნ. რ-ემ მას განუმარტა, რომ ფართების რეალიზაციის შემდეგ დაუბრუნებდა თანხას.

საქმეში წარმოდგენილი 2012 წლის 28 აგვისტოს შსს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლის მიერ შედგენილი ნ. რ-ესთან გასაუბრების ოქმის მიხედვით, ნ. რ-ემ განმარტა, რომ 2007 წელს, მისი ნაცნობი ნ. დ-ი აშენებდა კორპუსს ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირზე. ნ. დ-ი კერძო პირებისაგან სესხულობდა სარგებლიან თანხებს მშენებლობისათვის, ხოლო უზრუნველყოფის მიზნით, უფორმებდა ფართებს ამხანაგობის კრების ოქმით. ანალოგიური მიზნით, მან (ნ. რ-ემ) და ნ. მ-ამ, დაახლოებით 15 ადამიანი დააკავშირეს ნ. დ-ს, რომელსაც საერთო ჯამში, მისი და ნ. მ-ას კუთვნილ თანხებთან ერთად, გადასცეს 1 000 000 აშშ დოლარი. მათ შორის, ასევე ზ. მ-ემ თავისი ინიციატივით, გაასესხა თანხა დ-ზე. კერძოდ, 2007 წლის ივლისში, ნოტარიუსის მიერ გაფორმებული იქნა ამხანაგობის კრების ოქმი, რომლის საფუძველზე გამსესხებლებს ნ. რ-ეს და ზ. მ-ეს, დ-ის მოთხოვნით, ამხანაგობის წევრმა ნ. მ-მა დაუთმო მისი კუთვნილი ფართები მშენებარე კორპუსში, რა დროსაც სანოტარო ბიუროში იმყოფებოდა ნ. დ-ი. ზ. მ-ემ ნ. დ-ს გადასცა 15 000 აშშ დოლარი, ხოლო მან გადასცა 12000 აშშ დოლარი. ზეპირსიტყვიერი შეთანხმების შესაბამისად, ნ. დ-ი იღებდა ვალდებულებას, რომ ყოველთვიურად გადაიხდიდა თანხის 5%, სარგებლის სახით. ამის შემდეგ, სამ თვეში, დამატებით ზ. მ-ემ, ანალოგიური კრების ოქმის მიხედვით, სანოტარო ბიუროში, დას გადასცა საერთო ჯამში 56 000 აშშ დოლარი. დ-ი ზაალს უხდიდა სარგებელს 2007 წლის ივლისიდან 2008 წლის ოქტომბრის ჩათვლით. 2008 წლის ოქტომბრიდან დ-მა ვერ შეძლო პროცენტების გადახდა. 2010 წელს, დ-მა, იმის გამო, რომ ვერ იხდიდა მიღებულ ზემოაღნიშნულ სესხს 1 000 000 აშშ დოლარს, მას და მორგოპიას, მათ მიერ მოძიებული გამსესხებლების გარკვეული ნილადა დაკმაყოფილების მიზნით, ორივეს საკუთრებაში უსას-

ყიდლოდ გადასცა უკვე დარეგისტრირებული ფართები, საერთო ჯამში 888 კვ.მ. ფართი. მას და ნ. მ-ას ფართების რეალიზაციიდან მიღებული თანხებით უნდა გაესტუმრებინათ კრედიტორები. 2011 წლის 28 იანვარს გაიყიდა ბინა 156 კვ.მ., 117 000 აშშ დოლარად, რომელიც განაწილდა დ-ის რამდენიმე კრედიტორზე, მათ შორის ზ. მ-ემ მიიღო 40 000 აშშ დოლარი მისი ძირითადი თანხიდან. ნ. რ-ემ განმარტა, რომ ფართები გაყიდვაშია, რათა მიღებული თანხებით გასტუმრებული იქნენ ნაწილობრივ ის კრედიტორები, რომლებსაც საერთოდ არ მიუღიათ სესხები. თუ რეალიზაციის და თანხების განაწილების შემდეგ დარჩებოდა გარკვეული თანხა, აღნიშნულიდან გადაეცემოდა ზ-ს მისი დარჩენილი 16 000 აშშ დოლარი, რასაც მოითხოვდა.

საქმეში წარმოდგენილია ნ. დ-ის 14.05.2013 წლის ახსნა-განმარტება (ახსნა-განმარტებაზე ნ. დ-ის ხელმოწერა დადასტურებულია №15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის მიერ). ნ. დ-ის განმარტებით, მას უშუალო შეხება არ ჰქონია ზ. მ-ესთან და პირადად მისგან თანხები არ მიუღია. თანხა მიჰქონდა ნ. რ-ეს, რაზედაც ფორმდებოდა დოკუმენტი. 2008 წლის დეკემბერში ამხანაგობამ ნ. რ-ეს და ნ. მ-ას გადაუფორმა 888 კვ.მ. ფართი, კრედიტორების დასაკმაყოფილებლად. მას არავითარი ვალდებულება არ გააჩნია ზ. მ-ისა და ე. ა-ის წინაშე. ფულადი ვალდებულება აქვს ნ. რ-ეს იმ ფართებიდან, რომელიც მას გადაეცა იმ რაოდენობით, რაც ჩადებული იყო მშენებლობაში.

2008 წლის 13 ივნისის სასამართლო სხდომაზე მოწმის სტატუსით დაკითხული იქნა ნ. დ-ი. მოწმის განმარტებით, ნ. რ-ე გაიცნო 2007 წელს. ნ-ი მასთან მივიდა სამშენებლო კომპანიაში და განუმარტა, რომ მას ჰყავდა ხალხი, რომლებსაც სურდათ კომპანიაში შეეტანათ თანხები სესხის სახით, სარგებლის მიღებით. მან ზ. მ-ე პირველად ნახა ნოტარიუსთან, როდესაც 15 000 აშშ დოლარის გადაცემის შესახებ ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი. მასთან თანხები ნ. რ-ეს მიჰქონდა, რაზედაც ნ. რ-ესთან ფორმდებოდა ხელშეკრულებები. ნ. რ-ე მას ანგარიშებს არ აბარებდა იმასთან დაკავშირებით, ვისგან იღებდა თანხებს და რა ოდენობით. მან არ იცის რამდენი პირისაგან აქვს მიღებული ნ. რ-ეს თანხები. ნ. რ-ის მოთხოვნით ხელშეკრულებები უზრუნველყოფის შესახებ ფორმდებოდა პირადად მასთან. ნ. რ-ეს უხდოდა საშუალო თანხას 10%-ის ოდენობით. ამხანაგობას ვალდებულება გააჩნდა ნ. რ-ესთან. 2008 წლის ნოემბრამდე ის იხდიდა სარგებელს, რომელსაც გადასცემდა ნ. რ-ეს. 2008 წლის ნოემბერში შეწყვიტა სარგებლის გადახდა. ერთ-ერთ შეკ-

რებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ნ. რ-ე და ე. ა-ე, მან განუცხადა შეხვედრაზე დამსწრე პირებს, რომ სარგებელს ვეღარ გაცემდა და ფართების რეალიზაციის შედეგად მიიღებდნენ ძირითად თანხებს. მან 888 კვ.მ. ფართი გადაუფორმა ნ. რ-ეს და ნ. მ-ას და აღნიშნულით მათსა და ამხანაგობას შორის ვალდებულებითი ურთიერთობა შეწყდა. ფართების რეალიზაციის შედეგად ნ. რ-ეს უნდა შეესრულებინა ვალდებულებები.

2014 წლის 31 მარტის სასამართლო სხდომაზე მოწმემ ნ. დ-მა განმარტა, რომ ზ. მ-ე მასთან მიიყვანა ნ. რ-ემ. 15 000 აშშ დოლარი მიიღო ზ. მ-ისაგან და გაფორმდა წერილობითი ხელშეკრულება. მისთვის უცნობია 56 000 აშშ დოლარი მიიღო თუ არა ნ. რ-ემ ზ. მ-ისაგან. 56 000 აშშ დოლარი მას პირადად ზ. მ-ისაგან არ მიუღია. ის სესხებს იღებდა ყოველთვიურად 5-6%-იანი სარგებლის პირობით. არ იცის ზ. მ-ესა და ნ. რ-ეს შორის რა ურთიერთობები იყო. თითოეული თანხის გადაცემასთან დაკავშირებით ფორმდებოდა წერილობითი დოკუმენტები. ზოგიერთ შემთხვევაში მისთვის უცნობი იყო თანხების მესაკუთრეების შესახებ. თანხა მასთან მიჰქონდა ნ. რ-ეს, თითოეულ თანხაზე გაცემდა წერილობით დოკუმენტს. წერილობითი დოკუმენტის გარეშე ნ. რ-ეს მისთვის თანხა არ გადაუცია. მისგან მიიღო სოლიდური თანხა. მას ძირითადად ურთიერთობა ჰქონდა ნ. რ-ესთან და სარგებელსაც მას უხდიდა. სარგებელს აძლევდა იმ პიროვნებას, ვინც კისრულობდა პასუხისმგებლობას თანხის დაბრუნებაზე. თუ თანხა მიჰქონდა ნ. რ-ეს და მისთვის უცნობი იყო მისი მესაკუთრე, ხელშეკრულებას აფორმებდა ნ. რ-ესთან. თანხის მესაკუთრეებს მასთან პრეტენზია არ ჰქონიათ.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. დ-ი წარმოადგენდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩ-ის“ თავმჯდომარეს;

საქმეში წარმოდგენილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩ-ის“ 2007 წლის 27 ივლისის №... კრების ოქმის შესაბამისად, ამხანაგობაში გაწევრიანდნენ ნ. რ-ე და ზ. მ-ე. ნ. მ-ის მიერ მისაღები ფართი გადანაწილდა ახალ წევრებზე შემდეგნაირად: ნ. რ-ეს და ზ. მ-ეს მიეკუთვნათ მე-3 სადარბაზოს მე-2 სართულზე, ბინა 33, საერთო ფართობით 151.56 კვ.მ. საზაფხულო ფართი 16.03 კვ.მ., მდებარე ქ. თბილისში, ი. ქ-ის გამზ. №...-ში. ოქმის შესაბამისად, ნ. რ-ის მიერ ამხანაგობაში წინასწარ შეტანილი იქნა 12 000 აშშ დოლარი, ხოლო ზ. მ-ის მიერ 15 000 აშშ დოლარი. ოქმს ხელს აწერს ნ. დ-ი;

საქმეში წარმოდგენილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩ-ის“ 2007 წლის 23 მარტის №... კრების ოქმის

შესაბამისად, ამხანაგობაში განევრიანდა ნ. რ-ე. ო. ჩ-ის მიერ მისაღები ფართი განაწილდა ახალ წევრზე შემდეგნაირად: ნ. რ-ეს მიეკუთვნა ქ. თბილისში, ჭ-ის გამზ. №...-ში, მე-2 სადარბაზოს, მე-3 სართულზე, ბინა №..., საერთო ფართით 160.68 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი 142.77. ოქმის შესაბამისად, ნ. რ-ის მიერ ამხანაგობაში წინასწარ შეტანილი იქნა 15 340 აშშ დოლარი;

საქმეში წარმოდგენილი 2007 წლის 29 მარტს გაფორმებული სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, ნ. რ-ემ ნ. დ-ს სესხის სახით გადასცა 15 340 აშშ დოლარი, სამი თვის ვადით;

საქმეში წარმოდგენილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩ-ის“ 2007 წლის 14 მაისის №... კრების ოქმის შესაბამისად, ამხანაგობაში განევრიანდა ნ. რ-ე. თ. გ-ის მიერ მისაღები ფართი განაწილდა ახალ წევრზე შემდეგნაირად: ნ. რ-ეს მიეკუთვნა ქ. თბილისში, ჭ-ის გამზ. №...-ში, მე-2 სადარბაზოს, მე-2 სართულზე, ბინა №..., საერთო ფართით 191.00 კვ.მ. ოქმის შესაბამისად, ნ. რ-ის მიერ ამხანაგობაში წინასწარ შეტანილი იქნა 20 000 აშშ დოლარი;

საქმეში წარმოდგენილია 2007 წლის 4 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება წილის უფლების გადაცემის შესახებ, ერთის მხრივ, ინდმენაშენეთა ამხანაგობა „ჩ-ის“ თავმჯდომარეს ნ. დ-სა და მეორეს მხრივ, ნ. რ-ეს შორის, რომლის შესაბამისად, ამხანაგობამ ნ. რ-ეს გადასცა წილის უფლება ქ. თბილისში, ჭ-ის გამზ. №...-ში მდებარე მშენებარე კორპუსში, პირველი სადარბაზო, მეორე სართულზე 530 კვ.მ. საოფისე ფართიდან 50 კვ.მ. ხელშეკრულების შესაბამისად, ნ. რ-ემ გადაიხადა ფართის ღირებულება 20 000 აშშ დოლარის ოდენობით;

2008 წლის 19 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნ. დ-მა ნ. რ-ეს მიჰყიდა უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირი №..., სადარბაზო მე-2, სართული 10, ბინა №...-ში, 156.23 კვ.მ. (მშენებარე); 2008 წლის 19 დეკემბერს ნ. დ-მა ნ. რ-ეს მიჰყიდა უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირი №..., სართული მეორე, საოფისე ფართი 215.64 კვ.მ. (მშენებარე).

მოსარჩელების, მოპასუხისა და მოწმის ახსნა-განმარტების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ნ. რ-ის მეშვეობით, ზ. მ-ისათვის ცნობილი გახდა, რომ ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩ-ის“ თავმჯდომარე ნ. დ-ი, ქ. თბილისში, ჭ-ის გამზირი №...-ში მიმდინარე მშენებლობისათვის იღებდა სესხს, ყოველთვიურად 5%-იანი სარგებლით. აღნიშნული გარემოებას ადასტურებდნენ ზ. მ-ე და ნ.

რ-ე.

2007 წლის 27 ივლისს სანოტარო წესით დამონმებული იქნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩ-ის“ 2007 წლის 27 ივლისის №... კრების ოქმი, რომლის შესაბამისად, ამხანაგობაში განვერიანდნენ ნ. რ-ე და ზ. მ-ე. ნ. მ-ის მიერ მისაღები ფართი გადანაწილდა ახალ წევრებზე შემდეგნაირად: ნ. რ-ეს და ზ. მ-ეს მიეკუთვნათ მე-3 სადარბაზოს მე-2 სართულზე, ბინა ..., საერთო ფართით 151.56 კვ.მ. საზაფხულო ფართი 16.03 კვ.მ., მდებარე ქ. თბილისში, ი. ჭ-ის გამზ. №...-ში. ოქმის შესაბამისად, ნ. რ-ის მიერ ამხანაგობაში წინასწარ შეტანილი იქნა 12 000 აშშ დოლარი, ხოლო ზ. მ-ის მიერ 15 000 აშშ დოლარი. ოქმს ხელს აწერდა ნ. დ-ი.

ზ. მ-ის, ნ. რ-ისა და ნ. დ-ის ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიზანს წარმოადგენდა არა უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა, არამედ სესხის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 27 ივლისს სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობა წარმოიშვა ერთის მხრივ, ზ. მ-ეს და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩ-ს“ შორის, რომლის შესაბამისად, ზ. მ-ემ 15 000 აშშ დოლარი სესხის სახით გადასცა ამხანაგობას. მხარეთა ახსნა-განმარტებებით ასევე დადგინდა, რომ სესხი იყო სარგებლიანი, ყოველთვიურად 5%-ის ოდენობით. აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო ნ. რ-ის შუამავლობით.

ზ. მ-ის, ნ. რ-ის, ნ. დ-ისა და საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 56 000 აშშ დოლარი ზ. მ-ემ და ე. ა-ემ სესხის სახით გადასცეს ნ. რ-ეს.

სარჩელში ზ. მ-ე და ე. ა-ე განმარტავენ, რომ 56 000 აშშ დოლარი სესხად გადასცეს პირადად ნ. რ-ეს. შესაგებელის მიხედვით, ნ. რ-ე 56 000 აშშ დოლარის სესხად ალების ფაქტს უარყოფს და განმარტავს, რომ მოსარჩელებმა თანხა სარგებლიანი სესხის სახით გადასცეს ამხანაგობის თავმჯდომარეს, ნ. დ-ს. შსს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივ გამომძიებელთან გასაუბრებისას ნ. რ-ემ აღნიშნა, რომ ზ. მ-ემ 56 000 აშშ დოლარი, სანოტარო ბიუროში გადასცა ნ. დ-ს, ამხანაგობის თავმჯდომარეს.

რაც შეეხება ნ. დ-ს, მისი განმარტებით, 15 000 აშშ დოლარი ზ. მ-გან მიიღო სესხად და შესაბამისად გააფორმა წერილობითი მტკიცებულება, ხოლო რაც შეეხება 56 000 აშშ დოლარის სეს-

ხის ზ. მ-ისაგან მიღების ფაქტს, უარყოფს. მისივე განმარტებით, ის მშენებლობისათვის კერძო პირებისაგან იღებდა სესხებს და აფორმებდა შესაბამის წერილობით მტკიცებულებებს. მან სესხის სახით სოლიდური თანხები მიიღო პირადად ნ. რ-ისაგან, რაზედაც ფორმდებოდა წერილობითი მტკიცებულებები. ნ. რ-ეს წერილობითი მტკიცებულების გარეშე მისთვის თანხა არ გადაუცია. ნ. დ-ის განმარტებით, ზოგიერთ შემთხვევაში მისთვის უცნობი იყო ნ. რ-ის მიერ მისთვის სესხის სახით გადაცემული თანხების მესაკუთრეთა ვინაობის შესახებ და შესაბამისად, ნ. რ-ესთან ფორმდებოდა წერილობითი ხელშეკრულებები. ის თანხებს იღებდა პირადად ნ. რ-ისაგან და ვალდებული იყო მის წინაშე. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით მან ნ. რ-ეს და მ-ას უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა 888 კვ.მ. ფართი, რომლის რეალიზაციის შედეგად ნ. რ-ეს და მ-ას უნდა შეესრულებინათ ვალდებულება კერძო პირების წინაშე. ნ. რ-ე უარყოფს ნ. დ-ისათვის სესხის სახით, თანხების პირადად გადაცემის ფაქტს და აღნიშნავს, რომ მან კრედიტორები მხოლოდ დააკავშირა ნ. დ-ს.

პალატამ მიიჩნია, რომ ზ. მ-ისა და ე. ა-ისათვის 56 000 აშშ დოლარის დაბრუნებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენდა ნ. რ-ე. შსს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელთან გასაუბრებისას ნ. რ-ემ განმარტა, რომ ე. ა-ემ და ზ. მ-ემ მშენებლობისათვის სესხი 56 000 აშშ დოლარის ოდენობით პირადად გადასცეს ნ. დ-ს. ამავდროულად განმარტა, რომ ნ. დ-ისაგან, მისი და მ-ას მიერ მოძიებული 15 კრედიტორის წინაშე ვალდებულების შესრულების მიზნით, მან და მ-ამ საკუთრებაში მიიღეს უძრავი ქონება 888 კვ.მ. ფართის ოდენობით. 156 კვ.მ. ფართის რეალიზაციიდან მიღებული თანხის ნაწილი 40 000 აშშ დოლარი, გადასცა ზ. მ-ეს. ნ. რ-ე არ უარყოფს 16 000 აშშ დოლარის ოდენობით ვალდებულების არსებობას ზ. მ-ის წინაშე და განმარტავს, რომ უძრავი ქონების რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხები პირველ რიგში განაწილდება სხვა კრედიტორებზე, ხოლო დარჩენილი თანხიდან ზ. მ-ეს გადაეცემა 16 000 აშშ დოლარი.

მოსარჩელის, მოპასუხისა და მოწმის ახსნა-განმარტებების ურთიერთმეჯერების საფუძველზე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. რ-ემ ზოგიერთ შემთხვევაში შეასრულა სასესხო მაკლერის მოვალეობა და მისი დახმარებით მესამე პირებსა და ამხანაგობას შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულებები, მაგალითად ნ. რ-ის მიერ წარმოდგენილი იქნა 2008 წლის 27 თებერვლის ხელშეკრულება ერთის მხრივ, ამხანაგობასა და მეო-

რეს მხრივ, გ. ნ-ეს შორის ამხანაგობისათვის 40 000 აშშ დოლარის გადაცემის შესახებ; ამხანაგობის 2008 წლის 28 მაისის კრების ოქმი – ც. რ-ის მიერ ამხანაგობისათვის 30 000 აშშ დოლარის გადაცემის შესახებ, 2008 წლის 23 ივლისის ამხანაგობის კრების ოქმი – ლ. თ-ის მიერ ამხანაგობისათვის 40 000 აშშ დოლარის გადაცემის შესახებ (ნ. რ-ის განმარტებით, ხელშეკრულებაში მითითებული ფიზიკური პირები არიან მისი ნათესავები) და ამხანაგობის 2007 წლის 27 ივლისის №... კრების ოქმი, ზ. მ-ის მიერ ამხანაგობისათვის 15 000 აშშ დოლარის გადაცემის შესახებ.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მესამე პირებისაგან მიღებული თანხები ნ. რ-ემ პირადად გადასცა ამხანაგობის თავმჯდომარეს, რაც დადასტურებული იყო ნ. დ-ის განმარტებით და საქმეში წარმოდგენილი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩ-ის“ 2007 წლის 23 მარტის №... კრების ოქმით, 2007 წლის 29 მარტს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ჩ-ის“ 2007 წლის 14 მაისის №... კრების ოქმით, წილის უფლების გადაცემის შესახებ 2007 წლის 4 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, რომელთა საფუძველზე ნ. რ-ემ ამხანაგობას გადასცა სულ 70 680 აშშ დოლარი. აღნიშნული სადავო გარემოების დასადასტურებლად პალატამ ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნია კრედიტორების წინაშე ვალდებულების შესრულების მიზნით, ნ. რ-ის მიერ ამხანაგობისაგან უსასყიდლოდ უძრავი ქონების მიღების ფაქტი, რასაც ადასტურებდა როგორც ნ. დ-ი, ასევე ნ. რ-ე და საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 19 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებები, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ამდენად, პალატამ დადასტურებულად მიიჩნია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა ერთის მხრივ, ნ. რ-ესა და, მეორეს მხრივ, მესამე პირებს შორის და ასევე, ერთის მხრივ, ამხანაგობას და, მეორეს მხრივ, ნ. რ-ეს შორის. 56 000 აშშ დოლარის ოდენობით სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობაში ნ. რ-ის მონაწილეობა დასტურდებოდა მისივე განმარტებით (გასაუბრების ოქმი), რომ პასუხისმგებელია ზ. მ-ის წინაშე 56 000 აშშ დოლარის დაბრუნებაზე, საიდანაც 40 000 აშშ დოლარის ვალდებულება შეასრულა და დარჩა 16 000 აშშ დოლარის შესრულების ვალდებულება. პალატამ ასევე მიუთითა საქმეში წარმოდგენილ ფარული აუდიო ჩანაწერის გაშიფვრის ტექსტში გადმოცემულ მხარეთა განმარტებებზე. ნ. რ-ე საუბრისას ადასტურებს თანხის მიღების ფაქტს და განმარტავს, რომ შემდგომში

თანხა გადასცა ნ. დ-ს, რაზედაც გააჩნია ხელწერილი. პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ სესხთან დაკავშირებით, ნ. რ-ე არ ასრულებდა სასახო მაკლერის მოვალეობას, ვინაიდან ასეთის შემთხვევაში, მისი ვალდებულება შემოიფარგლებოდა მხოლოდ სესხის ხელშეკრულების დადებაში შუამავლობით, რაც არ გამოდინარეობდა საქმეზე დადგენილი გარემოებებიდან და მისივე განმარტებიდან, რომ საკუთრებაში უსასყიდლოდ მიიღო უძრავი ქონება, მოახდინა მისი რეალიზაცია, ნაწილობრივ შეასრულა ვალდებულება კრედიტორის ზ. მ-ის წინაშე, ასევე დარჩა შესასრულებელი ვალდებულებები. აღნიშნული მოქმედებები სცილდებოდა კანონით გათვალისწინებულ სასესხო მაკლერის ვალდებულებას.

მოცემულ შემთხვევაში, ზ. მ-ემ დაადასტურა ის გარემოება, რომ ნ. რ-ისათვის გადაცემული თანხები უნდა მოხმარებოდა მშენებლობას, და სარგებელსაც იხდიდა ამხანაგობის თავმჯდომარე, ნ. დ-ი. მიუხედავად აღნიშნულისა, სესხის სახით აღებული თანხის დაბრუნებაზე პასუხისმგებელი იყო ნ. რ-ე. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სესხის სახით მიღებული თანხა შესაძლებელია არ ემსახურებოდეს მსესხებლის პირად მიზნებს და სესხად მიღებული თანხა გადასცეს სხვა, მესამე პირს, რომლის შესახებაც ინფორმირებულია კრედიტორი, თუმცა სასესხო ურთიერთობაში, პირის მსესხებლად მონაწილეობა თავისთავად გულისხმობს მის ვალდებულებას დააბრუნოს ნასესხები თანხა. ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენს კონტრაგენტის არჩევა. ამა თუ იმ პირთან ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობაში შესვლა გულისხმობს კონტრაგენტის მიმართ ნდობის გარკვეული სტანდარტის არსებობას. შესაბამისად, მხარე იმიტომ დებს აღნიშნულ პირთან ხელშეკრულებას, რომ აქვს მისგან კეთილსინდისიერად ვალდებულების შესრულების მოლოდინი.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. რ-ის მიერ არ იყო დადასტურებული ზ. მ-ისა და ე. ა-ისათვის 56 000 აშშ დოლარის

გადაცემის ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. რ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ხოლო მტკიცებულებად მიიღო იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც უკანონო გზით იქნა მოპოვებული. აღნიშნულ საქმეზე მომხსენებელმა მოსამართლემ არ გაიზიარა კოლეგიების მსჯელობა, ისარგებლა კანონით მინიჭებული უფლებით და საქმეს დაურთო საკუთარი განსხვავებული აზრი, რომელსაც კასატორი სრულად იზიარებს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული უზენაესი სასამართლოს მიერაც უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

სასამართლომ არასწორად განმარტა სესხის არსებობა-არარსებობასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობები. გაურკვეველია, კონკრეტულად რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით განსაზღვრა სასამართლომ თანხის ოდენობა და თავად სესხის ხელშეკრულების არსებობა, მაშინ, როდესაც ამგვარი მტკიცებულებები უბრალოდ არ არსებობენ. ზ. მ-ე და ე. ა-ე სესხის ხელშეკრულების არსებობის დასადასტურებლად აპელირებდნენ ე.წ. ხელწერილზე. საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნულს ვერ მიიჩნევს წერილობითი სესხის ხელშეკრულებად, ვინაიდან მისგან არ ირკვევა არც მხარეთა ვინაობა, არც ნება, ხელშეკრულების პირობები, სესხის ოდენობა, დაბრუნების ვადა. შესაბამისად, მისი სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში განხილვა შეუძლებელი და დაუშვებელია. ზ. მ-ე და ე. ა-ე სესხის ხელშეკრულების არსებობის დასადასტურებლად ასევე მიუთითებდნენ მოწმეთა ჩვენებებზე. თუ სააპელაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ სესხის ხელშეკრულება ზეპირი ფორმით დაიდო, მაშინ მასზე სამოქალაქო კოდექსი მტკიცების სრულიად განსხვავებულ სტანდარტს განსაზღვრავს და შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში უფრო ნათელი მითითებები უნდა ყოფილიყო, რომელიც დაარწმუნებდა მხარეს, რომ მათ ნ. რ-ისთვის სესხის გადაცემის სახელშეკრულებო ურთიერთობა დადასტურებულად მიიჩნიეს ასევე სხვა მტკიცებულებებითაც (გარდა მოწმეთა ჩვენებისა). თუმცა სააპელაციო სასამართლო აპელირებს საქმეში

არსებული დოკუმენტების კონტექსტიდან ამოვარდნილი და არათანმიმდევრული მსჯელობებით, რომელიც გაუგებარს ხდის მათ შეხედულებას ნ. რ-ემ სესხი ზეპირი ხელშეკრულებით აილო თუ წერილობითით. თუ წერილობითი ხელშეკრულების არსებობა, პირობები, მხარეები, ვადები თავად წერილობითმა ხელშეკრულებამ უნდა განსაზღვროს, ზეპირი ხელშეკრულების შემთხვევაში ამას მხოლოდ მონმეები ვერ დაადგენენ. მის დასადგენად დამატებითი მტკიცებულებების წარდგენაა საჭირო. მოცემულ საქმეში მსგავსი დოკუმენტი არ მოიძებნება, რაც ნათლად მეტყველებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ბუნდოვანებაზე.

მნიშვნელოვანია ასევე ერთი დეტლი, რომელიც შეეხება ნ. რ-ის კერძო საუბრის უნებართვო ჩანაწერს, რომელიც საქმეში წარმოდგენილია იმგვარი ფორმით, რომ ვერ დასტურდება უწყვეტი ჩანაწერის არსებობა. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გარემოება საერთოდ არ გაუხდია სადავოდ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს და ამდენად, კასატორი არც კი უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნულს სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა სესხის ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ უდავო მტკიცებულებად. საკასაციო საჩივრის ავტორი იზიარებს ამ საკითხზე მოსამართლე მ-ის განსხვავებულ აზრს იმის შესახებ, რომ ნ. რ-ის კერძო საუბრის უნებართვო ჩანაწერი წარმოადგენს უკანონო გზით მოპოვებულ მტკიცებულებას და ეწინააღმდეგება ბევრ მნიშვნელოვან საკანონმდებლო დოკუმენტს.

კასატორი ასევე იზიარებს მოსამართლე მ-ის განსხვავებულ აზრში მოცემულ მსჯელობას ნ. დ-სა და ნ. რ-ეს შორის ვალის გადაკისრების ხელშეკრულების არარსებობის შესახებაც და აღნიშნავს, რომ ნ. დ-ის მთელი რიგი განმარტებები გარკვეული თანხების მიღება-გაცემასთან დაკავშირებით მოცულია ბუნდოვანებით. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ შეუძლებელია თანხის კონკრეტული ოდენობების განსაზღვრა, კონკრეტული მოვალეების იდენტიფიცირება და ასევე, კონკრეტული ვალდებულებების განსაზღვრა. ამ პირობებში კი შეუძლებელი იყო ნ. რ-ის, ზ. მ-ისა და ე. ა-ის მიმართ შესრულებაზე ვალდებულ პირად მიჩნევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 25 ნოემბრის განჩინებით ნ. რ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესა-
მონმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2015 წლის 26 იანვრის განჩინებით ნ. რ-ის საკასა-
ციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალა-
ქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტი-
ლებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-
საჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთე-
ბა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ნ. რ-ის
საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გა-
მო:

საკასაციო საჩივრით გასაჩივრებულია გადაწყვეტილება იმ
ნაწილში რომლითაც ც. რ-ეს ზ. მ-ისა და ე. ა-ის სასარგებლოდ
დაეკისრა 56 000 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულ ვალდებულებასთან
დაკავშირებით დაადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნე-
ლობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

ზ. მ-ემ და ე. ა-ემ 56 000 აშშ დოლარი სესხის სახით გადას-
ცეს ნ. რ-ეს.

კასატორი უთითებს, რომ აღნიშნული გარემოება სააპელა-
ციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, კერძოდ:

1. არ დასტურდება მოსარჩელების მიერ ნ. რ-ისთვის თან-
ხის გადაცემის ფაქტი;
2. არ დასტურდება სესხის სახით გადაცემული თანხის ოდე-
ნობა;
3. არ დასტურდება, რომ მოსარჩელებისაგან ნ. რ-ემ თანხა
მიიღო სესხის სახით (ნ. რ-ის, როგორც მსესხებლის სამართლებ-
რივი სტატუსი).

კასატორი უთითებს, რომ აღნიშნული გარემოების დადგე-
ნისას სასამართლომ: (ა) არასწორად შეაფასა საქმეში არსებუ-
ლი მტკიცებულებები, (ბ) დაეყრდნო უკანონო გზით მოპოვე-
ბულ მტკიცებულებას, (გ) მოსარჩელებსა და მოპასუხეს შო-
რის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმის დადგენისას სა-
სამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა რო-
გორც ფაქტობრივ გარემოებებს, ისე მტკიცებულებებს და (დ)
არასწორად განმარტა ზოგადად სესხის ხელშეკრულებასთან
დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები, კერძოდ, სესხის არ-
სებობა-არარსებობასთან დაკავშირებული სამართლებრივი წი-

ნაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსთვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა, შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება და განმარტება.

ამგვარი დასაშვები შედავებისას საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან, ანუ შეამოწმოს, გადაწყვეტილების გამოტანისას დაცულია თუ არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნები.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოა მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა. ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მოსარჩელების მოთხოვნა, მათი განმარტებით, გამომდინარეობს სესხის ზეპირი ხელშეკრულებიდან, რომლის არსებობას მოპასუხე სადავოდ ხდის. კერძოდ, მოპასუხე აცხადებს, რომ სასესხო ურთიერთობა მოსარჩელებს ჰქონდათ არა მასთან, არამედ მესამე პირთან (იბა „ჩ-თან“).

შესაბამისად, დავას არ იწვევს სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების ფაქტი. სადავოა ის, თუ ვის აკისრია ეს ვალდებულება – ნ. რ-ეს თუ იბა „ჩ-ს“.

ამრიგად, საკასაციო სასამართლოს მხრიდან შეფასებას საჭიროებს, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება – მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობის შესახებ – რამდენად სწორად არის დადგენილი და შეესაბამება თუ არა სასესხო ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების (სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლები) აბსტრაქტულ აღწერილობას.

სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი ვალდებულებას კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ მხარეთა შორის არსებული სამართალურთიერთობის სესხის ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია შემდეგი კუმულაციური წინაპირობების არსებობა – გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის საკუთრებაში გადაცემა, ხოლო მსესხებლის მხრიდან ვალდებულების აღება, რომ იგი დააბრუნებს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთს.

სესხის ხელშეკრულების ფორმას არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. ამრიგად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონი შესაძლებლად მიიჩნევს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმის დაცვას, და მისი არჩევა მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული. თუმცა კოდექსის 624-ე მუხლი ყურადღებას ამახვილებს იმ რისკზე, რომელიც თან ახლავს სესხის ხელშეკრულების ზეპირი ფორმის არჩევას და ამ რისკთან დაკავშირებული მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებაზე. აღნიშნული მუხლის დანაწესის შესაბამისად, სესხის ზეპირი ხელშეკრულების არსებობა ვერ დადასტურდება მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით, თუმცა მონმეთა ჩვენებები დასაშვებია, თუ ისინი წარდგენილია სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

ამრიგად, სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლებიდან გამომდინარეობს, რომ ზოგადად, სასესხო ურთიერთობის (სესხის ხელშეკრულების) არსებობის დადასტურების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს (გამსესხებელს), ხოლო ვალდებულების შესრულების ტვირთი – მოპასუხეს (მსესხებელს), ხოლო ზეპირი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში სასესხო ურთიერთობის არსებობას მოსარჩელე სხვა მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით ვერ დაადასტურებს.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეების მიერ 56 000 აშშ დოლარის სესხის სახით ნ. რ-ისთვის გადაცემის ფაქტის დასადაგენად სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებას:
 - ა. მოსარჩელეები (ზ. მ-ე, ე. ა-ე);
 - ბ. მოპასუხე (ნ. რ-ე);
2. მონმის ჩვენებას (ნ. დ-ი);
3. წერილობით მტკიცებულებას – შსს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელთან ნ. რ-ის გასაუბრების 2012 წლის 28 აგვისტოს ოქმი;
4. ფარულ აუდიო-ჩანაწერს.

საკასაციო საჩივრიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სააპელაციო სასამართლოს მიერ რამდენად კანონის მოთხოვნათა დაცვით იქნა დადგენილი აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც კვლევას მოითხოვს როგორც საქმეში არსებული მტკიცებულებების მოპოვების, ისე მათი შეფასების კანონიერება.

საკასაციო სასამართლოს უპირველესი შემოწმების საგანია კასატორის პრეტენზია მტკიცებულებათა დაშვება-განკუთვნიდობის კანონიერების შესახებ (ანუ სადავო გარემოების დადგენისას დაეყრდნო თუ არა სასამართლო კანონიერი გზით მოპოვებულ (დასაშვებ) მტკიცებულებას), ხოლო შემდეგ პრეტენზია მტკიცებულებათა შეფასების კანონიერებასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ მოსარჩელებების მიერ მოპოვებული ფარული აუდიო ჩანაწერი მოცემულ საქმეში საპროცესო – სამართლებრივი თვალსაზრისით არ წარმოადგენს დასაშვებ მტკიცებულებას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აკონკრეტებს, თუ რა სახით მოპოვებული მტკიცებულება ჩაითვლება კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებად, შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მტკიცებულების მოპოვება ხომ არ ეწინააღმდეგება რაიმე კანონს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადანყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცულია სამართლებრივი სიკეთე – კომუნიკაციის თავისუფლება, რაც გულისხმობს კომუნიკაციის დაცვას გარეშე პირთა არასასურველი მონაწილეობისაგან. კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას, თავად განსაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი და პარტნიორი, რაც უზრუნველყოფს ადამიანის იმგვარ თავისუფალ თვითგამოსახვას, რომელიც თავისუფალია გა-

რეშე წამკითხველისა და მარეგისტრირებული სუბიექტის ჩარევით განპირობებული თავშეკავებისაგან¹.

აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ აზრის გამოხატვა, არამედ მისი ადრესატამდე მისვლაც. შესაბამისად, აზრის თავისუფლება დაცული უნდა იყოს მესამე პირთა მხრიდან მისი შინაარსის გაცნობისაგან. ადამიანის უფლებები ირღვევა, როდესაც ინდივიდი ცხოვრობს იმის შეგრძნებით, რომ მისი ნებისმიერი სიტყვა, რაიმე, თუნდაც, გაუაზრებელი და სპონტანური აზრის გამოხატვა, განვითარების პროცესში არსებული დიალოგისას გამოთქმული წინასწარი პოზიცია, ან რაიმე ფორმულირება, რომლის წამდვილი შინაარსის გაგება მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის ცოდნის შემთხვევაშია შესაძლებელი, სხვა გარემოებებში და სხვა კონტექსტში შეიძლება იქნას გამოყენებული. ინდივიდმა კერძო საუბრები უნდა აწარმოოს იმის ეჭვისა და შიშის გარეშე, რომ საიდუმლო ჩანაწერს ვინმე მისი ნებართვის გარეშე და ნების საწინააღმდეგოდ გამოიყენებს².

კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია კომუნიკაციის მონაწილე ყველა პარტნიორი, როგორ გარე, ასევე შიდა ჩარევისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებით დაცულია არა მხოლოდ მესამე პირთა მეშვეობით განხორციელებული ჩარევა, არამედ, კომუნიკაციის ერთ-ერთი მონაწილის მხრიდან დანარჩენ მონაწილეთა თანხმობის გარეშე პირადი კომუნიკაციის განსაჯაროება.

განსახილველ შემთხვევაში, საქმე ეხება პირადი შეხვედრისას განხორციელებული საუბრების ფარულ აუდიოჩანაწერს. ვინაიდან საუბარი, მეორე მხარის ნებართვის გარეშე, ფარულად არის ჩანერილი, ამიტომ იგი კანონდარღვევითაა მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ჩანაწერი დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნას მიჩნეული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის კონტექსტში. მითითებული დასკვნის საფუძველს კი წარმოადგენს ის გარემოება, რომ

¹ H.Kruger, M.Pagenkopf, Art.10, in: M. Sachs (Hrsg.), Grundgesetz: Kommentar, München 2003, Rn.13 უშუალო წყარო: ი.კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ.181

² იხ. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: BVerfGE 34, 238 (246 f); უშუალო წყარო: ი.კობახიძე, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მეორე თავი, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ.181

პირადი საუბრის ფარული ჩანერა, ხოლო შემდეგ სასამართლო-ში მტკიცებულების სახით წარდგენა, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობას, ასევე კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ეხება.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1165 რეზოლუციაში „Right to Privacy“ (1998) განმარტებულია, რომ „ევროპული კონვენციის მე-8 მუხლმა უნდა დაიცვას ინდივიდის პირადი ცხოვრება არა მარტო საჯარო ხელისუფლების, არამედ კერძო პირების მხრიდანაც“.³ თუმცა, იმის მიხედვით, პირადი ცხოვრების რომელ სფეროს შეეხება საქმე, დაცულობის ხარისხი განსხვავებულია. განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის ინტიმური სფერო, რომელიც აბსოლუტური დაცვით სარგებლობს. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება კერძო საუბარს, რომელიც კერძო სფეროს განეკუთვნება და რომელიც არ სარგებლობს აბსოლუტური პრივილეგიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შეზღუდვა დასაშვებია, ანუ მასში ჩარევა შესაძლებელია საამისო დაცვის ღირსი ინტერესისა და კანონიერი მიზნის არსებობის პირობებში. შესაბამისად, კერძო სფეროში ჩარევის დროს, ჩარევა გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს უპირატესი საყოველთაო ინტერესის არსებობით, ანუ ჩარევის მართლობიერების დადგენის მიზნით, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა ისეთი დაცვის ღირსი ინტერესი, რომელიც პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებაზე უფრო მაღლა დგას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალურთიერთობის ფარგლებში სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადასტურების მიზნით მტკიცებულების შესაქმნელად პირად სფეროში ჩარევა და ამით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის უფლების შეზღუდვა გამართლებული არ არის. ამგვარი დასკვნა, პირველ რიგში, გამომდინარეობს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან, რომელიც, თავის მხრივ, სამოქალაქო უფლება-მოვალეობების მიმართ გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს. სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტები თავისუფალნი არიან სამოქალაქო ურთიერთობებში, შესაბამისად, ისინი ვალდებული არიან, გამოიჩინონ შესაბამისი სამოქალაქო სა-

³ ევროპის საბჭოს ასამბლეის №1165 რეზოლუცია Right to Privacy (1998) <http://assembly.coe.int/Main.asp?link=/Documents/AdoptedText/ta98/ ERES1165.htm>

მართლებრივი წინდახედულობა და მტკიცებულება პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობის ფარგლებში მოიპოვონ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარე სათანადოდ არ უზრუნველყოფს სამართალურთიერთობას მტკიცებულებებით, არ გულისხმობს იმას, რომ მას შემდგომ აღნიშნული მტკიცებულების შექმნის უფლება მეორე მხარის პირად ცხოვრებაში ჩარევის გზით წარმოეშობა. ამგვარი სახით მოპოვებულ მტკიცებულებათა ლეგიტიმაციის პირობებში მივიღებთ არა სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე დამყარებულ საზოგადოებას, არამედ კონსტიტუციურ ღირებულებათა დაუშვებელ ხელყოფას, რა დროსაც, განსაკუთრებით პირადი ცხოვრებისა და პირადი კომუნიკაციის ხელშეუვალობის უფლება იქნება შეზღუდული, რაც დაუშვებელია. ამგვარი შეზღუდვა (ჩარევა) გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც პირი თვითდახმარების ან „თვითდახმარებასთან მიახლოვებულ“ ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, თუ ფარული ჩანაწერი ერთადერთი გზაა საკუთარი უფლების დასაცავად, იმის გამო, რომ სხვაგვარად პირი საკუთარ უფლებას ვერ დაიცავს ან არსებობს რეალური საშიშროება ყველა სხვა მტკიცებულების განადგურების, ასეთ ვითარებაში ფარული ჩანაწერის გზით მტკიცებულების შექმნა დასაშვებია. ამდენად, თუ პირზე ხორციელდება ზენოლა, მუქარა შანტაჟი, საკუთარი უფლებების დაუშვებელი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად, კონსტიტუციურ ღირებულებათა მრავალმხრივი ანონ-დანონვის შედეგად, შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს სხვის პირად სფეროში ჩარევა, თუმცა, აღნიშნული დაუშვებელია მაშინ, როდესაც სხვის პირად სფეროში ჩარევა თვითდახმარებას კი არ ემსახურება, არამედ მეორე მხარისათვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას. პირად სფეროში ჩარევა კი საჭირო გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ უფლებამოვალეობათა კრედიტორმა თავის დროზე არ იზრუნა შესაბამისი მტკიცებულების (ხელშეკრულების, ხელწერილის, და ა. შ.) შექმნაზე. ასეთ ვითარებაში, როდესაც გაუმართლებელია ჩარევა პირად სფეროში, ამგვარი გზით მოპოვებული მტკიცებულება, დაუშვებელი მტკიცებულებაა. მისი დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის თანხმობით, ამასთან, თანხმობა უნდა ეხებოდეს არა მტკიცებულების ფორმალურ დასაშვებობას, არამედ იმას, რომ მტკიცებულების შინაარსი სასამართლომ გადანყვეტილებას დაუდოს საფუძვლად. ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, დაუშვებელია ფარულ ჩანაწერს გადანყვეტილება დაეფუძნოს, მაშინაც კი, თუ ფარული ჩანაწერიდან უტყუარად დასტურდება ის გარემოება, რომლის დადას-

ტურების მიზანსაც ფარული ჩანერა (კერძო სფეროში ჩარევა) ემსახურებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო გარემოების დასადგენად ფარული აუდიო-ჩანაწერი, როგორც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, არ შეიძლება იქნას გამოყენებული.

ამრიგად, ფარული აუდიო-ჩანაწერის გამორიცხვის შემდეგ, საკასაციო პალატის შემოწმების საგანს წარმოადგენს, რამდენად სრულყოფილად და ობიექტურად შეაფასა სასამართლომ დარჩენილი მტკიცებულებები, კერძოდ:

1. მხარეთა ახსნა-განმარტებები:

ა. მოსარჩელები (ზ. მ-ე, ე. ა-ე);

ბ. მოპასუხე (ნ. რ-ე);

2. მოწმის ჩვენება (ნ. დ-ი);

3. წერილობით მტკიცებულება – შსს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელთან ნ. რ-ის გასაუბრების ოქმი,

და რამდენად სწორად დაადგინა სადავო გარემოება ამ მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

მოსარჩელების – ზ. მ-ისა და ე. ა-ის ახსნა-განმარტებით, მათ 2008 წლის თებერვალ-მარტში 56 000 აშშ დოლარი სარგებლიანი სესხის სახით პირადად გადასცეს ნ. რ-ეს, რომელიც ახდენდა დაბალ საპროცენტო განაკვეთში ფულის სესხად აღებას და მაღალ საპროცენტო განაკვეთში იბა „ჩ-ისათვის“ სესხად გადაცემას.

მოპასუხის – ნ. რ-ის განმარტებით, მოსარჩელებს მასთან სასესხო ურთიერთობა არ ჰქონიათ და მისთვის არანაირი თანხა არ გადაუციათ. მოსარჩელებმა სადავო თანხა (შესაგებლის თანახმად 45 000 აშშ დოლარი) სარგებლიანი სესხის სახით გადასცეს არა მას, არამედ იბა „ჩ-ის“ თავმჯდომარე ნ. დ-ს, რომელთანაც ისინი დააკავშირა (შეახვედრა) ნ. რ-ემ.

შსს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივ – გამომძიებლის ნ. რ-ესთან გასაუბრების 2012 წლის 28 აგვისტოს ოქმის თანახმად, ნ. რ-ე უთითებს, რომ: „2007 წელს მისი ნაცნობი ნ. დ-ი აშენებდა რა კორპუსს ქ. თბილისში ჭ-ის გამზირზე, იგი კერძო პირებისაგან სესხულობდა სარგებლიან თანხებს მშენებლობისათვის . . . ანალოგიური მიზნით სწორედ ნ. რ-ემ და ნ. მ-ამ დაახლოებით 15 ადამიანი დააკავშირეს დ-ს, რომლებმაც საერთო ჯამში ნ. რ-ის და ნ. მ-ას კუთვნილ თანხებთან ერთად, დ-ს გადასცეს 1 000 000 აშშ დოლარი. . . ზ. მ-ემ თავისი ინიციატივით სწორედ გაასესხა სარგებლიანი თანხა დ-ზე. კერძოდ, 2007 წლის

ივლისს 15 000 აშშ დოლარი . . . ამის შემდეგ სამ თვეში დამატებით ზ-მა . . . დ-ს გადასცა საერთო ჯამში თანხა 56 000 აშშ დოლარი. . . 2010 წელს დ-მა იმის გამო, რომ ვერ იხდიდა ზემოაღნიშნულ სესხს 1 000 000 აშშ დოლარს, რ-ეს და მ-ას მათ მიერ მოძიებული გამსესხებლების გარკვეულწილად დაკმაყოფილების მიზნით, საკუთრებაში ორივეს უსასყიდლოდ გადაუფორმა უკვე დარეგისტრირებული ფართები, საერთო ჯამში 888 კვ.მ ფართი, რითაც მიუთითა, რომ მოეხდინათ სწორედ ფართების რეალიზაცია და მიღებული თანხებით კი გაესტუმრებინათ მევალებები. ამის შემდეგ ზ-ის ძმისშვილმა ბ. მ-ემ 2011 წლის 28 იანვარს, გამოიქვანა ფართის მყიდველი, გაიყიდა 156 კვ.მ ფართი 117 000 აშშ დოლარად. მყიდველმა გ. ბ-ამ საქართველოს ბანკიდან გამოიტანა თანხა და იქვე ბანკის შენობაში განაწილდა იქ აღნიშნულისათვის მისულ დ-ის რამოდენიმე ძირითად გამსესხებლებზე, რა დროსაც ზ-მა ბანკის სალაროსთან ხელზე მიიღო მყიდველისაგან 40 000 აშშ დოლარი მისი ძირითადი თანხიდან. . . ზ-ის მიერ 40 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტის დადასტურება შეუძლია ბანკში მყოფ ყველა მოქალაქეს. . . მიღებული თანხიდან 38 000 აშშ დოლარი მოხმარდა აღნიშნულ ფართზე საქართველოს ბანკში იპოთეკის მოხსნას. დარჩენილი ფართები, რომლებსაც ასევე აქვთ საქართველოს ბანკის იპოთეკა, დღესდღეობით გაყიდვაშია, რათა აღებული თანხებით გასტუმრებული იქნეს, ნაწილობრივ მაინც, ის მევალებები, რომლებსაც საერთოდ არ მიუღიათ თავიანთი სესხები. . . თუ რეალიზაციის და თანხის განაწილების შემდეგ დარჩება გარკვეული თანხა, აღნიშნულიდან გადაეცემა ზ-ს მისი დარჩენილი 16 000 აშშ დოლარი, რასაც დღეს მოითხოვს“.

ამრიგად, გასაუბრების ოქმში მოპასუხე ადასტურებს: (ა) 56 000 აშშ დოლარის ოდენობით მოსარჩევეების მიმართ სასესხო ვალდებულების არსებობის ფაქტს, და უთითებს (ბ) მის საკუთრებაში არსებული ფართის რეალიზაციით მის მიერ ამ ვალდებულების ნაწილობრივ (40 000 აშშ დოლარის ნაწილში) შესრულებაზე, თუმცა აღნიშნავს რომ (გ) ეს სასესხო ვალდებულება წარმოადგენდა იბა „ჩ-ის“ ვალდებულებას მოსარჩევეების მიმართ, და მის მიერ (ნ. რ-ის მიერ) მოხდა სხვისი (იბა „ჩ-ის“) ვალდებულების შესრულება.

გასაუბრების ოქმი არის წერილობითი მტკიცებულება, რომელში მითითებული გარემოებების საწინააღმდეგო, გამაქარწყლებელი რაიმე სხვა მტკიცებულება მოპასუხეს/კასატორს არ წარმოუდგენია. კასატორი აღნიშნულთან დაკავშირებით მხოლოდ უთითებს, რომ ოქმში მოცემული განმარტებიდან – რ-ის

მიერ იბა „ჩ-ის“ ვალდებულების შესრულების შესახებ – არ შეიძლება გამომდინარეობდეს დასკვნა ნ. დ-სა და ნ. რ-ეს შორის ვალის გადაკისრების ხელშეკრულების არსებობის თაობაზე, რასაც იზიარებს საკასაციო სასამართლო, თუმცა აღნიშნავს, რომ ასეთი დასკვნა სააპელაციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში არ გაუკეთებია.

ამრიგად, შსს ძველი თბილისის სამმართველოს დეტექტივ – გამომძიებლთან გასაუბრების ოქმში ნ. რ-ე უთითებს ვალდებულების შესრულებაზე, რაც იწვევს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით გათვალისწინებული პრეზუმფციის ამოქმედებას, რომლის შესაბამისად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული პრეზუმფცია უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ იმაზე მითითებით, რომ ადგილი ჰქონდა არა მისი საკუთარი, არამედ სხვისი ვალდებულების შესრულებას.

შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სასესხო ვალდებულების არსებობა მოსარჩელის და მოპასუხის მიერ დადასტურებულია, ორივე მხარის მიერ დადასტურებულია ასევე სესხის თანხობრივი ოდენობა 56 000 აშშ დოლარი, ხოლო მოპასუხე უთითებს მის მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებაზე (40 000 აშშ დოლარი), იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მან შეასრულა არა საკუთარი, არამედ სხვა პირის ვალდებულება (სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით დადგენილი პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი), ეკისრება იმ პირს, რომელიც ამ გარემოებაზე უთითებს (მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს).

წინამდებარე საქმეში, გარდა მოპასუხის ზეპირსიტყვიერი განმარტებისა, რომ მის საკუთრებაში გადაცემული ფართების რეალიზაციით ნ. რ-ე ისტუმრებდა მოსარჩელების მიმართ იბა „ჩ-ის“ ვალდებულებას, ამ ვალდებულების დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებებზე მოპასუხეს არ მიუთითებია და ისინი არც წარმოუდგენია.

აღნიშნულ კონტექსტში საყურადღებოა, აგრეთვე, მონმე – ნ. დ-ის ჩვენებაც, რომელიც უარყოფს 56 000 აშშ დოლარის ზ. მ-ისაგან მიღების ფაქტს, თუმცა ადასტურებს, რომ ის მშენებლობისათვის კერძო პირებისაგან იღებდა სესხებს და აფორმებდა შესაბამის წერილობით მტკიცებულებებს. მან სესხის სახით სოლიდური თანხები მიიღო პირადად ნ. რ-ისაგან, რაზედაც ფორმდებოდა წერილობითი მტკიცებულებები. ნ. რ-ეს წერილობითი მტკიცებულების გარეშე მისთვის თანხა არ გადაუცია. ნ. დ-ის განმარტებით, ზოგიერთ შემთხვევაში მისთვის უცნობი

იყო ნ. რ-ის მიერ მისთვის სესხის სახით გადაცემული თანხების მესაკუთრეთა ვინაობის შესახებ და შესაბამისად, ნ. რ-ესთან ფორმდებოდა წერილობითი ხელშეკრულებები. ის თანხებს იღებდა პირადად ნ. რ-ისაგან და ვალდებული იყო მის წინაშე. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, მან ნ. რ-ეს და ნ. მ-ას უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა 888 კვ.მ. ფართი, რომლის რეალიზაციის შედეგად ნ. რ-ეს და ნ. მ-ას უნდა შეესრულებინათ ვალდებულება კერძო პირების წინაშე (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ივნისის სხდომის ოქმის ელექტრონული ჩანაწერი, 11:46:18 – 11:56:32; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 31 მარტის სხდომის ოქმის ელექტრონული ჩანაწერი, 15:26:16 – 16:02:29).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები (სამოქალაქო კოდექსის 623-ე და 624-ე მუხლები), და მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის ურთიერთობის სამართლებრივი ფორმის დადგენისას არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ზემოაღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს (მხარეთა ახსნა-განმარტება, გასაუბრების ოქმი, მონ-მე დ-ის ჩვენება).

რაც შეეხება კასატორის მითითებას საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების, კერძოდ, ე.წ. „ხელწერილის“ და მოსარჩელების მიერ დასახელებული მონმეების ჩვენებების, დაუშვებლობასა და არასრულყოფილებაზე, აღნიშნული არ შეიძლება გახდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, რადგან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ ეყრდნობა არც „ხელწერილს“ და არც ამ მონმეთა ჩვენებებს. სააპელაციო სასამართლოს სადავო გარემოებების დასადგენად არ გამოუყენებია და არ შეუფასებია ისინი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლომ შეიძლება იმსჯელოს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მხოლოდ იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო კასატორის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას.

ამრიგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელების მიერ 56 000 აშშ დოლარის მოპასუხისათვის სესხის სახით გადაცემის გარემოების დადგენასთან დაკავშირებით კასატორ-

მა ვერ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული გარემოება საკასაციო სასამართლოსთვის სავალდებულოდ ითვლება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, აგრეთვე, მოცემული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

სასესიო ვალდებულება 56 000 აშშ დოლარის ოდენობით მოსარჩელების წინაშე ნ. რ-ის არ შეუსრულებია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. რ-ის მიერ წარმოდგენილი არ არის ზ. მ-ისა და ე. ა-ის წინაშე ვალდებულების შესრულების დამადატურებელი რაიმე წერილობითი მტკიცებულება, რაც კასატორს სადავოდ არ გაუხდია.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 427-ე და 429-ე, აგრეთვე 102-ე მუხლები და მართებულად დაადგინა, რომ სარჩელი ნ. რ-ისთვის 56 000 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. რ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული
საზღაურის გადახდა შესრულებული
სამუშაოსათვის**

ბანკინება

№ას-226-213-2015

18 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ბაქაქუერი,
ბ. ალავიძე**

დავის საგანი: ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, საზღაურისა და პირგასამტეხლოს გადახდა (თავდაპირველ სარჩელში), ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება (შეგებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „გ. 2007“-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხეების: ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ის, მ. ზ-ის, გ. ც-ის, მ. ტ-ასა და ლ. ჯ-ის მიმართ, რომლითაც მოითხოვა, მოპასუხეებისათვის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 83,945.44 ლარისა და პირგასამტეხლოს – 89,438 ლარის გადახდის დაკისრება.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მხარეებს შორის 15.06.2007წ-ს გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება. მენარდემ შეასრულა გარკვეული სამუშაოები, თუმცა დამკვეთს სრულად არ აუნაზღაურებია შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

მოპასუხეებმა სარჩელზე წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ მოპასუხეებს დავალიანება არ გააჩნიათ. ამასთან, მიუთითეს სარჩელის ხანდაზმულობაზე.

მოპასუხეებმა ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-მა, მ. ზ-ემ, ლ. ჯ-მა და მ. ტ-ამ პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად შეგებებული სარჩელი წარადგინეს, რომლითაც მოითხოვეს შპს „გ. 2007“-ს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ის, მ. ზ-ის, მ. ტ-ას და ლ. ჯ-ის სასარგებლოდ 593,401 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება. ასევე, შპს „გ. 2007“-ს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ის, მ. ზ-ის, მ. ტ-ასა და ლ. ჯ-ის სასარგებლოდ 239,000 ლარის გადახდის დაკისრება.

შეგებებული სარჩელი ეფუძნება იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ შპს „გ. 2007“-ს აქვს ამხანაგობისა და მისი წევრების წინაშე რამდენიმე ასეული ათასი აშშ დოლარის დავალიანება, რომელიც წარმოშობილია მხარეთა შორის არსებული წარდობის ხელშეკრულებიდან. შპს „გ. 2007“-მა ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ის დაკვეთით აწარმოა სამშენებლო სამუშაოები. აღმოჩნდა, რომ შპს „გ. 2007“-ს ამხანაგობისაგან სახლის მშენებლობის საფასურად მიღებული აქვს უფრო მეტი თანხა, ვიდრე ამას ითვალისწინებდა წარდობის ხელშეკრულება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით: შპს „გ. 2007“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. №138“-ს, მ. ზ-ეს, გ. ც-ეს, მ. ტ-ას და ლ. ჯ-ს დაეკისრათ 83,985.44 ლარისა (მენარდის საზღაურის სახით) და 20,000 ლარის (პირგასამტეხლოს სახით) გადახდა.

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ის, მ. ზ-ის, მ. ტ-ასა და ლ. ჯ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. №138“-ის, მ. ზ-ის, ლ. ჯ-ისა და მ. ტ-ას მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. №138“-ის, მ. ზ-ის, ლ. ჯ-ისა და მ. ტ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილება.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2007 წლის 15 ივნისს ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ს, როგორც „დამკვეთს“ და მეორე მხრივ, შპს „გ. 2007“-ს, როგორც „შემსრულებელს“ შორის გაფორმდა წარდობის ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა ქ.ქობულეთში, თ. მ. გამზირზე №138-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამუშაოთა ღირებულება იყო 3,697,500 ლარი, დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით. ეს თანხა გაანგარიშდა 1მ2 მშენებლობის ღირებულების – 238 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში, კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს.

მხარეები ასევე შეთანხმდნენ ხარჯთაღრიცხვის შესაძლო

ცვლილებებზე, რისთვისაც აუცილებელი იყო დამატებითი შეთანხმების გაფორმება (2.5 პუნქტი).

„შემსრულებელმა“ იკისრა ვალდებულება – ხელშეკრულების ხელმოწერიდან ხუთი საბანკო დღის ვადაში „დამკვეთისათვის“ გადაერიცხა ავანსი 555,000 ლარის ოდენობით. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ სამუშაოთა ღირებულებები, მასალებზე საბაზრო ფასების გაზრდისას შეიცვლებოდა ორმხრივი შეთანხმებით, შესაბამისი განაკვეთებით, რაც განისაზღვრა ეროვნულ ვალუტაში (დახერხილი ხის მასალა – 380 ლარი/მ³, ცემენტი – 149 ლარი/ტ, არმატურა – 1135 ლარი/ტ, საწვავი – 1.25 ლარი/ლ – დღგ-ს გარეშე).

სამუშაოს შესრულების პერიოდი განისაზღვრა 2007 წლის პირველი ივლისიდან 2008 წლის ივნისამდე.

დამკვეთის მიერ თანხის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელს ქონდა პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება, რაც შეადგენდა გადასახდელი თანხის 0.1%-ს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეები ფაქტობრივად შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებაზე ეროვნულ ვალუტაში (ლარში), რომლის ოდენობის გაანგარიშებისათვის ერთჯერადად განისაზღვრა ასაშენებელი 1მ² ფართობის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ღირებულება 238 აშშ დოლარის ოდენობით. ხელშეკრულებითვე დადგინდა, თუ რა კურსით უნდა მომხდარიყო ანგარიშსწორება: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს. ამდენად, 1მ² ფართობის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ღირებულება იყო 404.6 ლარი (238 აშშ დოლარი X 1.7 ლარზე) და ეს ღირებულება არ იყო დამოკიდებული ფულის კურსის ცვალებადობაზე.

2008 წლის 4 აპრილს ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“, როგორც „დამკვეთს“ და შპს „გ. 2007“-ს, როგორც „მიმწოდებელს“ შორის დაიდო დამატებითი ხელშეკრულება ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ (ლიფტების შექმნა და მონტაჟი), რომლის საგანს წარმოადგენდა 3 ცალი 10 სართულიანი (გაჩერებიანი), 630კგ. ტევადობის ლიფტის გადაცემა და მონტაჟი, 96900 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის (\$ - K=1.49 ლარი, დღგ-ს ჩათვლით) გადახდის პირობით.

2008 წლის 5 ნოემბერს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ის თავმჯდომარემ წერილით მიმართა შპს „გ. 2007“-ის დირექტორს, რომელსაც სთხოვა მშენებლობის შეჩერება 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ბინების გაყიდვების შემცირებისა და შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შპს „გ. 2007“-მა 2007 წლის

15 ივნისისა და 2008 წლის 4 აპრილის ნარდობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები დაასრულა 2010 წლის 10 დეკემბერს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი იყო თავად აპელანტის (მოპასუხე) მიერ და მასში მითითებული იყო, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა 2007-2010წწ-ში და დასკვნის მომზადების პერიოდშიც იგი დასრულებული არ იყო. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ მშენებლობა 2010 წლის 10 დეკემბრამდე დასრულდა და 10 დეკემბერს უბრალოდ შედგა შესრულებული სამუშაოს მიღება.

ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-მ შპს „გ. 2007“-ს შესრულებული სამუშაოებისათვის სულ გადაუხადა 5647461 ლარი; გადასახდელი დარჩა 83985.44 ლარი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული აუდიტორული დასკვნა და აუდიტორის 22.04.2014წ-ის მიმართვაც წარმოდგენილი იყო თავად აპელანტის (მოპასუხე) მიერ. მათში აღნიშნული იყო, რომ დავალიანება სწორედ ამ ოდენობისაა და მისი დადგენისას აუდიტორი დაეყრდნო 2011 წლის 30 სექტემბრის შედარების აქტს, როგორც სათანადო და ნამდვილ ბუღალტრულ დოკუმენტს. ამდენად, აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ ვინაიდან 2011 წლის 30 სექტემბრის შედარების აქტს ხელს აწერდა მხოლოდ ბუღალტერი, ეს აქტი არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული დავალიანების ოდენობის განმსაზღვრელ შესაბამის მტკიცებულებად დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

2012 წლის 15 მაისს შპს „გ. 2007“-ის დირექტორმა წერილობით მიმართა ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ის თავმჯდომარეს, რომელსაც მოსთხოვა დარჩენილი დავალიანების ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 102-ე მუხლებზე და მიიჩნია, რომ ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-მა ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მან საკუთარი ძალებით შეასრულა სადავო სამუშაოები (სადარბაზოს კეთილმოწყობის სამუშაოები – 40000 ლარის ღირებულების, ლიფტების მონტაჟის სამუშაოები – 73000 აშშ დოლარის ღირებულების, ეზოს კეთილმოწყობისა და ღობის მოწყობის სამუშაოები – 60000 ლარის ღირებულების, შენობის გარეთა ფასადის შეღებვის სამუშაოები – 35000 ლარის ღირებულების), რადგან საქალაქო სასამართლომ სწორად არ გაიზიარა შპს „დის“ 2011 წლის 9 დეკემბრის დასკვნის მონაცემები: მე-3 პეკით-

ხვის ნაწილში, აუდიტორული დასკვნა არანაირ დასაბუთებას და გაანგარიშებას არ შეიცავდა, თუ რა ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დაადგინა აუდიტორმა ამ ღირებულების სამუშაოების შესრულების გარემოება ამხანაგობის მიერ.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მითითება შპს „გ. 2007“-ის სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ვინაიდან 2007 წლის 15 ივნისის და 2008 წლის 4 აპრილის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოები შემკვეთმა დაასრულა 2010 წლის 10 დეკემბერს, ხანდაზმულობის ვადა უნდა ათვლილიყო სწორედ ამ მომენტიდან. სარჩელი კი, სასამართლოში შპს „გ. 2007“-მა აღძრა 2013 წლის 13 ნოემბერს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ამ ხელშეკრულებებით მენარდემ – შპს „გ. 2007“-მა იკისრა ვალდებულება – შეესრულებინა სამშენებლო სამუშაოები და მიეწოდებინა (დაემონტაჟებინა) ლიფტები შემკვეთის – ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. №138“-ის სასარგებლოდ და მის კუთვნილ სამშენებლო ობიექტზე; შემკვეთს კი, დაეკისრა ვალდებულება გადაეხადა მენარდისათვის შეთანხმებული საზღაური.

მენარდემ სარჩელი აღძრა შეთანხმებული საზღაურის აუნაზღაურებელი ნაწილის – 83985.44 ლარისა და მისი გადახდის დაყოვნებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდევინების მოთხოვნით. ამდენად, მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა და დაემტკიცებინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა: ა) მან ჯეროვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება; ბ) შემკვეთს სრულად არ გადაუხდია შეთანხმებული საზღაური დადგენილ ვადაში; გ) ვალდებულების ჯეროვანი შეუსრულებლობისათვის დაწესებული იყო პირგასამტეხლო დადგენილი ფორმით და გონივრული ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მენარდემ დაამტკიცა ზემოთ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობა. შეთანხმებული საზღაურის აუნაზღაურებელი ნაწილის ოდენობა განისაზღვრა, როგორც მოსარჩელის, ასევე, თვითონ აპელანტის (მოპასუხე) მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით. სამოქალაქო კოდექსის 417-ე-418-ე მუხლების თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც

მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ მხარეები შეთანხმდნენ პირგასამტეხლოზე კანონით დადგენილი ფორმით. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, გონივრულად იქნა მიჩნეული, რომ მოვალეს გადაეხდა პირგასამტეხლო დავალიანების ძირითადი თანხის 0.07%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამდენად, გადაუხდელი საზღაურის ოდენობის (83985.44 ლარი) და მისი გადახდის ვადის გადაცილების პერიოდის (2010 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე) გათვალისწინებით პირგასამტეხლოს თანხა მნიშვნელოვნად აღემატებოდა გასაჩივრებული გადანყვეტილებით შემკვეთისათვის დაკისრებულ 20000 ლარს (83985.44-ის 0.07%=58.78 ლარს, რომელიც, დაახლოებით 35 თვეზე გაანგარიშებით შეადგენდა 61729 ლარს). ვინაიდან მენარდეს სააპელაციო საჩივარი არ წარმოუდგენია, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს გადახდევინების ნაწილში გასაჩივრებული გადანყვეტილება კანონიერი იყო.

სასარჩელო ხანდაზმულობის არსისა და მისი პრაქტიკული მნიშვნელობის განმარტებისათვის სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. 144-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კი ხანდაზმულობის ვადის გავლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

მოხმობილ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარე, სააპელაციო

სასამართლომ განმარტა, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება კრედიტორმა მოვალეს უნდა მოთხოვოს სამი წლის ვადაში იმ მომენტიდან, როცა შეიტყობს (ან უნდა შეიტყოს), რომ მოვალემ, შეთანხმებულ ვადაში, არ შეასრულა თავისი ვალდებულება. მოთხოვნის წარდგენა უნდა განხორციელდეს სარჩელის სასამართლოში აღძვრით, სახელმწიფო ორგანოსთვის განცხადების მიმართვით ან აღმასრულებელი მოქმედების განხორციელებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვალეს, მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, ენიჭება უფლება – უპირობოდ უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, რაც სავალდებულოდ გასათვალისწინებელია კრედიტორისა და სასამართლოსთვისაც.

მოცემულ შემთხვევაში, დადგინდა იქნა, რომ შპს „გ. 2007“-მა განსახილველი სარჩელი ბათუმის საქალაქო სასამართლოში აღძრა 2013 წლის 13 ნოემბერს. აპელანტების (მოპასუხეების) მიმართ საზღაურის გადახდევინების მოთხოვნა კი, მას წარმოემვა 2010 წლის 10 დეკემბერს.

ამდენად, შპს „გ. 2007“-ს სარჩელი უნდა აღედრა არაუგვიანეს 2013 წლის 10 დეკემბრისა. შესაბამისად, 2013 წლის 13 ნოემბერს აღძრული სარჩელი ვერ იქნებოდა მიჩნეული ხანდაზმულად.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა „თ. მ. ს. №138“-ის, მ. ზ-ის, ლ. ჯ-ის და მ. ტ-ას შეგებებული სარჩელი შპს „გ. 2007“-ის წინააღმდეგ ემყარებოდა შემდეგ საფუძვლებს:

2007 წლის 15 ივნისის ხელშეკრულების თანახმად, 1მ² ფართის მშენებლობის ღირებულება იყო 238 აშშ დოლარი. თუმცა, როგორც აუდიტორული შემოწმებით დადგინდა, შემკვეთს მენარდისათვის, 238 აშშ დოლარის ნაცვლად, გადახდილი აქვს 279 აშშ დოლარი. ამდენად, მენარდემ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მიახლოებით ხარჯთაღიწვხვას, ისე, რომ მისი მხრიდან არავითარი შეტყობინება შემკვეთს არ მიუღია, რის გამოც შემკვეთის მიერ ზედმეტად და უსაფუძვლოდ გადახდილი თანხა – 593401 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ლარში უნდა დაუბრუნდეს უკან შემკვეთსვე. გარდა ამისა, შემკვეთმა, მენარდის ნაცვლად, სამშენებლო ობიექტზე შეასრულა საერთო ჯამში 239000 ლარის ღირებულების აუცილებელი სამუშაოები, რაც, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების (სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხ.) თანახმად უნდა აუნაზღაურდეს შემკვეთს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეგებებული სარ-

ჩელისა და სააპელაციო საჩივრის საფუძვლების შედარებით ირ-კვეოდა რომ ისინი განსხვავებული იყო. ფულის კურსის ცვლი-ლებაზე დაყრდნობით შეგებებული სარჩელის მოთხოვნა პირ-ველი ინსტანციის სასამართლოში არ წარდგენილა. აპელანტი მხა-რეს არ დაუსაბუთებია, რომ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ამ ფაქტობრივ გარემოებაზე არ იქნა მითითებული ბა-თუმის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას, რის გა-მოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნა-ნილის თანახმად, ვერ შემონმდებოდა გასაჩივრებული გადაწ-ყვეტილების კანონიერება ამ ფაქტობრივი გარემოების გათვა-ლისწინებით. სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლის პირველი ნა-ნილის თანახმად, თუ მენარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, მას შეუძლია მოითხოვოს მხო-ლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, რო-ცა გადახარჯების წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო. ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, მიახლოებითი ხარჯთაღ-რიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ და-უყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მა-შინ იგი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მი-ახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ 2011 წლის 30 სექტემ-ბრამდე შემკვეთმა, ნებაყოფლობით, გადაუხადა მენარდეს 5647461 ლარი, ისე, რომ გადახდების განხორციელებამდე არა-ვითარი პრეტენზია მენარდის მიმართ არ გასჩენია და არც ხელ-შეკრულება შეუნწყევტია ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გა-დაჭარბების საფუძველზე. ამდენად, მისი სააპელაციო პრეტენ-ზია დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული.

სამოქალაქო კოდექსის 973-ე მუხლის თანახმად, შემსრუ-ლებელს უფლება აქვს მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზ-ღაურება, რომლებიც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუ-ცილებლად იქნა მიჩნეული.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული ნორ-მის საფუძველზე აპელანტი მოითხოვდა 239000 ლარის გადახ-დევინებას. თანხის ოდენობის განსაზღვრისას კი, ეყრდნობო-და შპს „დ-ის“ 2011 წლის 9 დეკემბრის აუდიტორულ დასკვნას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი აუ-დიტორული დასკვნა, შემკვეთის მიერ საკუთარი ხარჯით 239000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების ნაწილ-ში, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი იყო და ემყარებოდა მხო-

ლოდ შემკვეთის მიერ წარდგენილ ზეპირ განმარტებას, შესაბამისი ბუღალტრული დოკუმენტაციის შესწავლის გარეშე (იხ: 3.1.7 პუნქტი). გარდა ამისა, აპელანტებს (შეგებებული სარჩელის ავტორებს) არ დაუმტკიცებიათ, რომ ამ ხარჯების განწევა, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-მა, მ. ზ-ემ, მ. ტ-ამ, ლ. ჯ-მა გაასაჩივრეს საკასაციო წესით, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაბრუნება.

კასატორი მიუთითებს სარჩელის ხანდაზმულობაზე და აღნიშნავს, რომ იმისათვის, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს ხანდაზმულობისათვის გვერდი აევლო მტკიცებულებითი მნიშვნელობა მიანიჭა 2010 წლის 10 დეკემბრის აქტს, რომლითაც დადგენილად მიიჩნია, რომ სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 2010 წლის 10 დეკემბრისათვის.

კასატორი აღნიშნავს, რომ 2010 წლის 10 დეკემბრის აქტს ხელს არ აწერს მ. ზ-ე, არამედ ხელმოწერა სავარაუდოდ შესრულებულია სხვა პირის მიერ. შპს „გ. 2007-ის“ დირექტორმა გ. ყ-მა განაცხადა, რომ ამ აქტს ხელს აწერდა გ. ც-ე (იხ., 15.07.2014წ-ის სხდომის აუდიო ჩანაწერი). კასატორი მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ სასამართლოს შპს „გ. 2007-ის“ დირექტორის აღიარება უნდა მიეჩნია სადავო გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად. ამის საპირისპიროდ კი, საქმის განმხილველმა სასამართლომ სამუშაოების დასრულების ფაქტის დასადასტურებლად მიუთითა 2010 წლის 10 დეკემბრის აქტზე და მიიჩნია, რომ სამუშაოები დასრულდა 2010 წლის 10 დეკემბერს.

შპს „დ-ის“ 2011 წლის 9 დეკემბრის აუდიტორულ დასკვნასთან დაკავშირებით კი, კასატორმა მიუთითა, რომ აუდიტის დასკვნით მშენებლობის დასრულების ფაქტი არ დგინდება, რამდენადაც ეს გარემოება არ განეკუთვნება აუდიტორის შეფასების საგანს. რაც შეეხება დასკვნაში მითითებულ გარემოებას, რომ დამკვეთს შპს „გ. 2007-სათვის“ იმაზე მეტი აქვს გადახდილი ვიდრე ეკუთვნოდა, სასამართლომ არ გაიზიარა.

ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ 2011 წლის 30 სექტემბრის აქტი, არ წარმოადგენს ვალის აღიარების დოკუმენტს, რადგან მას ხელს აწერს არა ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის“ თავმჯდომარე და მისი მოადგილე, არამედ ბუღალტერი თ.ვარშანიძე, რომელსაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ ჰქონდა მინიჭებული.

შეგებებული სარჩელის საფუძვლებთან დაკავშირებით კა-

სატორი აღნიშნავს, რომ შპს „გ. 2007-ის“ მიერ აშენებულ 1მ² დამკვეთს უნდა გადაეხადა 238 აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით. როგორც აუდიტის დასკვნით დგინდება რეალურად აღმოჩნდა, რომ ამხანაგობამ გადაიხადა 1მ² მეტრში 279 აშშ დოლარი. კასატორი მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ მოპასუხის მხრიდან არ ყოფილა არავითარი შეტყობინება მოსარჩელე მხარის მიმართ, რომ მნიშვნელოვნად იზრდებოდა ხარჯთაღრიცხვა. შესაბამისად, ის თანხა, რაც შპს „გ. 2007-მა“ მიიღო ზედმეტად უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების თანახმად ექვემდებარება დაბრუნებას.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ შპს „დ-ის“ დასკვნა გაცემულია ბუღალტრული დოკუმენტაციის შესწავლის გარეშე, კასატორი არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ დასკვნა შედგენილია ბუღალტრული დოკუმენტაციის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებასთან დაკავშირებით, რომ სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის საფუძველები არის განსხვავებული, კასატორი აღნიშნავს, რომ მხარე არ არის ვალდებული მიუთითოს მოთხოვნის სამართლებრივ რეგულირებაზე, რადგან სამართლებრივი კვალიფიკაცია სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება.

კასატორის მოსაზრებით, საქმის განმხილველ სასამართლოს აუდიტის დასკვნის გარეშეც უნდა დაედგინა, რომ დამკვეთმა ზედმეტად გადაიხადა თანხა, კერძოდ, ჯამში აშენებულია 13092მ², ხელშეკრულების თანახმად, 1მ²-ის სამუშაოთა ღირებულებაა 238 აშშ დოლარი, ხოლო მათი ნამრავლი 3115896 აშშ დოლარია. მოსარჩელე აცხადებს, რომ სულ შესრულდა 5 731 602 ლარის სამუშაოები, და დამკვეთს დარჩენილი აქვს გადასახდელად 83,985 ლარი. ამდენად, თუ 5731602 ლარს გამოვაკლებთ 83,985-ს მივიღებთ 5647461 ლარს. ე.ი თავად შპს „გ. 2007“ ადასტურებს, რომ დამკვეთმა გადაიხადა თუ 5647461 ლარი, რაც სადავო არ არის.

სააპელაციო სასამართლო კი ადგენს, რომ ყოველი აშენებული 1მ²-სთვის ამხანაგობას უნდა გადაეხადა 404,6 ლარი. დადგენილია, კერძოდ, ჯამში აშენებულია 13092მ² ე.ი დამკვეთს უნდა გადაეხადა 13092მ²-ისა და 404,6-ის ნამრავლი, რაც შეადგენს 5297023 ლარს. დადგენილია, რომ დამკვეთმა გადაიხადა 5647461 ლარი ანუ, 350 438 ლარით მეტი

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოკ-

ლებულია როგორც ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ საფუძვლებს, რის გამოც ის უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 6 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით კასატორი სადავოდ ხდის წარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 83,945.44 ლარისა და პირგასამტეხლოს – 20,000 ლარის გადახდის დაკისრებას. აგრეთვე, შეგებებული სარჩელიდან გამომდინარე, ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, სადავო საკითხის კანონიერება შემოწმდეს მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

დადგენილია, რომ 2007 წლის 15 ივნისს ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ს, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის – გ. ც-ის სახით, როგორც „დამკვეთსა“ და მეორე მხრივ, შპს „გ. 2007“-ს, წარმოდგენილი მისი დირექტორის – გ. ყ-ის სახით, როგორც „შემსრულებელს“ შორის გაფორმდა წარდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ქ.ქობულეთში, თ. მ. გამზირზე №138-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

ხელშეკრულებით განისაზღვრა სამუშაოთა ღირებულება – 3,697,500 ლარი, დღგ-ს ჩათვლით ანუ, 1მ² მშენებლობის ღირებულებას შეადგენდა 238 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს.

სამუშაოს შესრულების ვადის გადაცილებისათვის ხელშემკვერელ მხარეთა მიერ გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა შეადგენდა გადასახდელი თანხის 0.1%-ს.

სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვრა 2007 წლის პირველი ივლისიდან 2008 წლის ივნისამდე პერიოდი.

ხელშეკრულებითვე განისაზღვრა სამუშაოს მიღების წესი, სახელდობრ ხელშეკრულების მე-6 მუხლით ხელშემკვერელი მხარეები შეთანხმდნენ, რომ „დამკვეთი“ შეამონებდა დასრულებული სამუშაოს მოცულობას და დადასტურების შემთხვევაში, ფორმდებოდა სათანადო აქტი. მშენებლობის ობიექტის დამთავრების შემდეგ ფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერდა მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები (კომისიის წევრები).

ამასთან, დადგენილია, რომ 2008 წლის 4 აპრილს ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ს, როგორც „დამკვეთს“ და შპს „გ. 2007“-ს, როგორც „მიმწოდებელს“ შორის დაიდო დამატებითი ხელშეკრულება ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ (ლიფტების შეძენა და მონტაჟი), რომლის საგანს წარმოადგენდა 3 ცალი 10 სართულიანი (გაჩერებიანი), 630კგ. ტევადობის ლიფტის გადაცემა და მონტაჟი, 96900 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის (\$ - K=1.49 ლარი, დღგ-ს ჩათვლით) გადახდის პირობით.

2008 წლის 5 ნოემბერს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-ის თავმჯდომარემ წერილით მიმართა შპს „გ. 2007“-ის დირექტორს, რომლითაც თხოვა მშენებლობის შეჩერება 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების გამო ბინების გაყიდვების შემცირებითა და შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კასატორს სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, მათ საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

თავდაპირველი სარჩელის მიმართ (ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანებისა და პირგასამტეხლოს დაკისრება) კასატორის პრეტენზია მის ხანდაზმულობას შეეხება, კერძოდ, კასატორი სადავოდ ხდის სამშენებლო სამუშაოების დასრულების დროს და აღნიშნავს, რომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ეს ფაქტობრივი გარემოება არ შეიძლება დადასტურებულიყო საქმეში წარმოდგენილი „მშენებლობის დამთავრებული შენობის, ნაგებობის მიმღების კომისიის 2010 წლის 10 დეკემბრის აქტით“. კასატორის არგუმენტი კი, ემყარება იმ გარემოებას, რომ შპს „გ. 2007“-ის დირექტორმა გ. ყ-მა განაცხადა, რომ ამ აქტს ხელს აწერდა გ. ც-ე (იხ. 15.07.2014წ-ის სხდომის აუდიო ჩანაწერი), რომელსაც არ ჰქონდა ამხანაგობის სახელით, აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება.

2010 წლის 10 დეკემბრის აქტზე, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის“, როგორც „დამკვეთის“ მხრიდან არაუფლებამოსილი პირის ხელმოწერაზე კასატორის მითითებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ როგორც ეს მოცემული საქმის მასალებითაა დადასტურებული სადავო აქტზე „მენარდის“ მხრიდან ხელს აწერს გ. ყ-ი, რომელიც წარმოადგენს შპს „გ.ს 2007-ის“ დირექტორს და შესაბამისად, საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს, ხოლო „დამკვეთის“ მხრიდან კი, აქტი ხელმოწერილია ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის“ ტექნიკური ზედამხედველის – გ. მ-ის მიერ, რომელსაც მშენებლობის ობიექტის დამთავრების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ხელმოწერის უფლებამოსილება, როგორც ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის“ უფლებამოსილ წარმომადგენელს (კომისიის წევრს) მიენიჭა მხარეთა შორის გაფორმებული 15.06.2007წ-ის ნარდობის ხელშეკრულების 6.7 პუნქტით, რომლის თანახმად, მშენებლობის ობიექტის დამთავრების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები (კომისიის წევრები).

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გ. ც-ე, რომლის სადავო აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილებასაც სადავოდ ხდის კასატორი, წარმოადგენს ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არაუფლებამოსილი პირის ხელმოწერაზე, როგორც 2010 წლის 10 დეკემბრის აქტის სადავოობაზე კასატორის მითითება, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია და აღნიშნავს, რომ „მენარდის“ მიერ შესრულებული სამუშაოს დარჩენილი ნაწილის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარმოშობის დროდ სწორად იქნა მიჩნეული 2010 წლის დეკემბერი, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის გასვლასა და ამდენად, ვალდებული პირის მიერ შესრულებაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობასაც.

რაც შეეხება კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ „2011 წლის 30 სექტემბრის აქტი არ წარმოადგენს ვალის აღიარების დოკუმენტს, რადგან მას ხელს აწერს არა ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის“ თავმჯდომარე და მისი მოადგილე, არამედ ბუღალტერი თ. ვ-ე, რომელსაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ ჰქონდა მინიჭებული“, საკასაციო პალატა ნაწილობრივ იზიარებს და აღნიშნავს, რომ 2011 წლის 30 სექტემბრის აქტი შედგენილია ერთი მხრივ, ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-

ის“ ბულალტერ თ. ვ-ისა და მეორე მხრივ, შპს „გ. 2007-ის დირექტორ გ. ყ-ის მიერ. ამ აქტით მხარეებს შორის წერილობითი ფორმით შედგა ანგარიშსწორება და დადასტურდა, რომ 2011 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ს“ ერიცხებოდა დავალიანება – 83,985.44 ლარი. საკასაციო პალატის მოსაზრებით, მითითებული აქტი ნამდვილად არ წარმოადგენს ვალის აღიარების ხელშეკრულებას და ამ ნაწილში, კასატორის პოზიცია მართებულია.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულების სამართლებრივი განმარტება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლში, რომელიც თავისი შინაარსითა და გამოხატვის ფორმით შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, კერძოდ, კონსტიტუციური ან დეკლარაციული ხასიათის. კონსტიტუციური ხასიათის ვალის არსებობის აღიარებით ხდება ახალი ხელშეკრულების დადება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვალის აღიარების ხელშეკრულებით დგინდება ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, წარმოიშობა ახალი მოთხოვნა, მიუხედავად ძველი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ ნამდვილობისა. ახალი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასრულებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილი. ვალის არსებობის აღიარება, როგორც ვალდებულების არსებობის დამოუკიდებელი კომპონენტი ხელწერილის შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ხელწერილით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ვალდებულების შესრულების მზაობა იკვეთება (იხ., სუს 08.11.2011წ-ის გადაწყვეტილება №აა-839-890-2011).

ჯერ ერთი, სადავო აქტი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ვერ შეფასდება ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის ახალ, დამოუკიდებელ კომპონენტად და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების დამოუკიდებელ საფუძველად და ამასთან, მასზე არ არის ამხანაგობის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა, რამდენადაც ამხანაგობის მიერ ახალი დამოუკიდებელი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის აღიარებისათვის აუცილებელია მისი აღიარება მოხ-

დეს სათანადოდ უფლებამოსილი პირი მიერ.

თუმცა საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო აქტი წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ ამხანაგობის მხრიდან დადასტურებულ იქნა 15.06.2007წ-ის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი დავალიანება (შესრულებული სამუშაოს აუნაზღაურებელი ოდენობა). სახელდობრ, საკასაციო პალატის ამ მსჯელობის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის 629-ე და 648-ე მუხლებით დადგენილი შემკვეთის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება. 629-ე მუხლის მიხედვით ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური, ხოლო 648-ე მუხლის მიხედვით კი, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას.

ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან და მოხმობილ ნორმათა სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიდის ლოგიკურ, დასაბუთებულ და თანმიმდევრულ დასკვნამდე, რომ „2011 წლის 30 სექტემბრის აქტი, რომელიც ამხანაგობის მხრიდან ხელმოწერილია მთავარი ბუღალტრის მიერ წარმოადგენს 15.06.2007წ-ის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი დავალიანების დარჩენილი ნაწილის – 83,985.44 ლარის დამადასტურებელ მტკიცებულებას და მის მტკიცებულებით მნიშვნელობას ვერ გააქარწყლებს კასატორის მიერ სადავოდ გამხდარი ბუღალტრის მიერ აქტზე ხელმოწერის კომპეტენცია. გამომდინარე იქიდან, რომ სადავო აქტი თავისი შინაარსითა და გამომხატვის ფორმით წარმოადგენს ურთიერთანგარიშსწორების აქტს. შესაბამისად, ბუღალტრის მიერ შესრულებული ხელმოწერა საკმარისია აქტის ნამდვილობისა და სადავო გარემოების დადასტურებისათვის.

ამასთან, ვინაიდან უშუალოდ დაკისრებული ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს ოდენობა კასატორს სადავოდ არ გაუხდია, მის საფუძვლიანობაზე საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პრეტენზია შესრულებული სამუშაოს აუნაზღაურებელი ოდენობისა და მისი გადახდის ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში (სარჩელის დაკმაყოფილებული ნაწილი), დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული და ამ ნაწილ-

ში, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

კასატორის შემდეგი პრეტენზია მენარდისათვის ზედმეტად გადახდილი თანხის – 350,438 ლარის უკან დაბრუნებას შეეხება (შეგებებული სარჩელის ერთ-ერთი მოთხოვნა). ამ ნაწილში, კასატორის დაზუსტებული პოზიცია იმ დასაბუთებას ემყარება, რომ შპს „გ. 2007-ის“ მიერ აშენებულ 1მ²-ში დამკვეთს უნდა გადაეხადა 238 აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით. როგორც აუდიტის დასკვნით დგინდება რეალურად აღმოჩნდა, რომ ამხანაგობამ გადაიხადა 1მ² მეტრში 279 აშშ დოლარი. შესაბამისად, დამკვეთს ზედმეტად აქვს გადახდილი სულ მცირე, 350,438 ლარი. კასატორი განმარტავს, რომ მოპასუხის მხრიდან არ ყოფილა არავითარი შეტყობინება ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვანი გადაჭარბების თაობაზე, შესაბამისად, ის თანხა, რაც მენარდემ მიიღო ექვემდებარება უკან დაბრუნებას უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა თავდაპირველი მოსარჩელისათვის 593,401 აშშ დოლარისა და 239,000 ლარის დაკისრება (იხ., შეგებებული სარჩელი, წინმსწრები გადანყვეტილებები). დაზუსტებული საკასაციო საჩივრით კი, მართალია კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული გადანყვეტილების მთლიანად გაუქმებას, თუმცა იგი რაიმე მითითებას კასაციის საფუძველებზე (კასაციის მიზეზებზე) გარდა სადავო 350,438 ლარისა, არ შეიცავს და ამდენად, საკასაციო პალატა იმსჯელებს მხოლოდ კასატორის იმ არგუმენტზე, რომელიც შეეხება „სულ მცირე 350,438 ლარის, როგორც ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების“ მოთხოვნის უფლების კანონიერებას.

კასატორის პოზიცია იმ მსჯელობას ემყარება, რომ 15.06.2007წ-ის ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტარიფსა (1მ² მშენებლობის ღირებულება – 238 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს) და მენარდისათვის გადახდილ თანხას შორის სხვაობა, როგორც წინასწარი შეტყობინების გარეშე განხორციელებული გადაჭარბებული ხარჯთაღრიცხვა არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. შესაბამისად, კასატორს უმართებულოდ მიაჩნია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითება იმ გარემოებაზე, რომ „თუ ვალდებული პირი ნებაყოფლობით იხდის თანხას, იგი გარკვეულწილად ადასტურებს ამ თანხის გადახდის ვალდებულების არსებობას, რაც გამორიცხავს მისი უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლებასაც“.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის ზემოთ აღნიშნულ

პოზიციას და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის განმხილველ სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი, რომელიც მიახლოებით ხარჯთაღი-ხვის გადაჭარბების მარეგულირებელი ნორმაა. საკასაციო პა-ლატა განმარტავს, რომ საერთო წესის მიხედვით, მენარდეს შე-უძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური. ამ წე-სიდან გამონაკლისს ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, „თუ მე-ნარდე მიახლოებით ხარჯთაღრიცხვას მნიშვნელოვნად გადაა-ჭარბებს, მას შეუძლია, მოითხოვოს მხოლოდ შეთანხმებული საზღაური, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გადახარჯების წი-ნასწარ გათვალისწინება შეუძლებელი იყო“. ამ მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, „მიახლოებით ხარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულე-ბას ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარ-ჯთაღრიცხვის მიხედვით“.

მითითებული ნორმის მიხედვით, მენარდეს შეუძლია მოით-ხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: ა. მხარეები შეთანხმდნენ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე მიახლოებითი ხარ-ჯთაღრიცხვის მიხედვით; ბ. მენარდემ მიახლოებით ხარჯთაღ-რიცხვას მნიშვნელოვნად გადააჭარბა; გ. მიახლოებითი ხარ-ჯთაღრიცხვის გაზრდის გათვალისწინება შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას; დ. მიახლოებითი ხარჯთაღრიც-ხვის გაზრდის შესახებ მენარდემ დაუყოვნებლივ შეატყობინა შემკვეთს.

სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის მისაღებად აუცილებელია, რომ ყვე-ლა ზემოაღნიშნული პირობა ერთდროულად არსებობდეს. ამას-თან, უპირველესად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არსებობს თუ არა მხარეთა შეთანხმება შესრულებული სამუშაოს ანაზ-ღაურებაზე მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ვინაი-დან ზემოხსენებული ნორმა განსაზღვრავს სწორედ მიახლოე-ბითი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედე-გებს. საერთოდ, ხარჯთაღრიცხვა არის სპეციალური დოკუმენ-ტი, რომელიც გამოიყენება ნარდობის ხელშეკრულების ფასის განსაზღვრისათვის რთული სამუშაოების შესრულებისას. ხარ-ჯთაღრიცხვა შეიძლება იყოს მყარი (როცა ზუსტადაა განსაზ-

ღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის) და მიახლოებითი (რომელიც სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს). თუ ხარჯთაღრიცხვა მიახლოებითია და მენარდე მას მნიშვნელოვნად გადააჭარბებს, აღნიშნულის თაობაზე მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შემკვეთს. ასეთი ვალდებულების მენარდისათვის დაკისრების არსი მდგომარეობს იმაში, რომ თუკი მენარდე არ შეატყობინებს შემკვეთს ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გაზრდის შესახებ და გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში, იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც შემკვეთი მენარდისაგან მიიღებს შეტყობინებას მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შესახებ, მას შეუძლია, მოითხოვოს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, თუ იგი თანახმაა, გადაიხადოს გაზრდილი ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ შემკვეთი არ მოისურვებს გაზრდილი ანაზღაურების გადახდას, მას შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება ხარჯთაღრიცხვის გაზრდის გამო. მითითებული საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემკვეთი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებული სამუშაო მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

ზემოთ აღინიშნა, რომ ხარჯთაღრიცხვა შეიძლება, ასევე იყოს მყარი, როდესაც ზუსტადაა განსაზღვრული საზღაურის ოდენობა, რომელიც შემკვეთმა უნდა გადაუხადოს მენარდეს შესრულებული სამუშაოსათვის. მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების შემთხვევაში მენარდე გადახარჯვის ანაზღაურების მოთხოვნისას ვერ დაეყრდნობა სამოქალაქო კოდექსის 631-ე მუხლს, ვინაიდან ეს ნორმა განსაზღვრავს მიახლოებითი და არა მყარი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბების სამართლებრივ შედეგებს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მყარი ხარჯთაღრიცხვა, იგი არ ექვემდებარება გადასინჯვას, მიუხედავად მისი გადასინჯვის მოთხოვნის მიზეზისა. საერთო წესის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს, რადაც არ უნდა დაუჯდეს ეს ვალდებულ პირს. თუ მოვალეს ვალდებულების შესრულება გაურთულდა ან მან დაკარგა ხელშეკრულების შესრულების ინტერესი, ეს მას არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან. მან თავად იკისრა ვალდებულების შესრულება და თავადვე უნდა ატაროს მისი შეუსრულებლობის რისკი. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კო-

დექსის 398-ე მუხლით (ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი). შეცვლილი გარემოებები ართულებს შესრულებას იმ დონემდე, რომ მისი შესრულების მოთხოვნა, როგორც გამართლებული საფუძველიც არ უნდა გააჩნდეს მეორე მხარეს, ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ სიკეთეთა სამართლიანი (ეკვივალენტური) გაცვლისა და კეთილსინდისიერების მოთხოვნებს, რაც შეიძლება, განპირობებული იყოს, როგორც შესრულების ღირებულების გაზრდით, ისე – მისი შემცირებით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მყარი ხარჯთაღრიცხვის მნიშვნელოვნად გადაჭარბების შემთხვევაში, მენარდეს შეუძლია, შემკვეთს მოსთხოვოს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. თუ მენარდეს ამ უფლებით არ ისარგებლებს და მაინც გააგრძელებს სამუშაოს შესრულებას, შემდეგში იგი კარგავს უფლებას, შემკვეთისაგან მოითხოვოს გადახარჯვის ანაზღაურება (იხ. სუს 30.12.2013წ-ის გადაწყვეტილება საქმე №ას-888-834-2012 FREE).

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, დასაბუთებულია კასატორის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მენარდეს (მოსარჩელეს) შესრულებული სამუშაო უნდა აუნაზღაურდეს ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის მიხედვით, ვინაიდან მხარეები გადახარჯვის ანაზღაურებაზე არ შეთანხმებულან და მით უფრო, რომ მენარდეს არც სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლითა და 15.06.2007წ-ის ხელშეკრულების 2.5 პუნქტით მინიჭებული უფლებით უსარგებლია და არ მოუთხოვია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

კასატორის პრეტენზია სწორედ ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას მართლზომიერებას შეეხება და იმ გარემოებას ემყარება, რომ „მენარდის მიერ ჯამში აშენებულია 13092მ². ხელშეკრულების თანახმად, შემკვეთს უნდა გადაეხადა 238 აშშ დოლარი (კურსით 1,70 ლარი) 404,6 ლარი. შესაბამისად, 13092მ²-ისა და 404,6-ის ნამრავლი შეადგენს 5297023 ლარს. დადგენილია, რომ დამკვეთმა გადაიხადა 5647461 ლარი ანუ, 350 438 ლარით მეტი).

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ 15.06.2007წ-ის ნარდობის ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოთა ღირებულება განისაზღვრებოდა 3,697,500 ლარით დღგ-ს ს ჩათვლით. ეს თანხა გაანგარიშდა 1მ² მშენებლობის ღირებულების – 238 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარში, კურსით: 1 აშშ დოლარი = 1.7 ლარს, რაც იმას ნიშნავდა რომ ანაზღაურების ოდენობაზე სავალუტო

კურსის ცვალებადობა გავლენას ვერ მოახდენდა.

უდავო გარემოებაა, რომ ამხანაგობა „თ. მ. ს. 138“-მ შპს „გ. 2007“-ს შესრულებული სამუშაოებისათვის სულ გადაუხადა 5647461 ლარი.

საქმის მასალებით არ არის სათანადოდ დასაბუთებული და სარწმუნოდ დადასტურებული ის ფაქტობრივი გარემოება მიღებული აქვს თუ არა მენარდეს 350,438 ლარი ზედმეტად. ამ ნაწილში, შეგებებული სარჩელის მოთხოვნის უარსაყოფად სააპელაციო სასამართლო ეყრდობა მხოლოდ შპს „დანი აუდიტის 09.12.2013წ-ის დასკვნის დაუსაბუთებლობას და რაიმე გაანგარიშებას საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით არ შეიცავს. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში, წამოყენებულია დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის ე¹ ქვეპუნქტის მიხედვით, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონახვა შეუძლებელია. საკასაციო პალატის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერების შემონახვა ამ ნაწილში, შეუძლებელია, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე (მტკიცების საგანში) შემავალი ფაქტი იმის შესახებ თუ, რა მოცულობის სამუშაოები შესრულდა მთლიანობაში მენარდის მიერ და რას შეადგენდა მთლიანობაში შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ შეგებებული სარჩელის ნაწილში, საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დაადგინოს დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოიკვლიოს მთლიანობაში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა და შესრულებულ სამუშაოთა შესაბამი-

სად შემკვეთის მიერ გადახდილი გასამრჯელოს ოდენობა და მხოლოდ ამის შემდეგ იმსჯელოს შეგებებული სარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნაზე, რომელიც შეეხება გადახდილი 350,438 ლარის, როგორც უსაფუძვლოდ მიღებული თანხის უკან დაბრუნების მართებულობას სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის კონტექსტში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე შეგებებული სარჩელის მოთხოვნის, რომელიც შეეხება ზედმეტად გადახდილი 350,438 ლარის უკან დაბრუნებას, ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

რაც შეეხება საპროცესო ხარჯების საკითხს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ არასრულადაა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო საჩივრის ღირებულებაა 454,383.44 (83,945.44 + 20,000 + 350,438) ლარი, რომლის 5% აღმატება საკასაციო საჩივრისათვის სამოქალაქო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საკასაციო საჩივრისათვის განისაზღვრება 6000 ლარით.

მოცემულ შემთხვევაში კი, საკასაციო საჩივარზე გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 4199,25 ლარის ოდენობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 4199,25 ლარიდან 3000 ლარი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში განხილული საკასაციო საჩივრის ანგარიშში, ხოლო დარჩენილი 1199,25 ლარის მიზნობრიობა განისაზღვროს შეგებებულ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ამხანაგობა „თ. მ. ს. 138-ის“, მ. ზ-ის, მ. ტ-ას, ლ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება გაუქმდეს ნაწილობრივ და საქმე შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2014 წლის 23 დეკემბრის განჩინება თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში დარჩეს უცვლელად.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საკასაციო საჩივარზე გადახდილად ჩაითვალოს 3000 ლარი, ხოლო დარჩენილი 1199,25 ლარის მიზნობრიობა განისაზღვროს შეგებებულ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საზიარო უფლების გაუქმება

განჩინება

№ას-59-58-2014

29 ივნისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმება, რეალური წილის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. და ნ. ვ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ა. ვ-ის მიმართ ქ.ქობულეთში, მდებარე სახლთმფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საზიარო უფლების გაუქმებისა და რეალური წილის გამოყოფის მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და გ. ვ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 (2013) წლის 22 ნოემბრის განჩინებით ნ. ვ-ისა და გ. ვ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, ნ. ვ-ისა და გ. ვ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი

ქობულეთში, მდებარე მინის ნაკვეთზე ა. ვ-ის, ნ. ვ-ისა და ს. ვ-ის თანასაკუთრების შესახებ და ქობულეთში, მდებარე მინის ნაკვეთი დარეგისტრირდა ა. ვ-ის, ნ. ვ-ისა და ს. ვ-ის ინდივიდუალურ საკუთრებად სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 12 ივლისის №..... დასკვნის თანდართული ნახაზის შესაბამისად, კერძოდ: ნახაზზე ლურჯად მონიშნული ფართი აღირიცხა ს. ვ-ის საკუთრებად; ნახაზზე ყავისფრად მონიშნული ფართი – ა. ვ-ის საკუთრებად; ნახაზზე მწვანედ მონიშნული ფართი, გარდა ყვითელ ფრად მონიშნული ფართიდან ყავისფრად მონიშნული ფართის გასწვრივ „გამწვანებამდე“ არსებული მწვანედ მონიშნული ფართისა, აღირიცხა ნ. ვ-ის საკუთრებად; ნახაზზე ვარდისფრად მონიშნული ფართი აღირიცხა ს. ვ-ისა და ნ. ვ-ის საერთო საკუთრებად; ნახაზზე ყვითელფრად მონიშნული ფართი აღირიცხა ა. ვ-ისა და ნ. ვ-ის საერთო საკუთრებად; ნახაზზე ყვითელფრად მონიშნული ფართიდან ყავისფრად მონიშნული ფართის გასწვრივ „გამწვანებამდე“ არსებული, მწვანედ მონიშნული ფართის ნაწილი, გარდა ა. ვ-ის საკუთრებაში არსებული 6,30 მეტრის სიგრძის კედლიდან „გამწვანებამდე“ პერპენდიკულარულად, ა. ვ-ის საკუთრების მხარეს არსებული ფართისა, აღირიცხა ა. ვ-ისა და ნ. ვ-ის საერთო საკუთრებად; ნახაზზე ა. ვ-ის საკუთრებაში არსებული 6,30 მეტრი სიგრძის კედლიდან „გამწვანებამდე“ პერპენდიკულარულად, ა. ვ-ის საკუთრების მხარეს არსებული მწვანედ მონიშნული ფართი აღირიცხა ა. ვ-ის საკუთრებად.

პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქობულეთში, მდებარე უძრავი ქონება – მინის ნაკვეთი და სახლი – რეგისტრირებულია ს. ვ-ის, ა. ვ-ისა და ნ. ვ-ის თანასაკუთრებად;

ს. ვ. გარდაიცვალა 2009 წლის 17 ივლისს და მისი სამკვიდრო მიიღო გ. ვ-მ;

სადავო მინის ნაკვეთი მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, ფაქტობრივად, გაყოფილია მოდავე მხარეებს შორის და ისინი ამ ნაკვეთებით, დღემდე, სარგებლობენ ინდივიდუალურად;

მხარეთა ფაქტობრივ მფლობელობას შეესაბამება სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 12 ივლისის №..... დასკვნაზე დართული ნახაზი, იმ განსხვავებით, რომ ნახაზზე ყვითლად მონიშნული ფართიდან ყავისფრად მონიშნული ფართის გასწვრივ „გამწვანებამდე“ არსებული, მწვანედ მონიშნული ფართის ნაწილით

სარგებლობენ ნ. ვ-ძე და ა. ვ-ძე ერთობლივად, ხოლო ამავე ფართის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ა. ვ-ის საკუთრებაში არსებული 6,30 მეტრი სიგრძის კედლიდან „გამწვანებამდე“ პერპენდიკულარულად, ა. ვ-ის საკუთრების მხარეს, ფლობს მხოლოდ ა. ვ.

დადგენილი გარემოებების სამართლებრივად შეფასებისას პალატამ მიუთითა 1964 წლის რედაქციით საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც იდგა ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული სახლები, მოსარგებლებს საკუთრებაში გადაეცათ 1997 წლის 25 ნოემბერს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების დღეს. ამავე კოდექსის 1513-ე მუხლით თითოეული მოდავე მხარის ინდივიდუალურ საკუთრებად ჩაითვალა ის ნაკვეთი, რომელსაც იგი სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების დროისათვის ფლობდა.

დაკითხული მოწმეების: თ. ვ-ის, ბ. ჯ-ისა და თ. ბ-ის ჩვენებით უტყუარად მტკიცდებოდა, რომ ნაკვეთი მხარეებმა, ვერ კიდევ მშობლების სიცოცხლეში, 1973 წლიდან ფაქტობრივად გაიყვეს და მას ფლობენ ისე, როგორც ეს მითითებულია ამ გადაწყვეტილების 4.4. პუნქტში. ეს გარემოება დატყუდებოდა თავად მხარეთა განმარტებებითაც: მოსარჩელებმა სარჩელშივე მიუთითეს, რომ მხარეებმა „იმ დროიდანვე“ „პირობითად“ დაიკავეს საცხოვრებელი სახლის ფართობები იდეალური წილის უფლებით სარგებლობდნენ, როგორც საცხოვრებელი სახლით ისე მიწის ნაკვეთით, რაც მოპასუხემაც დაადასტურა შესაგებელში. აპელანტებს არც პირველი ინსტანციის და არც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას არ მიუთითებიათ, რომ ისინი რაიმენაირად სარგებლობდნენ ა. ვ-ის მფლობელობაში არსებული ნაკვეთებით. იმას, რომ ნაკვეთი ფაქტობრივად გაყოფილი იყო და ა. ვ-ძე თავისი ნაკვეთით სარგებლობის სამუალებას მოსარჩელებს არ აძლევდა, აპელანტები სადავოდ არ ხდიდნენ და თავიანთ მოთხოვნას ამყარებდნენ, ძირითადად, საჯარო რეესტრის მონაცემებზე, რომლის თანახმად სადავო ქონება თანასაკუთრებად იყო რეგისტრირებული.

სასამართლომ, სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირდება რეალურად არსებული უფლებები. არარსებული უფლების რეგისტრაცია ამ უფლებას ნამდვილად ვერ აქცევდა, რადგან მოდავე მხარეები, სინამდვილეში, იყვნენ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრები, საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი თანასაკუთრების შესახებ იყო

მცდარი. ამდენად, ჩანანერი უნდა გაუქმებულიყო და ნაკვეთები უნდა აღრიცხულიყო ინდივიდუალურ საკუთრებად.

სააპელაციო პალატის დასკვნით, ა. ვ-მ არ იყო ვალდებული, აპელანტებისათვის დაეთმო საკუთრება ან მისი ნაწილი, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მათ თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებდა. აღნიშნული ვალდებულება არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არც ერთი საფუძვლიდან. მხარეთა საერთო საკუთრებაში იყო მხოლოდ ექსპერტიზის 2012 წლის 12 ივლისის დასკვნაზე დართული ნახაზის მიხედვით ვარდისფრად და ყვითლად მონიშნული ფართები და ყვითლად მონიშნული ფართიდან „გამწვანებამდე“ მწვანედ მონიშნული ფართის ნაწილი.

ექსპერტთა დასკვნებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით, მხოლოდ ამ ნაკვეთების რეალურად გაყოფა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე, შეუძლებელი იყო, ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, ისინი მხარეთა საერთო საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს გ. და ნ. ვ-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლო გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ამასთან, არასწორად განმარტა იგი, რადგანაც ნორმის გამოყენება მართებული იყო მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი გარემოების შემთხვევაში: საკუთრებად ითვლება კანონის ამოქმედებისას სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, ოღონდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული თანასაკუთრების მიხედვით და გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, თუ ვინ, რომელი ნაკვეთით სარგებლობდა. ამ არასწორი მოსაზრების დასადასტურებლად სასამართლოს მოჰყავს მოწმეთა ახსნა-განმარტებები, რომლებიც თითქოსდა ადასტურებენ, რომ მხარეებმა 1973 წლიდან სადავო ნაკვეთი გაიყვეს და ფაქტობრივად ფლობენ. სასამართლომ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა მოწმეთა ჩვენებებს, ვინაიდან მოდავე მხარეები ინდივიდუალურად და ფაქტობრივად ფლობენ მხოლოდ საბოსტნე მიწის ნაკვეთებს აღმაშენებლის გამზირის მხრიდან, ხოლო თამარ მეფის სანაპიროს მხრიდან არსებული ნაკვეთი, რომელიც საერთო სარგებლობის ეზოს წარმოადგენს, არ არის გამიჯნული ღობით ნ. და ა. ვ-ებს შორის (გ. ვ-სა და ა. ვ-ს შორის არსებული ღობე 3-4 წლის წინ ააშენა ა. ვ-მ, რის გამოც

დაინყო კონფლიქტი) და არ არსებობს ინდივიდუალური სარგებლობის რაიმე ნიშნები. მხოლოდ რამდენიმე წელია, მას შემდეგ, რაც ა. ვ-მ გ. ვ-ის მხარეზე ლობის მასთან შეუთანხმებლად აშენების შემდეგ სცადა თავისი სურვილის შესაბამისად და თანამესაკუთრებთან შეუთანხმებლად მიწის ნაკვეთის რეალურად გამიჯვნა, ნ. ვ-მ (კონფლიქტის არიდების მიზნით) ველარ და აღარ სარგებლობს თამარ მეფის სანაპიროს მხრიდან არსებული საერთო ეზოთი. ასე რომ, 1997 წლისთვის და შემდგომაც თამარ მეფის სანაპიროს მხარეს არსებულ ეზოზე იყო თანამესაკუთრების საერთო სარგებლობა.

მიწის ნაკვეთის მიკუთვნებისას, საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმციიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა ემსჯელა რეგისტრირებულ მონაცემებზე, ვინაიდან მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მხარეების საერთო საკუთრებად, თანასაკუთრებად რეგისტრაციის საფუძვლები (სამკვიდრო მონუმობა, გარიგებები) ა. ვ-ის მიერ არასდროს გამხდარა სადავო, არც გაუქმებულა და დღესაც ძალაშია, შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება მისი აღსრულება, ვინაიდან არსებული ნილობრივი რეგისტრაცია და რეგისტრაციის საფუძველი არ გაუქმებულა და ძალაშია. ამრიგად, სასამართლოს მოსაზრებები, რომ 1997 წლისათვის მხარეებს გამიჯნული ჰქონდათ მიწის ნაკვეთები, მცდარია.

სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი, ვინაიდან არ გამოიყენა მთლიანი თანასაკუთრების მიმართ, შესაძლებელი იყო კასატორის მიერ წარმოდგენილი ნახაზისა და ექსპერტის დასკვნაზე დართული ნახაზის მიხედვით, საზიარო უფლების გაუქმება, რომლითაც, ყოველ შემთხვევაში, არ მცირდებოდა ა. ვ-ის საზიარო 1/4 ნილი, პირიქით, გაყოფისას ბევრად მეტი ღირებულებისა და ფართის ქონება რჩებოდა ა. ვ-ს, რაზეც კასატორი თანახმა იყო.

პალატამ, მართალია, გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილი, თუმცა არასწორად განმარტა იგი. გაუგებარია, როდესაც სააპელაციო სასამართლო ზემოთ მოცემული პრინციპიდან გამომდინარე ასკვნის, რომ არსებული ჩანაწერი უნდა გაუქმდეს, ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულია, ამასთანავე, არავის სადავოდ არ გაუხდია არსებული ჩანაწერი და არც ჩანაწერის რეგისტრაციის საფუძვლები.

სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სადავო ქონებაში რეალური წილის დადგენა, საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, შესაძლებელი

იყო ნ. ვ-თვის რეალური წილის დადგენა. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და დაადგინა იმაზე მეტი, რაც მხარეებს არ მოუთხოვიათ. სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ უმსჯელია სადავო ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის საფუძვლებზე. მან ფაქტობრივად გააუქმა იურიდიული ძალის მქონე ადმინისტრაციული აქტები, რომლითაც მოპასუხესთან ერთად საკუთრებაში აღირიცხა სადავო მიწის ფართობები.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადავო ქონება კასატორებს მიღებული აქვთ ჩუქების ხელშეკრულებითა და მემკვიდრეობით, რაც გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის გამოყენებას, მით უმეტეს, რომ მოსარჩელები მოპასუხესთან ერთად სადავო მიწის ფართს ფლობენ დღესაც, რასთან დაკავშირებითაც არ მოქმედებს ხანდაზმულობის ვადა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მხარეთა მიერ დაკავებული მიწის ფართობები წარმოადგენს საზიარო საერთო სარგებლობის ქონებას, რომელზედაც განლაგებულია, როგორც ა.ვ.ის, ისე, კასატორების საცხოვრებელი და ინდივიდუალური სამეურნეო ნაგებობები. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის გამოყენების წინაპირობების არსებობის შემთხვევაშიც კი, ნორმა კასატორთა სასარგებლოდ უნდა განმარტებულიყო.

სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა ის ფაქტი, რომ 1973 წლის შემდეგ, 2007 წელს, მხარეებმა სადავო მიწის ფართი ნებაყოფლობით აღრიცხეს საზიარო საკუთრებად. ალოგიკურია სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ძირითადად ემყარება საჯარო რეესტრის მონაცემებს. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს ეს მოსაზრებაც არასწორია, რადგან, მათ მოპასუხესთან ერთად სადავო ქონება საკუთრებაში დაუდგინდათ მანამ, ვიდრე ამოქმედდებოდა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, რაც თავისთავად გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების 4.6 პუნქტით დადგენილ გარემოებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ნ. და გ. ვ-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩ-

ნეეს, რომ კასატორების მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმა-
ყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვა-
ლისწინებულია გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური სა-
ფუძვლების ჩამონათვალი და კანონმდებელი განსახილველი
ნორმით ადგენს ზემდგომი სასამართლოს ვალდებულებას, გა-
აუქმოს ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვე-
ტილება თუ სახეზეა მითითებულთაგან ერთ-ერთი დარღვევა.
გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლების არ-
სებობისას ზემდგომი სასამართლო არ არის შეზღუდული ამ
დარღვევის თაობაზე კასატორის მითითებით და ყოველ კონ-
კრეტულ შემთხვევაში, ვალდებულია, უპირველესად შეამოწ-
მოს ხომ არ იკვეთება რომელიმე მათგანი. მითითებული ნორ-
მის „ე“¹⁴ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის
ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ მისი დასა-
ბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძ-
ვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილი გან-
საზღვრავს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა გან-
სახილველად დაბრუნების საფუძვლებს და ამავე ნორმის „ბ“
ქვეპუნქტით დადგენილია, რომ საკასაციო სასამართლო აუქ-
მებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად
აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექ-
სის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღ-
ნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

განსახილველ შემთხვევაში, გ. და ნ. ვ-ის სასარჩელო მოთ-
ხოვნას წარმოადგენს წილის ნატურით გაყოფის გზით ქ.ქობუ-
ლეთში, მდებარე უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების გაუქ-
მება და თანამესაკუთრეთა რეალური წილის განსაზღვრა, შე-
საბამისად, მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლებრივ საფუძ-
ვლებს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის პირ-
ველი ნაწილი და 963-ე მუხლი. 961-ე მუხლის პირველი ნაწილის
მიხედვით, თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მო-
ითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება.

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ სამოქალაქო კოდექსი
იცნობს საზიარო უფლების გაუქმების ორ შესაძლებლობას: სა-
ზიარო უფლების გაუქმებას ნატურით გაყოფის გზით (963-ე
მუხლი) და საზიარო უფლების გაუქმებას საზიარო საგნის გა-
ყოფის გზით (964-ე მუხლი). ეს უკანასკნელი გამოიყენება იმ
შემთხვევაში, თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია.

სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის თანახმად, საზიარო

უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით. მითითებული ნორმა აქცენტს აკეთებს ორი აუცილებელი გარემოების არსებობაზე: საზიარო საგანი (საგნები) უნდა დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; დაყოფის შედეგად არ უნდა შემცირდეს თითოეული ნაწილის ღირებულება.

წინამდებარე დავის სწორად გადანყვეტისათვის მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს: მხარეთა თანასაკუთრების უფლება სადავო ქონებაზე; იდეალური წილის შესაბამისად საზიარო საგნის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფის შესაძლებლობა; დაყოფის შედეგად წარმოშობილი ინდივიდუალური საგნის ფუნქციური (ღირებულებითი) თვისების შენარჩუნება.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებას საფუძვლად დაუდო შემდეგი დასკვნები:

ქ.ქობულეთში, მდებარე უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთი და სახლი რეგისტრირებულია ს. ვ-ის, ა. ვ-ისა და ნ. ვ-ის თანასაკუთრებად;

ს. ვ. გარდაიცვალა 2009 წლის 17 ივლისს და მისი სამკვიდრო მიიღო გ. ვ-მ;

სადავო მიწის ნაკვეთი მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან, ფაქტობრივად, დაყოფილია მოდავე მხარეებს შორის და ისინი ამ ნაკვეთებით, დღემდე სარგებლობენ ინდივიდუალურად. მხარეთა ფაქტობრივ მფლობელობას შეესაბამება სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 12 ივლისის №.... დასკვნის თანდართული ნახაზი, იმ განსხვავებით, რომ ნახაზზე ყვითელფრად მონიშნული ფართიდან ყავისფრად მონიშნული ფართის გასწვრივ „გამწვანებამდე“ არსებული, მწვანედ მონიშნული ფართის ნაწილით სარგებლობენ ნ. ვ-მ და ა. ვ-მ ერთობლივად, ხოლო ამავე ფართის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ა. ვ-ის საკუთრებაში არსებული 6,30 მეტრის სიგრძის კედლიდან „გამწვანებამდე“ პერპენდიკულარულად, ა. ვ-ის საკუთრების მხარეს ფლობს მხოლოდ ა. ვ.

სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოდავე მხარეები წარმოადგენდნენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებს და საჯარო რეესტრის ჩანაწერი თანასაკუთრების შესახებ იყო მცდარი. სწორედ ამ დასკვნაზე დაყ-

რდნობით გააუქმა სააპელაციო პალატამ მხარეთა საკუთრების უფლების ამსახველი ჩანაწერი და მიიჩნია, რომ რეესტრში ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაციას ექვემდებარებოდა მხარეთა ფაქტობრივი მფლობელობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საზიარო უფლების ობიექტიდან ნაწილის გამიჯვნა შეუძლებელი იყო და უძრავი ქონების ეს ნაწილი კვლავ მხარეთა თანასაკუთრებად უნდა დარჩენილიყო.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მხარეთა შორის საზიარო უფლების ფაქტობრივი მფლობელობის მიხედვით გაუქმების, ასევე, ფაქტობრივ მფლობელობაში მინის ნაკვეთის კონკრეტული ნაწილების არსებობის გამო, საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის თაობაზე და განმარტავს შემდეგს:

განსახილველ შემთხვევაში, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ საზიარო საგანი მხარეთა მფლობელობაში იყო სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდეც, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შემომდეს თუ რა სამართლებრივი რეჟიმი არსებობდა ახალი სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლამდე, კერძოდ, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, მინა, მისი წიაღი, წყალი და ტყე წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებას და გაიცემოდა სარგებლობისათვის. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკურ პირთა საკუთრება ვრცელდებოდა საცხოვრებელ სახლებზე, ხოლო მინის ნაკვეთი მათ გადაეცემოდათ სარგებლობაში.

მინის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის წესს არეგულირებდა იმ დროს მოქმედი მინის შესახებ კანონმდებლობა, რომლის საფუძვლებს მე-3 მუხლის თანახმად, მოქალაქეს მინის ნაკვეთი სარგებლობაში გადაეცემოდა ამ საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ საფუძვლების მე-20 მუხლის თანახმად, მოქალაქეს უფლება ჰქონდა, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის მიეღო მფლობელობაში მინის ნაკვეთი და ესარგებლა ამ მინის ნაკვეთით სიცოცხლის ბოლომდე მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით. შენობა-ნაგებობაზე საკუთრების უფლების გადაცემით გადადიოდა, ასევე მინის ნაკვეთზე მფლობელობის უფლება (საფუძვლების მე-10 მუხლი). ამასთან ერთად, მინის მფლობელებს ჰქონდათ მათ მფლობელობაში არსებული მინის ნაკვეთისა ან მისი ნაწილის მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაცემის უფლება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით (საფუძვლების მე-16 მუხლის მე-7 ქვეპუნქტი), ხოლო ამავე ნორ-

მატიული აქტის 53-ე მუხლი ითვალისწინებდა უკანონო გარიგებების დადებისას პასუხისმგებლობას, რომლის თანახმად ბათილია მინის ნაკვეთების თაობაზე დადებული ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, გირავნობის ხელშეკრულებები. ასევე გასათვალისწინებელია იმ დროს მოქმედი საქართველოს მინის კოდექსის (1971 წლის 1 ნოემბერი) 151-ე მუხლი, რომლის თანახმად მინის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ანდერძით დატოვება, ჩუქება, იჯარით გაცემა, თვითნებური გაცვლა და სხვა გარიგებანი, რომლებიც ამკარა თუ ფარული ფორმით არღვევს მინაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

შესაბამისად, იმ დროს მოქმედი მინის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, მინის მფლობელს უფლება ჰქონდა, მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადაეცა მინის ნაკვეთი, ისიც კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება იყო ბათილი.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: „მიუხედავად სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე არსებული სამართლებრივი რეალობისა, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, კრძალავდა მინის ნაკვეთზე უფლების რაიმე ფორმით განკარგვას, სააპელაციო პალატამ მხარეთა ინდივიდუალური საკუთრება დაუკავშირა მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების მოპოვებას და არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მინის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები.

ამ ნორმის მიზანია, აღადგინოს სამართლებრივი წესრიგი იმ ურთიერთობებში, რომლებიც წარმოიშვნენ მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გაუქმებული ნორმატიული აქტების საფუძველზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებამდე მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და მინის შესახებ კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სახელმწიფოსაგან მფლობელობაში მიღებული მინის ნაკვეთის მესაკუთრე რჩებოდა სახელმწიფო, ხოლო ამ მინის ნაკვეთზე აღმართული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეს წარმოადგენდა მოქალაქე. სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მინის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა

დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება, განისაზღვროს. შესაბამისად, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აღმართულია შენობა-ნაგებობა, არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ამიტომ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი უთითებს ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. „კანონიერ სარგებლობაში“, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კანონით დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, შესაბამისად, კანონის საწინააღმდეგოდ მოპოვებული სარგებლობა არ წარმოადგენს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგის წინაპირობას“ (იხ. სუსგ №ას-439-415-2013, 30 ოქტომბერი, 2013 წელი).

სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის პირველი ნაწილი იძლევა საჯარო რეესტრის ფუნქციის განმარტებას, რომლის თანახმადაც საჯარო რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის და მასში ცვლილების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. მითითებული ნორმისა და ამავე კოდექსის 183-ე მუხლის (უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე) ერთობლივი ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ნამდვილობას განსაზღვრავს მისი რეესტრში რეგისტრაცია და ჩანაწერის უსწორობაზე მსჯელობა, ისეთ პირობებში, როდესაც საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი მხარეთა მიერ არაა შედაგებული, უპირობოდ გამოორიცხავს ჩანაწერის უსწოროდ მიჩნევას, მით უფრო, საზიარო უფლების სამართლებრივ რეჟიმში, როდესაც ნივთზე აღრიცხულია მხარეთა თანასაკუთრება იდეალურ წილში. ამგვარი უფლების (თანასაკუთრება) სოციალური არსი მხოლოდ ფაქტობრივ მფლობელობაზე დაყრდნობით არ შეიძლება შეიცვალოს, რის თაობაზეც სავსებით მართებულად მიუთითა კასატორმა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი არ ვრცელდება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, რადგანაც რეესტრში რეგისტრირებულ საკუთრების უფლებაზე დაუშვებელია გავლენა მოახდინოს მხარეთა შორის მიწის ნაკვეთის ფაქტობრივმა მფლობელობამ.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს საზიარო უფლების იმგვარ გაუქმებაზე, როდესაც საზიარო საგნის

ნაწილი კვლავ მხარეთა თანასაკუთრებაში რჩება, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ამგვარი გაყოფა ეწინააღმდეგება კანონის მიზნებს (სკ 963-ე მუხლი), ასევე დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, რომლის თანახმადაც „საზიარო უფლების გაუქმება, როდესაც ეს ხდება ნატურით გაყოფის გზით, ნიშნავს თანასაკუთრების რეჟიმიდან ინდივიდუალური საკუთრების რეჟიმზე გადასვლას, ანუ დაუშვებელია საზიარო საგანი ისე გაიყოს, რომ ნივთის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდებოდეს ინდივიდუალური საკუთრება, ხოლო სხვა ნაწილზე საერთო საკუთრება“ (იხ. სუსგ №ას-67-65-2014, 31 ივლისი, 2014 წელი).

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარეობს საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 172-ე მუხლით დადგენილი წესით შეფასებიდან, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას იმ საკითხზე, თუ რამდენად საფუძვლიანია სასარჩელო მოთხოვნა თითოეული თანამესაკუთრისათვის მიწის 1/3-1/3-ის მიკუთვნების თაობაზე იმ პირობებში, როდესაც საჯარო რეესტრში საზიარო საგანზე ს. ვ-ძის (უფლებამონაცვლე გ. ვ-ძე) საკუთრება S ნაწილზე, ხოლო ა. და ნ. ვ-ძების საკუთრება II - II ნაწილებზე ვრცელდება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში უნდა დაადგინოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები (მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები) და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს უფლების საკითხი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემავამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ვ-ისა და გ. ვ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 (2013) წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უსაფუძვლო გამდიდრება

გადანყვიბილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-838-796-2013

25 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ე. კ.-მა მოპასუხე ლ. ქ-ის მიმართ და მოითხოვა:

მოპასუხე ლ. ქ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის ფართით უკანონოდ სარგებლობისათვის ზიანის ანაზღაურება 2002 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე, ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის, მთლიანობაში 37500 აშშ დოლარის ოდენობით.

სარჩელის საფუძვლები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ე. კ-ის სარჩელი და მოპასუხე ლ. ქ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ.თბილისში, დ. ა-ის გამზირის №...დ-ის ქუჩა №..-ში მდებარე მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 50კვ.მ საერთო ფართის ნაწილი – 21 კვ.მ დამხმარე ფართი (ანტრესოლით). ამავე გადაწყვეტილებით ლ. ქ-ს ე. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 10800 აშშ დოლარის ანაზღაურება;

ზემომითითებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 21 ივლისს და გაიცა სააღსრულებო ფურცელი;

მიუხედავად სასამართლო გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ბიუროში წარდგენილი სააღსრულებო ფურცლისა, მოპასუხე აგრძელებდა მოსარჩელის ფართით უკანონოდ სარგებლობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ქ-ისათვის დაკისრებული ზიანის თანხა (10800 აშშ დოლარი) მოიცავდა 1998 წლიდან 3 წლის პერიოდს, ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის გათვალისწინებით. წინამდებარე სარჩელით მოთხოვნილი თანხა დაანგარიშებულია 2002 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე (ანუ 10 წელი და 5 თვე), ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის მხედველობაში მიღებით. აღნიშნული თანხის ჯამმა შეადგინა 37500 აშშ დოლარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შესაგებელში აღნიშნა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე წარმოება უნდა შეწყვეტილიყო. მოპასუხის მითითებით, არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება), რომელიც გამოტანილი იყო დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით:

1. ე. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა;
2. მოპასუხე ლ. ქ-ს მოსარჩელე ე. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 2002 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე (ანუ 10 წლისა და 5 თვის განმავლობაში) მოსარჩელის ფართით სარგებლობისათვის ზიანის ანაზღაურება, ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის, ჯამში 37500 აშშ დოლარის ოდენობით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადან-

ყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით:

1. ლ. ქ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაუქმდა და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. ე. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

4. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 2009 წლის 29 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე, თვეში 300 აშშ დოლარის ოდენობით;

5. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ანაზღაურება 279 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით;

6. მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის ანაზღაურება 1128 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ.თბილისში, დ. ა-ის გამზირის ...-ის ქუჩა №...-ში მდებარე უძრავი ქონება (საერთო ფართობი 50კვ.მ) საჯარო რეესტრში აღრიცხულია მოსარჩელე ე. კ-ის სახელზე (საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს 1998 წლის 16 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება);

ქ.თბილისში, დ. ა-ის გამზირის №...-ის ქუჩა №...-ში მდებარე ე.კ-ის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილს, კერძოდ, 50კვ.მ-დან 21კვ.მ-ს (ანტრესოლით) 1998 წლიდან 2012 წლის 7 ივნისამდე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (ანუ მართლსაწინააღმდეგოდ) და ბრალეულად ფლობდა მოპასუხე ლ. ქ-ი;

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: ლ. ქ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელე ე. კ-ის საკუთრებაში არსებული 50კვ.მ საერთო ფართის ნაწილი – 21კვ.მ დამხმარე ფართი (ანტრესოლით) – მდებარე თბილისში, დ. ა-ის გამზირის №...-ის ქუჩა №...-ში; მოპასუხე ლ. ქ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10800 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოხსენებული

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სხვა სამოქალაქო საქმეზე, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობდნენ, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ამ გადაწყვეტილებით დადგინდა ფაქტებს წინამდებარე დავასთან მიმართებით ენიჭებოდა პრეიუდიციული მნიშვნელობა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული №...გადაწყვეტილებით დადგინდა ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ ქ.თბილისში, დ. ა-ის გამზირის №...-ის ქუჩა №...-ში მდებარე ე. კ-ის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილს, კერძოდ, 50 კვადრატული მეტრიდან 21 კვადრატულ მეტრს (ანტრესოლით) 1998 წლიდან უკანონოდ ფლობდა ლ. ქ-ი. გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ლ. ქ-ი იყო ფართის არაკეთილსინდისიერი მფლობელი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ქ.თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღსრულების პოლიციის მიერ 2012 წლის 7 ივნისს შედგენილი სააღსრულებო წარმოების ოქმზე, რომლის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №... სააღსრულებო ფურცლის აღსრულების მიზნით თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები 2012 წლის 7 ივნისს გამოცხადდნენ ქ.თბილისში, დ. ა-ის გამზირი №...-ის ქუჩის №...-ში. ოქმში აღნიშნულია, რომ მოვალე ლ. ქ-მა საკუთარი ძალებით გამოათავისუფლა სადავო ფართი, რომელიც ჩაიბარა კრედიტორმა ე. კ-მა. სააღსრულებო წარმოების ოქმზე მოვალე ლ. ქ-მა გააკეთა აღნიშვნა, რომ იგი პრეტენზიას გამოთქვამდა განხორციელებულ სააღსრულებო მოქმედებებთან დაკავშირებით, ვინაიდან მისი განმარტებით, უკანონო აღსრულების შედეგად მას ჩამოერთვა მის პირად საკუთრებაში რეგისტრირებული ფართის ნაწილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ სადავო ფართს ლ. ქ-ი ფლობდა 1998 წლიდან. ამასთან, თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღსრულების პოლიციის 2012 წლის 7 ივნისის სააღსრულებო წარმოების ოქმით, რომლითაც აღსრულდა 2009 წლის 29 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, დგინდებოდა, რომ სადავო ფართი 2012 წლის 7 ივნისს გამოთხოვილ იქნა ლ. ქ-ის უკანონო

მფლობელობიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ ქ.თბილისში, დ.ა-ის გამზირის №...-ის ქუჩა №..-ში მდებარე ე. კ-ის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილს, კერძოდ, 50 კვადრატული მეტრიდან 21 კვადრატული მეტრს (ანტრესოლით) 1998 წლიდან 2012 წლის 7 ივნისამდე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ფლობდა მოპასუხე ლ. ქ-ი.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სადავო ფართის უკანონო ფლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის დაკისრება წარმოადგენდა გონივრულ ოდენობას და მოთხოვნილი თანხა შეესაბამებოდა უძრავი ქონების ქირავნობისათვის სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ფასებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული №2/6421-06 გადაწყვეტილებით მოპასუხე ლ.ქ-ს მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების სახით დაეკისრა 10800 აშშ დოლარის გადახდა. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ სადავო ფართის გაქირავებით ყოველთვიურად იგი მიიღებდა 300 აშშ დოლარს. სადავო ფართის ტერიტორიული მდებარეობის გათვალისწინებით, ასევე იმის მხედველობაში მიღებით, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დღის მდგომარეობით მოპასუხე ამ ფართს იყენებდა კომერციული მიზნებისათვის და იღებდა სარგებელს, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო საფუძვლიანი და მოპასუხე ვალდებული იყო დაებრუნებინა არა მარტო ნივთი, არამედ მიღებული სარგებელიც. სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობა შეესაბამებოდა უძრავი ქონების ქირავნობისათვის სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ფასებს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიხედვით, აპელანტი თავად ადასტურებდა, რომ 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თანხა მოპასუხეს დაეკისრა 1998 წლიდან 2001 წლამდე პერიოდზე, ახალი სარჩელით კი იგი ითხოვდა 2002 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე პერიოდის თანხას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ისეთ პირო-

ბებში, როცა 2009 წლის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა 1998 წლიდან 2001 წლამდე სადავო უძრავი ქონების გაქირავებით ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის ოდენობით ქირის სახით შემოსავლის მიღება, აპელანტის მითითება 1998 წლის ხელშეკრულებაზე, როგორც იმ პერიოდში ქირის სხვა ოდენობით მიღების მტკიცებულებაზე, უსაფუძვლო იყო. იგივე პერიოდზე ქირის სხვა ოდენობით მიღების საკითხზე სასამართლო ვერ იმსჯელებდა. წარდგენილ იჯარის ხელშეკრულებებზე სააპელაციო სასამართლომ დამატებით ისიც აღნიშნა, რომ მეიჯარე იყო ლ. ქ-ი, ხოლო მოიჯარე მუს „ი. ჯ-ს ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი ასევე იყო ლ. ქ-ი. სადავო ფართის გამოყენება ხდებოდა კომერციული მიზნით.

უდავოდ იქნა მიჩნეული და საქმის მასალებითაც დასტურდებოდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებამდე ლ. ქ-ი სადავო ფართს კვლავ იყენებდა კომერციული მიზნებისათვის და გადაწყვეტილება მას ნებაყოფლობით არ აღუსრულებია.

ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოთხოვნილ პერიოდში უძრავი ქონების ქირავნობისათვის სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ფასად, თბილისის საქალაქო სასამართლომ, მოპასუხის მიერ დაკავებული ფართის ადგილმდებარეობის და დანიშნულების გათვალისწინებით, მიიჩნია თვეში 300 აშშ დოლარი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება უკვე ახალი სარჩელით განსაზღვრულ პერიოდზე სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოების (რომ თვეში ამ ფართის გაქირავება შესაძლებელი იყო 300 აშშ დოლარად) დამადასტურებელ მტკიცებულებას წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ აპელანტს არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სადავო ფართის (მისი ტერიტორიული მდებარეობის, ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით) შესაბამისი უძრავი ქონების ბაზარზე უძრავი ქონების ქირავნობისათვის სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ფასების შეცვლას და იმ გარემოებას, რომ დასახელებულ ოდენობად ვეღარ მოხდებოდა ფართის გაქირავება. შესაბამისად, სადავო ფართის უკანონო ფლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით ყოველთვიურად 300 აშშ დოლარის დაკისრება სააპელაციო სა-

სამართლომ გონივრულად ჩათვალა და მიუთითა, რომ მოთხოვნილი თანხა შეესაბამებოდა უძრავი ქონების ქირაგნობისათვის სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებულ ფასებს.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საფუძვლიანი იყო სარჩელი სადავო ფართის უკანონო ფლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, 2009 წლის 29 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე პერიოდის მოთხოვნის ნაწილში.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლზე. ამ მუხლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის შესაბამისად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დასტურდებოდა, სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე ე. კ.-ი ვერ სარგებლობდა კუთვნილი ფართით წლების მანძილზე, რადგან ლ. ქ.-ი შეჭრილი იყო ფართში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. შესაბამისად, მან იცოდა როგორც ზიანის, ისე ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ვინაიდან შეგებებული სარჩელის ავტორი ითხოვდა განგრძობად ზიანს 2002 წლიდან 2012 წლის 1 ივნისამდე, ანუ 10 წლისა და 5 თვის განმავლობაში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ 3-წლიანი ხანდაზმულობის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სარჩელი აღიძრა 2012 წლის 29 ოქტომბერს. შესაბამისად, თანხა მოპასუხეს შეიძლებოდა დაკისრებოდა 2009 წლის 29 ოქტომბრიდან 3 წლის მანძილზე. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე მოითხოვდა თანხის დაკისრებას 2012 წლის 1 ივნისამდე პერიოდზე, ანუ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების მიზნით ფართის ლ. ქ.-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვამდე, არსებობდა წინამდებარე სარჩელის 2009 წლის 29 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე პერიოდში დაკმაყოფ-

ფილების საფუძველი.

დავის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლით, 317-ე მუხლის პირველი ნაწილით, 992-ე, 408-ე, 411-412-ე მუხლებით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

ლ. ქ-ის საკასაციო საჩივრის საფუძველები:

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული 2009 წლის გადაწყვეტილებით დადგენილია მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხე 1998-2001 წლებში ფლობდა სადავო ფართს. რაც შეეხება 2001 წლიდან 2012 წლამდე პერიოდს, ამ პერიოდში მოპასუხის მიერ სადავო ფართის ფლობის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება არ არსებობს. საქმეში წარმოდგენილია 2005 წლის იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც ირკვევა, რომ მოსარჩელის მომიჯნავე ფართს იურიდიული პირი ფლობდა და არა მოპასუხე. მფლობელობის ფაქტის დადგენისას სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლით დადგენილ ვარაუდს. სწორედ აღნიშნული ვარაუდის გაქარწყლებას ისახავდა მიზნად მოპასუხის მიერ წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულება, რომელიც სასამართლოს არ შეუფასებია;

სასამართლომ მხედველობაში მიიღო კანონიერ ძალაში შესული 2009 წლის გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ 1998-2001 წლებში შესაძლებელი იყო სადავო ფართით ნაყოფის მიღება და იგივე მიდგომა გაავრცელა 2002-2012 წლებზე, რაც არასწორია. საქმეში წარმოდგენილი იყო ფოტომასალა, რომლითაც დგინდება, რომ მითითებული ფართი დამოუკიდებლად ვერ გაქირავდებოდა, მას არ გააჩნდა დამოუკიდებელი მისადგომი და სველ წერტილს წარმოადგენდა. მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა, რომ 2002-2012 წლებში მოპასუხეს შეეძლო მეურნეობის სწორად გაძღოლის შედეგად ნაყოფის მიღება, რაც არ განუხორციელებია;

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიუსადაგა 15 წლის წინ დადგენილი ქირის ოდენობა შექმნილ მოცემულობას, რაც ასევე არაგონივრულია. სასამართლოსათვის ცნობილი არ არის ბაზარზე დღეისათვის არსებული ფასები, ისევე როგორც ნივთის ამჟამინდელი მდგომარეობა. მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი სწორედ მოსარჩელეს ეკისრებოდა, რისგანაც სასამართლომ იგი სრულიად დაუსაბუთებლად გაათავისუფლა.

ე. კ-ის საკასაციო საჩივრის საფუძველები:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს შე-

საბამის დასაბუთებას 2002 წლიდან 2009 წლის 29 ოქტომბრამდე პერიოდისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, კერძოდ, გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში მოთხოვნა ხანდაზმულია, ხოლო თუკი სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საფუძველად არ იგულისხმა ხანდაზმულობა, ასეთ შემთხვევაშიც გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია;

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ქ.თბილისში, დ. ა-ის გამზირის №...-ის ქუჩა №..-ში მდებარე ე. კ-ის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილს, კერძოდ, 50კვ.მ-დან 21კვ.მ-ს (ანტრესოლით) 1998 წლიდან 2012 წლის 7 ივნისამდე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, უკანონოდ (ანუ მართლსაწინააღმდეგოდ) და ბრალეულად ფლობდა მოპასუხე ლ. ქ-ი, შესაბამისად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობები. აქედან გამომდინარე, სასამართლოს სარჩელი სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა;

სარჩელის მოთხოვნა 2002 წლიდან 2009 წლის 29 ოქტომბრამდე პერიოდის ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ არის ხანდაზმული, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი იყო, კერძოდ, მოსარჩელემ უკანონო ხელშეშლის აღკვეთისა და ზიანის ანაზღაურების მიზნით სასამართლოში სარჩელი აღძრა 2001 წელს. აღნიშნულ სარჩელზე სასამართლომ გადაწყვეტილება 2009 წლის 29 ოქტომბერს მიიღო. დასახელებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 21 ივლისს. ამდენად, 2011 წლის 21 ივლისს დადგინდა, რომ ლ. ქ-ი წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლიდან გამომდინარე, 2001 წელს სარჩელის შეტანის გამო შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, იგი შეწყდა მოთხოვნის იმ ნაწილშიც, რომელიც შეეხება 2002 წლიდან 2009 წლის 29 ოქტომბრამდე პერიოდს. აღნიშნულის გათვალისწინებით სარჩელი 2002 წლიდან 2009 წლის 29 ოქტომბრამდე პერიოდის ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ არის ხანდაზმული. ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირის თაობაზე მოსარჩელემ 2011 წლის 21 ივლისს შეიტყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო სა-

ჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევა, რომ ე. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ლ. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ.თბილისში, დ.ა-ის გამზირის №...-ის ქუჩა №...-ში მდებარე უძრავი ქონება (საერთო ფართით 50კვ.მ) საჯარო რეესტრში აღრიცხულია მოსარჩელე ე. კ-ის სახელზე (საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს 1998 წლის 16 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულება);

კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა: 1. მოპასუხე ლ. ქ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის საკუთრებაში არსებული 50კვ.მ საერთო ფართის ნაწილი – 21 კვ.მ დამხმარე ფართი (ანტრესოლით) – მდებარე თბილისში, დ.ა-ის გამზირის №...-ის ქუჩა №11-ში; 2. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10800 აშშ დოლარის გადახდა;

ქ.თბილისში, დ.ა-ის გამზირის №...-ის ქუჩა №...-ში მდებარე ე. კ-ის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილს, კერძოდ, 50კვ.მ-დან 21კვ.მ-ს (ანტრესოლით) 1998 წლიდან 2012 წლის 7 ივნისამდე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (ანუ მართლსაწინააღმდეგოდ) და ბრალეულად ფლობდა მოპასუხე ლ.ქ-ი;

ქ.თბილისში, დ. ა-ის გამზირის №...-ის ქუჩა №...-ში მდებარე ე. კ-ის კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილის, კერძოდ, 50 კვ.მ-დან 21 კვ.მ-ის გაქირავება 2002-2012 წლებში შესაძლებელი იყო თვეში 300 აშშ დოლარად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს დაუშვა, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა-შეფასება და მატერიალური სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორ ლ. ქ-ის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხე 1998 წლიდან 2012 წლის 7 ივნისამდე უკანონოდ ფლობდა სადავო ფართს. კასატორი აღნიშნავს, რომ არ არსებობს არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ სადავო ფართის ფლობას 2001 წლიდან 2012 წლამდე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 166-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ პირი ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში და ბოლოს, ივარაუდება, რომ იგი ფლობდა ამ ნივთს დროის შუა პერიოდშიც.

განსახილველ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოპასუხე სადავო უძრავ ნივთს ფლობდა 1998-2001 წლებში. დადგენილია ასევე, რომ მოპასუხე სააღსრულებო წარმოების შედეგად იქნა გამოსახლებული სადავო უძრავი ქონებიდან 2012 წლის 7 ივნისს. ასეთ შემთხვევაში, როდესაც დადგენილია, რომ მოპასუხე სადავო უძრავ ნივთს ფლობდა დროის გარკვეული მონაკვეთის დასაწყისში – 1998-2001 წლებში და ბოლოს – 2012 წლის 7 ივნისს, მოსარჩელის სასარგებლოდ მოქმედებს ნივთის ფლობის უწყვეტობის ვარაუდი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპასუხე სადავო უძრავ ქონებას ფლობდა 1998 წლიდან 2012 წლის 7 ივნისამდე. აღნიშნული ვარაუდის გაქარწყლების ტვირთი ეკისრებოდა მოპასუხეს, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკისრა მას იმ გარემოების დამტკიცების ტვირთი, რომ სადავო პერიოდში იგი მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ქონებას არ ფლობდა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულება ამ უკანასკნელის მიერ სადავო უძრავი ნივთის ფლობის უწყვეტობის ვარაუდს ვერ აქარწყლებს, ვინაიდან ამ ხელშეკრულებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ იჯარის ხელშეკრულების საგანს სადავო უძრავი ქონება წარმოადგენდა. ამასთან, კასატორის მოსაზრება რომც გავიზიაროთ, ეს მის პასუხისმგებლობას არ გამოორიცხავს, ვინაიდან მას, როგორც სადავო ნივთის არამართლზომიერ მფლობელს, ამ ნივთის მესამე პირისათვის იჯარით გადაცემის უფლება არ ჰქონდა.

კასატორი ლ. ქ-ი მიიჩნევს ასევე, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 1998 წლიდან 2012 წლამდე პერიოდში სადავო ფარ-

თის გაქირავება შეიძლებოდა თვეში 300 აშშ დოლარად. კასატორის მოსაზრებით, ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის ზემოხსენებულ პრეტენზიას და აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 1998-2001 წლებში სადავო კომერციული ფართის გაქირავება შესაძლებელი იყო თვეში 300 აშშ დოლარად. მითითებული ფაქტი პრეიუდიციულად დადგენილი ფაქტია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და იგი სადავო ველარ გახდება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული პრეიუდიციული ფაქტი იძლევა იმ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ სადავო ფართის გაქირავება 2001 წლის შემდეგაც შესაძლებელი იქნებოდა სულ ცოტა 300 აშშ დოლარად, ვინაიდან, კომერციული ფართების გაქირავების ფასი, როგორც წესი, ყოველწლიურად იზრდება. ამ საერთო წესიდან შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული გამონაკლისებიც, რომლებიც გამონეულია ეკონომიკური ხასიათის რყევებით და სხვა ობიექტური გარემოებებით, მაგრამ მათი არსებობის დამტკიცების ტვირთიც მოპასუხეს ეკისრება. ეს უკანასკნელი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რაც მოცემულ შემთხვევაში გამონაკლისის არსებობას დაადასტურებდა. კასატორს, გარდა საკუთარი ახსნა-განმარტებისა, არავითარი მტკიცებულება არ წარმოუდგენია ასევე იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ სადავო ფართი დამოუკიდებლად ვერ გაქირავდებოდა, რადგან მას არ გააჩნდა დამოუკიდებელი მისადგომი და იგი სველ წერტილს წარმოადგენდა. ფოტოსურათებით, რომელზედაც კასატორი უთითებს, შეუძლებელია სადავო გარემოების დადგენა, ვინაიდან გაურკვეველია, თუ რა ფართია აღბეჭდილი ამ სურათებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ კასატორმა ლ. ქ-მა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, შესაბამისად, მისი საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორ ე. კ-ის მოსაზრებას სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა მოცემულ საკითხზე მცდარ დასკვნებს ეფუძნება.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოპასუხის წინააღმდეგ 2001 წელს ზი-

ანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის შეტანით შეწყდა იმ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა, რომელიც განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის შეტანით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ინსტიტუტი გამოიყენება იგივე სარჩელის მიმართ. სარჩელი კი იმ შემთხვევაშია იგივე, თუ იგივეა; ა. სასარჩელო მოთხოვნა (სარჩელის საგანი); ბ. სარჩელის საფუძველი (ფაქტობრივი გარემოებები, რომელზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას) და გ. მხარეები. ამასთან, სამივე ეს ელემენტი ერთდროულად უნდა არსებობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე სარჩელი არ გვექნება. განსახილველ დავაში სარჩელის საგანი განსხვავდება იმ სარჩელის საგნისაგან, რომელზედაც უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაზე ვერ გავრცელდება სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის დანაწესი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანია, ვინაიდან სადავო ურთიერთობის მიმართ უნდა გავიყენოთ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი და, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო (10 წლიანი) ვადა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს მოსარჩელის მოთხოვნას და მოთხოვნის საფუძვლად მითითებულ გარემოებას, კერძოდ, იგი მოითხოვს 2002 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე პერიოდში მისი კუთვნილი უძრავი ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით მოპასუხის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მოთხოვნის საფუძვლად დასახელებულია ის გარემოება, რომ სადავო პერიოდში მოპასუხე უკანონოდ ფლობდა მის საკუთრებას და ამით მას მოესპო ქონების გაქირავებით შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის მოთხოვნა დელიქტური ხასიათისაა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაზე არ ვრცელდება დელიქტური ვალდებულებების ინსტიტუტი, რადგან სადავო უძრავი ქონების უკანონო მფლობელობით მოპასუხეს მოსარჩელისათვის ფაქტობრივი ქონებრივი დანაკლისის სახით რაიმე ზიანი არ მიუყენებია. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ უკანონო მფლობელობით მოსარ-

ჩელის ქონება არ შემცირებულა, რასაც გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი, კერძოდ, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, სადავო ბინაში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოპასუხის ცხოვრებით ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი მოსარჩელეს (მესაკუთრეს) არ განუცდია.

ზემოთითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უკავშირდება მოპასუხის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მფლობელობას, სადავო შემთხვევაზე უნდა გავავრცელოთ ხელყოფის კონდიქციის სპეციალური წესი, რომელიც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლით, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადამუშავების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

განსახილველი ნორმით გათვალისწინებული „ზიანი“ წარმოადგენს არა ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, არამედ, საქმე გვაქვს გამდიდრების გათანაბრებასთან. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია, რომ ხსენებული ნორმა მოცემულია უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით, რაც მიგვითითებს ამ ნორმით გათვალისწინებული ზიანის გათანაბრებაზე უსაფუძვლო გამდიდრებასთან, ანუ როგორც ხელყოფის კონდიქციისათვის არის დამახასიათებელი, ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არის ის, რომ ხელმყოფმა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

აქედან გამომდინარე, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებულ ზიანში იგულისხმება მიღებულის დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება, ანუ საქმე გვაქვს არა ზიანის ანაზღაურებასთან, არამედ გამდიდრების გათანაბრების შემთხვევასთან. ამდენად, სადავო ფაქტობრივი სიტუაცია არ ითვალისწინებს ზიანის ინსტიტუტს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით (იხ. სუსგ, 05.12.2013წ., საქმე №ას-472-448-2013).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან მოსარჩელემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უკანონო მფლობელობის გამო დაკარგა გარკვეული სიკეთის მიღების შესაძლებლობა, მას უფლება აქვს, ამოიღოს ეს ქონება ხელმო-

ფისაგან. აღნიშნული ქონებრივი წონასწორობის აღდგენას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 982-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელმოწერა უნდა გაუთანაბროს უფლების მქონე პირს მის უფლებაში ჩარევა.

გათანაბრების ოდენობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა შემდეგი: საყურადღებოა შესრულების კონდიქციის რეგულირების მექანიზმი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 979-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უკან დაბრუნების მოთხოვნა ვრცელდება შეძენილზე, მიღებულ სარგებელზე, ასევე სხვა ყველაფერზე, რაც მიმღებმა შეიძინა მიღებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის სანაცვლო ანაზღაურების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ „შესრულების დაბრუნება“ (მოპასუხის მიერ სადავო უძრავი ქონების უკანონო სარგებლობით მიღებული სიკეთე) შეუძლებელია, ზემომითითებული ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების მქონე პირმა (მოსარჩელემ) შეიძლება გამოიყენოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა, რაც შეიძლება დადგინდეს მსგავსი უძრავი ქონების ქირის ოდენობით (იხ. სუსგ, 05.12.2013წ., საქმე №ას-472-448-2013).

ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, ინტერესს ინვესტს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლი, რომლის თანახმად, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე, მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 164-ე მუხლის გამოყენების უპირატესობა, რადგან „მიღებული სარგებლის“ დაბრუნება შეუძლებელია, კერძოდ, მოცემულ შემთხვევაში „მიღებულ სარგებელს“ წარმოადგენს სადავო უძრავი ქონებით სარგებლობა, რაც შესაძლებელია გამდიდრების გათანაბრების ოდენობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დანაწესების გამოყენებით, რომლის თაობაზეც ზემოთ უკვე აღინიშნა.

საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პრეტენზიას იმ ნაწილში, რომლითაც იგი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი მოთხოვნა არასწორად დააკმაყოფილა მხოლოდ ბოლო სამი წლის პერიოდის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა

და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ სამი წლის ნაწილში, რადგან მოსარჩელე ითხოვს ზიანს მიუღებელი შემოსავლის სახით. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლი.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მიუთითებს საკასაციო სასამართლოს მიერ ერთ-ერთ საქმეზე გაკეთებულ განმარტებაზე: განსახილველ ურთიერთობაზე ვრცელდება არა დელიქტური ვალდებულებების, არამედ – უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი. ამდენად, ამ ურთიერთობის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას ხანდაზმულობის საერთო ვადა – 10 წელი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. ეს ვადა დადგენილია ყველა იმ ურთიერთობისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, მაგალითად, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტი (იხ. სუსგ, 05.12.2013წ., საქმე №ას-472-448-2013).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის მიმართ უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის საერთო (10 წლიანი) ვადა.

ხანდაზმულობა წარმოადგენს ვადას, რომლის განმავლობაში უფლებადარღვეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა (კონკრეტულ დავაში ხელმყოფისაგან უფლების მქონე პირის მიერ მის უფლებაში ჩარევის გათანაბრების მოთხოვნა).

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი შეტანილია 2012 წლის 29 ოქტომბერს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ხანდაზმული არაა 2002 წლის 29 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ივნისამდე, რაც შეადგენს 115 თვეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 34500 (115x300) აშშ დოლარის გადახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ე.კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში კანონის დარღვევითაა გამოტანილი, კერძოდ, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი (სსკ-ის 393-ე მუხლი). აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის

თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს ე. კ-ის სარჩელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის იმ მოთხოვნათა პროპორციულად, რომელზეც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული ნესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მითითებული ნორმის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც საკასაციო სასამართლო გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი ვალდებულია, შეცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც. ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟი, არამედ, ის ხარჯებიც, რომლებიც გაიღეს მხარეებმა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა განხილვისას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ კასატორ ე. კ-ს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი აქვს: სარჩელზე – 1867.50 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 2340.60 ლარი. რაც შეეხება კასატორ ლ. ქ-ს, მას სააპელაციო საჩივარზე გადახდილი აქვს 2485.50 ლარი, ხოლო საკასაციო საჩივარზე – 768.00 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ, კერძოდ, 34500 აშშ დოლარის ნაწილში, წაგებულ მხარეს – ლ. ქ-ს მოგებული მხარის – ე. კ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი, კერძოდ, 34500 აშშ დოლარის 3% ეროვნულ ვალუტაში (გადახდის დღეს არსებული კურსით), რაც შეადგენს 1716.44 ($34500 \times 3\% \times 1.66$) ლარს. ლ. ქ-ს ე. კ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ასევე ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი, კერძოდ, 25200 აშშ დოლარის (მოსარჩელის მიერ საკასაციო სასამართლოში მოგებული თანხის) 5% ეროვნულ ვალუტაში (გადახდის დღეს არსებული კურსით), რაც შეადგენს 2091.60 ($25200 \times 5\% \times 1.66$) ლარს.

ე. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა 3000 დოლარის ნაწილში ($37500 - 34500 = 3000$), შესაბამისად, ამ ნაწილში მოგებულ მხარეს წარმოადგენს ლ. ქ-ი. აქედან გამომდინარე, წაგებულ მხარეს – ე. კ-ს მოგებული მხარის – ლ. ქ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი, კერძოდ, 3000 აშშ დოლარის 4% ეროვნულ ვალუტაში (გადახდის დღეს არსებული კურსით), რაც შეადგენს 199.20 ($3000 \times 4\% \times 1.66$) ლარს. ლ. ქ-ის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი არ ანაზღაურდება, ვინაიდან მისი საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საბოლოოდ, ლ. ქ-ს ე. კ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 3608.84 ($(1716.44 + 2091.60) - 199.20$) ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. ლ. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ე. კ-ის საკასაციო საჩივარი ნანილობრივ დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. ე. კ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
5. ლ. ქ-ს ე. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 34500 აშშ დოლარის გადახდა;
6. ლ. ქ-ს ე. კ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 3608.84 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ გაღებული სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიეპელი

1. გარიგების დადება გირავნობის საგანზე	3
2. გამოსყიდვის უფლება	20
3. ჩუქება	32; 44
4. ქირავნობა	
– გამქირავებლის უფლება-მოვალეობა	59
– გაქირავებული ნივთის დაუბრუნებლობის გამო წარმომობილი ზიანის ანაზღაურება	73
5. იჯარა	
– საიჯარო ქირა	85
– ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაუბრუნებლობისას	109
6. სესხის ხელშეკრულების ფორმა	122
7. ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის	147
8. საზიარო უფლების გაუქმება	168
9. უსაფუძვლო გამდიდრება	180